140
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

3
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გილოცავთ დედებს



ნაზი კილასონია

მოდის, მოშრიალებს
ფერადი თავშლებით,
მოცურავს მარტისკენ
ოცნების გედები...
მეირფასო, მეირფასო,
მეირფასო ბავშვებო—
გიყვარდეთ,
გიყვარდეთ,
გიყვარდეთ დედები!

ჩვენ თქვენთვის ვიბრმოლებთ,
ჩვენ თქვენთვის დავშვრებით,
თქვენი სიკეთისთვის
არასდროს ვბერდებით...
მეირფასო, მეირფასო,
მეირფასო ბავშვებო,
მალიან,
მალიან,
გიყვარდეთ დედები!

დედები,—
ყველაზე გვიან რომ წვებიან,
დედები,—მზის სხივთან
ერთად რომ დგებიან,
და მარტო დედები?—
ნუმც დაგვიწყებიათ,
რომ დიდი დედაა
ამ ქვეყნად
ბებია!

რა საყვარელია! პირველი იებით
ავსილი,
გავსილი მთიანი ფერდები...
ნუშზე ჩამომსხდარი
თეთრი ფერიები
იმგვარ კეთილები,
როგორაც დედები!..

დღეს მარტის რვა არი,
რა ფერით,
რა შვებით
ამოდის მნათობი
მშვიდობად, ვედრებით.
მეირფასო, მეირფასო,
მეირფასო ბავშვებო,
თქვენი სიყვარულით
აავსეთ დედები!..

მოდის, მოშრიალებს
ფერადი თავშლებით,
მწვანით შეუმოსავს
მინდვრები,
ქედები,
მარტია, მარტია,
მეირფასო ბავშვებო,
და მარტი გიბარებთ:
გიყვარდეთ დედები!



გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
3 მარტი 1978
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება.
სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხ. 44



ეროვნული ბიბლიოთეკა

I5844

# ღიმილით განათებული ახალმოსახლობა

ნუგზარ
აფხაზავა

ბინათმშენებლობის მასშტაბის მიხედვით საბჭოთა კავშირს მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება. ყოველწლიურად ათიათასობით ოჯახი ზეიმობს ახალმოსახლობას მკვიდრ, ნათელ, კეთილმოწყობილ ბინებში.

ბინათმშენებლობის მასშტაბსა და ზრდის ტემპს ნათლად გვიჩვენებს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საქართველოში საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 მლნ 914 ათასი კვ. მ. საცხოვრებელი ფართობი, ახალი, მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში კი — უკვე 2 მლნ 95 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი. ახლა მარტო თბილისის მაგალითი ვნახოთ: მეცხრე ხუთწლედში ჩვენს დედაქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა 2 მლნ 450200 კვ. მ., 1976-1977 წლებში კი — უკვე თითქმის 973 ათასი კვადრატული მეტრი. მარტო, გასულ, 1977 წელს ახალმოსახლობა 8 ათას რვაასმა თბილისურმა ოჯახმა იზეიმა.

ლენინის რაიონი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და სწრაფად მზარდი რაიონია. აქ ყოველ ნაბიჯზე სამშენებლო მოედანია, ერთგან საძირკველს დგამენ, მეორეგან კედლები ამოჰყავთ, სხვაგან სახურავს უკეთებენ თვალსა და ხელს შუა წამოჭიმულ ლამაზ შენობას. მერე ცოტა ხანიც გაივლის და — ცინცხალი, კეთილმოწყობილი ბინები ახალმოსახლეთა ხალისიანი ჟრიამულით აივსება.

•

ლენინის რაიონის აღმასკომში მითხრეს, რომ ახალი წლის პირველი იანვრისათვის გლდანში საექსპლოატაციოდ რამდენიმე დიდი შენობა გადაუციათ. მისამართები დავაზუსტე და მაშინვე გლდანის საცხოვრებელ მასივს მივაშურე.

ავტობუსმა მე-8 მიკრორაიონში მიმიყვანა. მანქანიდან ჩამოსვლისთანავე ვეებერთელა ცხრასართულიანმა შენობამ მომტაცა მზერა. კორპუსის ნომერი ვიკითხე. მე-12 აღმოჩნდა, სწორედ ერთი იმათგანი, აღმასკომში რომ მიმასწავლეს.

მე აქ არავის ვიცნობდი, არც არავისთვის რამე მიკითხავს. თავი ავაღირე და ალალბედზე მესამე სადარბაზოში შევედი.

შენობაში ჯერ კიდევ იდგა გაჯის, ცემენტის, საღებავის, საგოზავის სპეციფიკური სუნი. სადღაც, ზემოთ, ჩაქუჩის კაკუნი და ვიღაცის ხმადაბალი სიმღერა ისმოდა. ნელი ნაბიჯით ავყევი კიბეს, მეოთხე სართულამდე ავედი და, ისევ ალალბედზე, 53-ე ბინის ელექტროზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

საბედნიეროდ, ბინის პატრონი, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მუშა **გურამ თათანაშვილი** შინ იყო. ვინაობა არც უკითხავს, კარი ფართოდ გააღო და ღიმილით შემიპატიჟა.

შევედი, ახალ ჭერს მშვიდობა ვუსურვე და მიმოვიხედე. გამახარა ლამაზი, ნათელი, კეთილმოწყობილი და მოხერხებული ბინის ხილვამ. ჩანდა, მასპინძლები უკვე შეჩვეოდნენ, შესისხლხორცებოდნენ აქაურობას, ავეჯიც მოხდენილად შერწყმოდა სივრცეს.

— 24 წელია, რაც ფაბრიკაში ვმუშაობ, — მითხრა გურამმა. — 27-ე მსუბუქი მრეწველობის პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრებისთანავე იქ მივედი. ადრე საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, მერე, როცა დავცოლშვილდი, ხმელნიცკის ქუჩაზე მოგვცეს ბინა. აი, ამ ბინაში, ორ პატარა ოთა-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა მინდიაშვილს მეცადინეობაში არავინ უშლის ხელს. ხვალ მის დღიურში მორიგი ხუთიანი ჩაიწერება

ხში 15 წელი გავატარეთ. დერეფანი, სამზარეულო — ყველაფერი საერთო გვქონდა მეზობლებთან. ბავშვები მებრალებოდნენ ყველაზე მეტად, უჭირდათ იმ სივიწროვეში მეცადინეობა.

— სამაგიეროდ, ახლა თავისუფლად ამოისუნთქეთ, ხომ?

— რა თქმა უნდა, — ხელები გაშალა გურამმა. — ახლა ოთხი ოთახი გვაქვს. ყველაზე უფრო ეს ბავშვებს უხარიათ. უფროსი ქალიშვილი, გურანდა, მე-7 კლასის მოსწავლეა, მუსიკალურ სკოლაშიც მეშვიდეშია, ფორტეპიანოს კლასში; გიორგი მეექვსეკლასელია; ხომ მოგეხსენებათ პროგრამების სირთულის ამბავი? ახლა კი ორივეს შეუძლია ისე იმეცადინონ, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. მით უმეტეს პატარა მარეხი (სამწლინახევრისაა) ველარ შეუშლის ხელს — ახლა მასაც საკმაო სათამაშო სივრცე აქვს.

— დიასახლისმაც შვება იგრძნო ალბათ...

— ცხადია, ქუქუნაც კმაყოფილია, — ღიმილით გადახედა ცოლს გურამმა. — ლოჯია ვრცელი და ნათელია, ყველა საჭირო სათავსო გვაქვს, დიდებულად მოწყობილი სამზარეულო... ერთი სიტყვით, მადლობის მეტი რა გვეთქმის, დიდებული საახალწლო საჩუქარია!

მართლაც რომ შესანიშნავი საჩუქარია, უკეთესს ვერც ინატრებს



ნანა მინდიაშვილი გაკვეთილების დასწავლისთანავე დედას წააშველებს ხოლმე ხელს, ახლაც სიამოვნებით საქმიანობს ნათელ, კეთილმოწყობილ სამზარეულოში.

კაცი! მით უმეტეს, რომ ტრანსპორტი აქეთ საკმაოდ მრავლადაა, კარგადაც მუშაობს, და სამსახურში მისვლა და წამოსვლა სულაც არ ჭირს.

ამავე კორპუსის მე-4 სადარბაზოს ახალმოსახლეც, ცხიმკომბინატის მძღოლი **ალექსანდრე მინდიაშვილი** თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით (მეუღლითა და ოთხი შვილით) წლების მანძილზე ბარაკის ტიპის შენობაში ცხოვრობდა, 30-ოდე კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ბნელ, უფანჯრო ოთახში. საერთო სამზარეულო და დერეფანი ჰქონიათ, ახლა კი კეთილმოწყობილი ოთხოთახიანი ბინის მფლობელები გახლავთ. ამჟამად მშობლებთან სამი შვილი ცხოვრობს (უფროსს საკუთარი ოჯახი აქვს). ამ სამთაგან ერთმა საშუალო სკოლა დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება; მომდევნო, ნანა, მერვე კლასის მოსწავლეა, სულ უმცროსი კი, შოთა, მეხუთეშია. ასე რომ, ხშირად ოჯახში ერთდროულად სამნი მეცადინეობენ და თუ გავითვალისწინებთ ახალი ბინის სი-

ვრცეს, ადვილად მივხვდებით, რა შესანიშნავი პირობები აქვთ ბავშვებს სამეცადინოდ. გარდა ამისა, სკოლაც აქვეა, სულ ახლოს, ერთ გადარბენაზე.

— უკეთეს საახალწლო საჩუქარს სიზმარშიც ვერ ვნახავდი, — სახეზე ღიმილი გადაჰფენია დიასახლისს, მარგო მინდიაშვილს. — აშენდეს ამის ამშენებელი!..

აქვე, ამ სადარბაზოში, მესამე სართულზე **გრიგოლ გოგიჩაიშვილის** ბინის კარი შევაღე.

ახოვანი, ჭარმაგი კაცია პატივცემული გრიგოლი. ექიმი-სტომატოლოგი ყოფილა. ორმოცი წელი უმუშავნია ამ სპეციალობით. ამჟამად — უკვე მეშვიდე წელია — პენსიაზეა.

კარი რომ გამიღო, ხელში ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია" ეჭირა.

— ახლა მოვიცალე საკითხავად, — მითხრა მოგვიანებით, როცა მისვლის მიზანი ავუხსენი და მზერა წიგნზე შევაჩერე. — ერთი შვილი უკვე დაოჯახებული მყავს, მეორეც ჭკვიანი მეზრდება — ეს ჯერ პატარაა, მესამე კლასშია. მეც და ჩემი მეუღლეც პენსიონერები ვართ. სწორედ ახლა გვინდა სიმშვიდე, სიმყუდროვე, თუ გნებავთ — კომფორტიც. ჰოდა, აი, მთავრობამ შრომა და სამსახური დაგვიფასა, ბინა მოგვცა, მშვენიერი სამოთახიანი ბინა...

— ადრე სად ცხოვრობდით, პატივცემულო გრიგოლ?

— ერთოთახიან „სასახლეს" ვფლობდი, — გაეცინა, — სულ 20 კვადრატული მეტრი იყო. ყველაფერი საერთო გვქონდა. მეუღლე გაწამებული მყავდა, არადა ესეც ნაშრომი ქალია, 30 წელი აბრეშუმის ფაბრიკაში მჩითავად იმუშავა.

— ჩემი ქმარი სამამულო ომის მონაწილე გახლავთ, — ჩაურთო სანდომიანმა მანდილოსანმა, პატივცემული გრიგოლის მეუღლემ. — იბრძოდა ქერჩში, ხარკოვთან, ნოვოროსიისკში... მთავრობის ბევრი ჯილდო აქვს მიღებული. მეორე ჯგუფის ინვალიდია.

— ჰოდა, ალალი ყოფილა თქვენზე ამ საახალწლოდ ეს მშვენიერი ბინა. — გულწრფელი ღიმილით ვუთხარი. — მშვიდობაში მოგახმაროთ

ამავე სახლში კიდევ ერთი ახალმოსახლე მოვინახულე — **ჯიმშერ დევნოზაშვილი.** ეს სიმპათიური ვაჟკაცი რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ერთ-ერთი განყოფილების უფროსია. 22 წელია, შრომით საქმიანობას ეწევა, უმუშავნია დურგლად, მრანდავად კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაში... ადრე დიღმის მასივში ცხოვრობდა, ერთოთახიანი, 16 კვ. მ. ფართობი ბინა ჰქონდა (ოთხნი არიან — ცოლი და ორი შვილი ჰყავს). ეს სამოთახიანი ბინა კი „საქსოფლტექნიკამ" მისცა წილობრივი მონაწილეობის წესით.



ახალი ბინა მყუდროა, სივრცე და სინათლეც მეტია, ამიტომაც ხალისით მეცადინეობენ მუსიკაში მირანდა და გიორგი თათანაშვილები.

— ბევრ ქვეყანაში ასეთ რამეზე ალბათ ოცნებასაც კი ვერ გაბედავენ, — საუბარში ჩაგვერთო ჯიმშერის მეუღლე. — ბედნიერი ახალი წელი გაგვითენდა, ერთი პატარა ოთახის ნაცვლად — სამი ნათელი და ფართო ოთახი! წარმოგიდგენიათ, რა ხალვათობა ვიგრძენით? ჩვენი გოგონა, ირინე, წელს ამთავრებს საშუალო სკოლას, უნივერსიტეტისკენ მიუწევს გული, ფიზიკოსობა უნდა. იმ ერთ ოთახში, ცხადია, უჭირდა ნორმალური მეცადინეობა, ბიჭსაც უჭირდა, მეოთხეკლასელია, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, ორივენი სწავლის წარჩინებულები იყვნენ. ახლა უკეთესი პირობები აქვთ და უკეთესადაც ისწავლიან.

სიტყვა ჯიმშერმა ჩამოართვა:

— შენც ხომ გაშალე მხრები, — გაუღიმა ცოლს. — დიასახლისობა გიყვარს და ჰა ბურთი, ჰა მოედანი. — მე მომიბრუნდა: — სხვათა შორის, ნელი 20 წელია კინოსტუდიაში მუშაობს. მემონტაჟე გახლავთ.

ლოჯიაში ხანშიშესულ მანდილოსანს მოვკარი თვალი.

— დედაა? — ვკითხე ჯიმშერს.

— დიახ, დედაჩემია. პენსიონერი გახლავთ, მაგრამ დასვენებას არ აპირებს. ერთი სახლი გვიდგას სოფლად, დმანისში. დედა პატრონობს, ჯერჯერობით არ ტოვებს...

— დმანისში?

— მიწისძვრა გაგახსენდათ, ხომ? ჰო, ჩვენთან ახლოს სკოლის შენობა დაანგრია მიწისძვრამ. დედამ ერთი დიდი ოთახი დაუთმო სკოლას, ვიდრე ახალსააშენებენ.

— მოგვიანებით ალბათ დედასაც გადმოიყვანთ თბილისში, არა?

— აუცილებლად. კიდევ ცოტას ვადროვებთ, მერე შევუჩნდებით და მასაც ამ ნათელ ბინაში დავასახლებთ. არ დაიმსახურა თუ?..

რასაკვირველია, რა თქმა უნდა, დაიმსახურა! ამასთან, ყველა მოქალაქეს, ვინც საჭირო და სასარგებლო შრომას ეწევა, სხვა უფლებებთან ერთად ბინის უფლებაც აქვს.

და ეს უფლება კონსტიტუციაშია ჩაწერილი!

ფოტო ვ. ბორისენკოსი.



# სტუდენტი — პიონერების მეგობარი

ნორა ნუცუბიძე

ფიზიკის კაბინეტში პრაქტიკულად განიმტკიცებ თეორიულ ცოდნას.

## ჯონი ჭიღლაძე და მესამე რაზმი

რაიმე სიახლე სკოლაში ხშირად მოვლენად გადაიქცევა, ახალი ამბავი სწრაფად მოედება კლასებს და მოსწავლეებში ასაკის შესაბამისად სხვადასხვა რეაგირებას გამოიწვევს ხოლმე. დავითი, არჩილი, თამილა, ეკა, ირმა და სხვა თანაკლასელები მაშინ უფრო პატარები იყვნენ. პატარები კი, მოგეხსენებათ, მეტისმეტი ცნობისმოყვარენი არიან.

ჰოდა, მეხუთეპირველკლასელებსაც ერთი სული ჰქონდათ, ვიდრე სტუდენტთა ამბავს შეიტყობდნენ. უნდა გენახათ, როგორ აწყდებოდნენ ისინი პიონერთა ოთახის კარებს. ჭუჭრუტანებში იჭვრიტებოდნენ, იქნებ როგორმე შეეხედათ შიგნით, სადაც უფროსი პიონერხელმძღვანელი სტუდენტებს ესაუბრებოდა.

— მოდიან, — დაიძახა ვიღაცამ. ბავშვები ელვის სისწრაფით მოწყდნენ კარს, დგრიალით გაირბინეს დერეფანი და საკლასო ოთახს შეაფარეს თავი.

როგორც იყო, ჯერი დაუდგათ. უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მათი კლასის კარი შეაღო და თან მოხდენილი ჭაბუკი შემოიყვანა.

— ჩვენი ხელმძღვანელი იქნება, — ჩურჩულმა ტალღასავით გადაურბინა კლასს.

— დიახ, გამოიცანით, — ღიმილით დაუდასტურა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა დემურ ძნელაძემ. — ეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ჯონი ჭიღლაძე გახლავთ. ჯონი და მერვეკლასელი კომკავშირელი თამრიკო შავლიაშვილი იქნებიან თქვენი რაზმის ხელმძღვანელები.

ბავშვებმა აღტაცების ტაში შეაგებეს დემურ ხელმძღვანელის ნათქვამს.

— პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის კომკავშირელები ჩვენი სკოლის შეფები არიან, ყურადღებას არ გვაკლებენ, გვეხმარებიან. აი, ახლაც გაგვიხსენეს, პიონერული რაზმების ხელმძღვანელებად სტუდენტები გამოგვიგზავნეს. ამხანაგი ჯონი თქვენ შეგხვდათ, მისი თანაკურსელები სხვა რაზმებს ჩაუდგნენ სათავეში, — განუმარტა მათ დემურმა.

ეს საუბარი შარშანწინ იყო — 1976-77 სასწავლო წლის დასაწყისში. იმ დროს ჩაეყარა საფუძველი თბილისის მე-60 საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულისა და სტუდენტთა მეგობრობას.

დემური ოთახიდან გავიდა, ჯონი კი დარჩა. პირველად სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ საუბარი როგორღაც ბუნებრივად აეწყო. ჯონიმ თავისი მოსწავლეობა გაიხსენა, შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობის ამბავი, ისიც, თუ როგორი სწავლაა ინსტიტუტში. პატარებმა ბევრი საინტერესო რამ შეიტყვეს უფროსი ამხანაგისაგან.

მოდით, უფრო ახლოს გავეცნოთ კონსტანტინე ლესელიძის სახელობის მესამე რაზმის ($VI^1$ კლასის) პიონერთა მუშაობას, რომელსაც სტუდენტი ჯონი ჭიღლაძე ხელმძღვანელობს.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში შარშანდელი წელი დიდი მოვლენებით აღინიშნა — ვიზეიმეთ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი, მივიღეთ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია.

ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის გადაძახილი — „სწორება კომუნისტებზე!“ გადაძახილს საქართველოს პიონერიამაც უსწორა მხარი.

თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში ჩატარებულ რაზმეულის შეკრებაზე — „სწორება კომუნისტებზე!“ — საფუძველი ჩაეყარა შეჯიბრებას რაზმებს შორის. ამავე თემისადმი მიძღვნილი მესამე რაზმის შეკრების დევიზი იყო: „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“ შეიქმნა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები, პიონერები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საყოველთაო წესრიგს, კლასის სანიტარულ მდგომარეობას, დისციპლინის განმტკიცებას, ბეჯით სწავლას. აკადემიური წარმატების ამაღლების მიზნით სკოლაში გაიმართა მათემატიკური ოლიმპიადა, რამაც დიდი ხალისი და ინტერესი გამოიწვია. მათემატიკის მასწავ-

ლებელთან ერთად მოსწავლეებს ჯონი ჭიღლაძე ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ გამარჯვებულები, რომელთა შორისაც მესამერაზმელი ინგა ბარაბაძე, ეკა ჯანაშვილი და მამუკა სოსელიაც იყვნენ, დაჯილდოვდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს ქების სიგელებით. ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით სკოლაში ოქტომბრის თანატოლები მოიწვიეს და შეხვედრა მოუწყვეს. მესამე რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ირმა ბეციაშვილმა პიონერთა სახელით ვეტერანებს შეჰფიცა, მოწინავენი ვიქნებით სწავლასა და შრომაშიო.

ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის შეჯამდა გადაძახილის პირველი ეტაპი. შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს: $VII^1$ $VI^1$ $V^1$ და $IV^2$ კლასების პიონერებმა. შეჯიბრების მეორე ეტაპი (პერიოდი ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით) მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობას. მესამერაზმელებმა არც ამჯერად შეირცხვინეს თავი.



ჯ. ჭიღლაძის დახმარებით უფრო იოლდება ქიმიის მომზადება.

ჩატარდა რაზმეულის სპორტული თამაში „მხიარული სტარტები". შეჯიბრებას დიდი სამზადისი უძღოდა წინ. გუნდებმა სპეციალური ფორმებიც კი შეიძინეს, შეჯიბრების ადგილი მორთეს. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: $VI^1$, $VI^2$ და $VI^3$ კლასელი პიონერები. გაიმარჯვეს $VI^1$ კლასელებმა.

ერთი წლის მანძილზე მრავალი სამახსოვრო დღე იყო, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად ბავშვებს 25, 26, 27 და 28 დეკემბერი მიაჩნიათ. ეს იყო ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის სახელოვანი თარიღისადმი. აი როგორ ჩაიფიქრა რაზმეულის საბჭომ მისი ჩატარება.

ზეიმზე მოიწვიეს თხუთმეტივე რესპუბლიკის დედაქალაქთა მე-60 საშუალო სკოლების მოსწავლეთა წარმომადგენლები, ასევე საქართველოს ყველა კუთხის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეთა წარმომადგენლები. ეს დღეები სკოლაში ურღვევი ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაულად იქცა.

წარმოდგენა რომ იქონიოთ, როგორი მასშტაბური იყო ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები, ჩვენი ნაცნობი რაზმისათვის დაკისრებულ მოვალეობას გაგაცნობთ. პირველ დღეს, დილის 10 საათზე, მთელი რაზმი ხელმძღვანელ ჯ. ჭიღლაძესთან ერთად თბილისის ვაგზალზე გამწკრივდა. ისინი საზეიმო ვითარებაში შეხვდნენ სტუმრებს — პიონერებს ბათუმიდან, ჩოხატაურიდან, დუშეთიდან, სათითაოდ გაიპიროვნეს ისინი და სახლებში წაიყვანეს, დაასვენეს. დათქმულ დროს სკოლაში იკრიბებოდნენ, ერთად მიდიოდნენ ექსკურსიებზე, თბილისის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად; იყვნენ ლისისა და კუს ტბებზე, თბილისის ზღვაზე, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, დაათვალიერეს ქალაქი-მუზეუმი მცხეთა, ეწვივნენ წიწამურსა და საგურამოს, დაესწრნენ რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლს „ჩვენი თანამედროვე".

მეორე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ძველი უბნები, ეწვივნენ მეტეხის ტაძარს, ახალგაზრდულ თეატრს, იყვნენ ფუნიკულიორზე, მთაწმინდის პანთეონში.

26 დეკემბერს სკოლის კლუბში დიდი ზეიმი მოეწყო. კლუბი საგანგებოდ იყო მორთული, გამოეფინათ 15 რესპუბლიკის დროშები, პლაკატები, ლოზუნგები. მოწვეული ყავდათ პედაგოგები, მშობლები, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. მეგობრული საღამო დევიზით: „ინტერნაციონალიზმი საბჭოთა ხალხის დროშა", დაიწყო საბჭოთა კავშირის ჰიმნით, რომელსაც მთელი დარბაზი მღეროდა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა უფროსი პიონერხელმძღვანელი დემურ ძნელაძე. ამავე სკოლის მეორე უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლალი ყიფშიძემ დამსწრეთ მოკლედ გააცნო საქართველოს პიონერთა საიუბილეო საქმიანობის ანგარიში. ჩატარდა დიდი კონცერტი. მასპინძლები და სტუმრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ხმიანობდა სიმღერები ქართულ და რუსულ ენებზე.

ეს დღეები ერთად გაატარეს და განუყრელ მეგობრებად იქცნენ მესამერაზმელები სოფიკო კორკოტაძე, ინგა ბარაბაძე და ბათუმელები ნანა ცივაძე, მარინა ნემსიწვერიძე, თამრიკო ბერიძე, კიეველი ლიდა კიაშაკო, ბაქოელი ლიუდმილა ლოვაშვილი და სხვები. სტუმარ-მასპინძლები ამ დღეებში არც ერთი წუთით არ შორდებოდნენ ერთმანეთს, დაახლოვდნენ, შეიყვარეს ერთმანეთი.

ინტერნაციონალური მეგობრობის დღეებზე განსაკუთრებული ხალისით და სიყვარულით საუბრობენ თბილისის მე-60 საშუალო სკოლის კონსტანტინე ლესელიძის სახელობის მესამე რაზმის პიონერები და მათი ხელმძღვანელი ჯონი ჭიღლაძე. აი, რა შეგვიძლია მოგითხროთ მესამე რაზმის პიონერთა ერთი წლის საქმიანობაზე. ვფიქრობთ, თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ეს საქმიანობა მოსაწონი და საინტერესოა.

ფოტო ვ. ბორისენკოსი.

კარლო კობერიძე

მხატვარი დიმიტრი ხახუტაშვილი

# ქურდი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

არ ვიცოდით, რატომ სჭირდებოდა კაჭაჭი, ჩალაბულა, წალამი, მაგრამ ის კი ვიცოდით, უაზროდ რომ არაფერს იტყოდა ხოლმე. ჩვენც ავდექით და ზოგი ღობეებში მოვჩხრიკეთ, ზოგი ღელის პირებზე, ზოგიც კორომებში, მივაწყდ-მოვაწყდით აქეთ-იქით და კარგა მოზრდილი კოკოლა დავდგით. მიხომ ორი იღლია ჩალა ააპრიალა, მავთულის გორგალი სარით დაიჭირა ალში, პწკალი შემოაწვა და გასაციებლად მოისროლა საურმეზე.

მზე ჩავიდა და ნიავიც დაიძრა ალაზნიდან. მთვარე კავკასიონის თავზე იდგა, მაგრამ ჯერ შუქსა და ჩრდილს არ იმეტებდა, ჯერ მზის სული ტრიალებდა ირგვლივ.

მიხომ გაციებული გორგალი აიღო, გახსნა, წვერი მოუძებნა, ხახვის ნაპირა კვლებში შევიდა, ორმოცი ნაბიჯი გადათვალა და გაჩერდა:

— კახავ, აჰა, მავთულის წვერი გამომართვი, გაძვერი და სარზე მაგრად გამოაბი, სიმაღლე ისე დაიჭირე, მკერდამდე მოგწვდეს.

მავთულის წვერი დავითრიე, დაოთხილი გავძვერი მავთულგაბმულ მწკრივებში, მოვაბი სარს და ისევ უკან გამოვძვერი.

— როდის გამოჩნდება ქურდი? — ეკითხება გოგია.

— შუაღამე როცა გადავა, მაშინ მთვარე კახას ქოხის თავზე ეკიდება, — თან მთელი ძალით ჭიმავს მავთულს.

ლად კრუალებენ, ბაყაყები გამაღიზიანებლად ყიყინებენ და ეს მთვარეც გამაღიზიანებლად ანთია...

„მთელი ზაფხული ძაღლუმადურად ვაგდივარ ვენახში, უძილობა და სიღარიბე მჭამს; გამტკიცული შოთის გემო რახანია დამავიწყდა. ესეც არ უნდა მაკმარონ? — მწარე ხახვს აღარ მიჩერებენ და ტკბილ თაფლს გამიჩერებდნენ? ჩვენს გვარსა და ნათესაობაში კაცი აღარ დარჩა შინ. ვინ ადრე დაიღუპა და ვინ ომში წავიდა; დაიგულეს უპატრონო ოჯახი და გადათელვას გვიპირებენ. ჩემი სტუდენტი დებიც ამ ხახვს უყურებენ, ამ სიმინდს, ამ ვენახს და ცოცხალი თავით ვინმეს დავანებებ?“ უცებ გული ამომიჯდა, წამოვვარდი და მიხოს ვეცი:

— მომეცი თოფი! თოფი მომეცი! — ორივე ხელით ვეჯაჯგურები.

გოგიამ ზურგიდან მომხვია ხელი და ძლივს ამაგლიჯა თოფს:

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— მოვკლავ! შევაკვდები და გადასაგდებ ფოჩსაც არ გავატან აქედან! — ცრემლს ვეღარ ვიკავებ, ცრემლსა და მოხეთქილ ბოღმას.

— რა გატირებს და რა გაყვირებს? — მშვიდად მეუბნება მიხო. — ვითომ მორჩა, მოგვპარეს და ეგ არის!

— რა ამბავია მანდ! — იძახის უშანგი. — განა გულის ძილში ვარ წასული!.. აბა, მთვარეს ახედეთ, ახლა ყვირილის დროა?!

— მართალს ამბობს, — თქვა მიხომ და ასანთი ამოიღო ჯიბიდან, მომაწოდა. — ცრემლს მოეშვი და ისე შეინახე, არ დაგეკარგოს. როცა გეტყვი, ცეცხლს დაანთებ. — მიაყურადა. — მაზიდი მოჯაყჯაყებს, მგონი.

— ნამდვილად! — დაუდასტურა გოგიამ.

— კახავ, ბუტია უშანგის მიუყვა და მაშინვე გამობრუნდი. ჩქარა!

გავიქეცი და ბუტიაც ამედევნა.

უშანგის ალბათ ესმოდა ჩვენი საუბარი, მიჯნასთან დამხვდა, ძაღლს თოკი ჩააბა.



ხახვის კვლების გარდი-გარდმო ექვს სარზე გავჭიმეთ მავთული. ამით მავთულსაც მოვრჩით და საქმესაც...

ქოხის წინ თბილ მიწაზე ვართ წამოწოლილები და უგემურად ვილოლნებით ცივ მჭადს. მიხო კაციჭამია დევის მეშვიდე ზღაპარს გვიყვება, მაგრამ უიმისოდაც არ გვეკარება ძილი. მოულოდნელობის სადარდელი დუმილი გვეუფლება სამივეს და ფიქრი გვეძალება, ხვალინდელი დღის სიავკარგეზე ფიქრი.

ღამეს თანდათან აკლდება ხალხის ხმაური. აქა-იქ ძაღლების ღავღავი ისმის და ვიღაცის ნაწყვეტ-ნაწყვეტი გამამხნევებელი წასისინება. კუტკალიები გამაღიზიანებ-

— არ შეგეშინდეს, კახავ, მეც აქა ვარ და, თუ დაგვჭირდა, სხვებიც გამოჩნდებიან... შენ ოღონდ არ შეგეშინდეს!.. ამას ფეხს რომ აუწყობს ჩემი მურია, შენ სანახავი მაშინ უნდა ნახო!

— რისი უნდა შემეშინდეს?! — ერთბაშად გავყოჩაღდი.

— მეც მაგას არ გეუბნები?

იქაურობა ისეა გაქათქათებული მთვარის შუქით, მეცალოს და თანა მქონდეს, წიგნი წაიკითხებოდა.

— რაო უშანგიმ? — მკითხა მიხომ.

— ბუტია წაიყვანა და, მეც აქა ვარო, სხვებსაც ღვიძავთო.

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 2.

— შენ კი კინაღამ ხელი ჩაიქნიე, — ჩაიცინა მიხომ. ქოხზე მიყუდებული აკაციის ხმელი სარები აიღო და ერთი მე მომაწოდა, ერთი გოგიას: — წადი, გოგიავ, საბაანთ ქვრივის ატმის ჩრდილში დადექი და იქიდან გახედე, მარტოა თუ სხვაც ახლავს ვინმე. მაზიდი რომ ჩაგვცდება, მერე წამოდი. ვიდრე ლექსო პაპას ქოხთან დაიდებს ბინას, მანამდე ბარე ათჯერ მიხვალ და მოხვალ.

გოგიამ სარი მხარზე გაიდო და გაიქცა.

— რა სეირი იქნება! — ხითხითებს მიხო, — ნეტა ნამყნის დანა სადა მაქვს? — ჯიბეში ხელს იფათურებს. — აქა მქონია!

მაზიდი ლექსო პაპას ვენახის თავში გაჩერდა — ლატნების ყრუ ხმაური გაისმა.

გოგია ქოშინით მოვარდა:

— მარტოა, — ჩურჩულით თქვა.

— ეგრეც ვიცოდი... წამოდით, — შეტრიალდა მიხო და, პამიდორი რომ გვეთესა, ვენახის იმ მწკრივში შევიდა. — არც ჩურჩული, არც გაფაჩუნება არ გავიგო თქვენი... თვითონ ქურდი გვიკარნახებს, როგორ უნდა მოვიქცეთ.

— ვინ გვიკარნახებსო?! — გაუკვირდა გოგიას.

— ქურდის გერგილიანობა, ლონდრე, ქურდისა...

ვენახის თავამდე ხუთიოდე მეტრი რომ დაგვრჩა, აბურახებულ პამიდვრებში გვერდიგვერდ ჩავწექით და გავისუსეთ. ისე ვართ დაძაბულები, ერთმანეთის სუნთქვა არ გვესმის. ბევრი ლოდინი არ დაგვჭირვებია: სიმინდის მხრიდან გამოვიდა ქურდი, იქითა, ნაპირა მწკრივში შევიდა, ატმის ჩამოხურულ ტოტებს გასცდა, მიწაზე ჩაიჩოქა და დაიწყო ხახვის ამოღება. იღებს ხახვს და ტომარაში ყრის. ისე სწრაფად მუშაობს, ეტყობა ამ საქმეზე დიდი ხნის გაჩვეული აქვს ხელი.

თავზარი დამეცა — ლამის წამოვხტე და ვიყვირო. მიხომ მხარზე ხელი მომითათუნა, წყნარად იწექიო. ალბათ სუნთქვა გამიხშირდა და ამით შემამჩნია.

ქურდმა მალე გაავსო ტომარა, მოიკიდა და წაიღო.

— ეგ არაფერი, კახავ, — ქირქილებს მიხო. — ხვალზეგ მაინც უნდა ამოგვეღო.

— ვიცი.

— კაცი გვეხმარება და შენ კიდევ უმადურსა ხარ?

ქურდი ეზიდება და ეზიდება ხახვს, სწრაფად მიიწევს ქოხისკენ. მოიკიდებს ტომარას, წაიღებს; ვივარაუდებთ, სიმინდის მეორე მხარეს იქნებაო — ჩვენც ქოხისაკენ გადავინაცვლებთ ხოლმე. ხუთი ტომარა ერთი მწკრივიდან წაიღო, ხუთი მეორედან, ნელ-ნელა დაიღალა, ნაბიჯი დაუმძიმდა, ხელებიც. ამასობაში კი ხომლი ამოვიდა — საცაა ღამე გატყდება. მთელი ერთი კვირა ასე რომ ვიყო, ძილი არ მომეკარება... ისევ მომეძალა სიბრაზე. ვწევართ ენაჩავარდნილები და ჩემს საცოდაობას ვუყურებთ! როგორ არ გადაირევი კაცი! ატმის ქვეშაც თესია ხახვი, მაგრამ ის გამოტოვა, იცის, რომ იქ წვრილი თავი აქვს!.. ერთი სიტყვით, მასხარადაც გვიგდებს! ვითომ ასმანეთიანებს ჟთვლიდეს, გუნებას ერჩევა, წვრილი ხახვი არ მინდაო!.. ხელიდან რომ დაგვისხლტეს, ენა ვერ იტყვის, რა წივილ-კივილი და ვაივიში ატყდება ჩვენს ოჯახში! — ხუმრობა ხომ არ არის, ნახევარი წლის სარჩოსაბადებლის დაკარგვა, სულ ცოტა, ერთი ურემი სიმინდი ღირს! ჯანდაბას ჩემი თავი, ავადმყოფი ბებია მეცოდება, ამისი დარდი გადაიტანს და უარესად დავიღუპებით... ახლა დედაჩემი? — მე რომ ქალაქში არ წავსულიყავ, ეს ამბავი არ დაგვემართებოდაო. მოდი და გული ნუ გაგისკდება!

ქურდმა მესამე მწკრივიდან მეორე ტომარა რომ წაიღო, წამოვჯექი:

— რაღას ვუყურებთ?! — ვეუბნები მიხოს და ყბების კანკალი ვერ გამიჩერებია.

— გაუნძრევლად იწექით, — თქვა მიხომ და წამოდგა. — მესამე მწკრივიდან მესამე ტომარას რომ წაიღებს, მაშინ დავბრუნდები, ეტყობა, მაგას თხუთმეტი აქვს ჩათქმული.

მართლაც ასე მოხდა: მესამე ტომარა რომ წაიღო, მოვიდა მიხო და არხეინად მომიწვა გვერდით:

— უხახვოდ სად გაგონილა პამიდვრის სალათაო და ესეც ზედ მივაყოლეთ -- უბედურად გადავთელეთ.

— რომ წავიდეს და წაიღოს? — საცაა ისევ ავტირდები.

— რითი უნდა წაიღოს?

— მაზიდით.

— ვერ წაიღებს.

— არა, გიხათრებს!

— განა სასეირნოდ ვიყავი, — ტუჩებზე ხელს იფარებს მიხო, არ გამეცინოსო. — ალვირი შევაჭერი, მუცლის თოკი, საძუე, ცალუღის თასმა, მთელი გასაკრი დავუკუწე, უბეებს ჩხირები დავაძრე, გაატოკებს და იგრევე გამოსძვრება ცხენი.

გულზე მომეშვა და მხარზე მოვუთათუნე ხელი.

— ეგეთი ჭკვიანი ძმა გყავს, მაშა! — ისევ ჩურჩულით თქვა.

მესამე მწკრივიდან მეოთხე ტომარა ხახვი რომ წაიღო ქურდმა, მიხო თამამად წამოდგა, მომყევითო, ხელით განიშნა. გავყევით — ვენახის თავში გავედით.

— ერთ ტომარასღა წაიღებს, — ძლივს გასაგონად გვეუბნება. — კახავ, შენ ქოხთან გახვალ და ვიდრე ძაღლები მოგვეშველებოდნენ, თვალს მიადევნებ, რა იცი, იქნებ ღმერთი ქურდის მხარეზეა და არ გაგვეპაროს საითმე. შენკენ თუ წამოვიდა და ხელში დანა ან სხვა ისეთი რამე დაუნახე, პირდაპირ თავში დაუშვი სარი, ხელცარიელი იქნება და — ფეხებში... შენ კი, გოგიავ, ამ მწკრივს ჩაუყვები. მე რომ თავზე დავადგები თოფით, თუ გამექცა, მარტო მაშინ დაუნიავე სარი, არ გამექცევა და — რაღა ძალაა! ეგრე.

მიხო და გოგია ისევ პამიდვრებში ჩაწვნენ, მე ქოხთან გავედი, მოვეფარე და იქიდან ვუთვალთვალებ.

ქურდმა საგულდაგულოდ ჩაძეკა ტომარა, მოიკიდა და, რომ შეტრიალდა, ჩახრხებული ხმით დასჭყივლა მიხომ:

— არ გაიქცე, თორემ დაგკარი თოფი და დავიდე შენი ცოდვა!

ქურდმა დააგდო ტომარა, ჯერ უკან-უკან იწევდა გაუბედავად, მერე ერთბაშად მობრუნდა და გამოიქცა. გამოიქცა, მაგრამ მავთულს წამოედო და ყირაზე გადაიარა. რომ წამოიმართა, გოგიაც წამოეწია და სარი მთელი ძალით დასცხო ბეჭებში.

— ნუ გარბიხარ, თორემ მოგკალი და ეგ არის! — გოგიამაც ხმა დაიბოხა.

— დადექი, გეუბნები! — ფეხდაფეხ მისდევს მიხო, თან ფრთხილობს, მავთულს არ წავაწყდეო.

— არ გაუშვათ! — ყვირის უშანგი და ძაღლებს უსისინებს. ძაღლები ღავღავით მორბიან.

ქურდი სამჯერ კიდევ წააქცია მავთულმა. მე მწკრივის თავში მოფარებით ვდგავარ და ველოდები, როდის გამოვარდება ქოხთან, რო ერთი გემრიელად დავატიალო სარი და აყვირებული გული დავიწყნარო.

— სადამდე ირბენ! სამარეში ჩახვალ, იქ ჩამოგყვები! — საცაა, წამოეწევა მიხო.

მაგრამ გოგიამ იმარჯვა ისევ — გადაუშხუილა სარი და ქურდი მუხლებში ჩაკრიფა.

უცებ ძაღლებიც მოვარდნენ. მაშინ ქურდი უკვე ქოხთან იყო გამოსული. ძაღლებს არ მოხვდეს-მეთქი, დასარტყმელად აწეული სარი ისევ დაბლა დავუშვი. ძაღ-

უშანგი მოქლოშინდა და მოკუნტულ ქურდს ფეხი შემოჰკრა:
— აბა, მთვარეში გამოდი და დამენახვე, რომელი ხარ?
ქურდი წამოჯდა, შექანდა და ისევ შალაფაში ჩაემხო.
— თავს ნუ იკატუნებ, თორემ მაგის წამალიც ვიცი! — ახლა უფრო გამეტებით შემოჰკრა ფეხი. — გამო, რო გეუბნები!
ქურდი წამოიზლაზნა — მთვარის შუქში გამორაცრაცდა, შარვალ-ხალათი შემოფლეთილი აქვს. ბარძაყიდან და მკლავიდან სისხლი მოთქრიალებს. კისერსა და ბეჭებზეც ეტყობა ძაღლის ნაკბილარები.
უშანგიმ ახედ-დახედა და თავი გააქნია:
— რაღაც არ მეცნობი!.. იგრე ვატყობ, ადრე დამაკლდა თვალის სინათლე!
ძაღლები მთელი ძალით იწევენ და ჩვენც მთელი ძალით ვიჭერთ.
— შვილო, კახავ, რა ამბავია მანდ, რა ქოთქოთია! — მეძახის თომა პაპა.
— მაჩვი დავიჭირეთ ხახვში, მაჩვი! — აგონებს გოგია.
— ეგ ორფეხა მაჩვი იქნება! — სხვა მხრიდან ვანო ძიას სიცილი ისმის. — მოგეშველოთ თუ მარტო თქვენ მიხედავთ?
— რომც გავუშვათ, მაშინაც ველარ წავა!
— აგაშენა ღმერთმა, კარგად მაგასა ჰქონია საქმე!
— შენ ბუტია დაიჭირე, გოგიავ, — ამბობს მიხო. — შენ კიდევ, კახავ, ცეცხლი დაანთე.
ცეცხლის დასანთებად რომ დავიხარე, გულმა უცნაური რეჩხი მიყო და შეშინებული ავიშალე წელში.
— რას შვრები, ბიჭო!? — მიყვირა მიხომ.
— არ დავანთებ!
— მაშ როგორ უნდა დავინახოთ და გავიგოთ, ვინ ოხერია!
ჩალა რომ აპრიალდა, უშანგიმ ზურგიდან ხელი უბიძგა ქურდსა და ცეცხლთან ახლოს მიიყვანა:



ლების ღრენა და ქურდის ყვირილი ერთმანეთში აირია.
— მიშველეთ, შემჭამეს! — იკლაკნება ქურდი და ქოხზე მიყუდებული შალაფის კონებში მალავს თავს.
— არიქა, მართლა არ შეჭამონ! — ბუტიას ვეცი და ეს გამწლიკული ძაღლი რის ვაივაგლახით რომ მოვაცილე, შარვლის ნაფლეთი შერჩა პირში. მიხომ თოფი დააგდო და გადარეული მურია ფეხით დაითრია.

— ნუ ოხრავ! ცემა არ გდომებოდა, შუაღამისას ობლების ხახვში არ დაიწყებდი ფაჩუნს! — სინათლეზე შეხედა და მაშინვე შემოჰკრა თავ-პირში. — შენა ხარ, დაჩმეხილო!.. ადე, ადე!.. შე უჯიშო, ომში იმისათვის იხოცებიან კახას ბიძები, იმით ძმისწულებსა და დისწულებს მედუქნის ბიჭმა ხახვი მოპაროსო?! — სისხლად უქცია თავ-პირი: ფეხზე თუ დგას, მუშტსა სცემს, წაიქცევა და

წიხლს ურტყამს. — ომში არ წაგიყვანეს, არ გამოგვადგება, კოჭლიაო. რატომ ქურდობაში არ გიშლის ფეხი?.. რატომ მე არა მპარავ, ამაზე ნაკლები ხახვი მითესია? ობოლია და დავიბრიყვებო?.. არ დაგაბრიყვინეს, არა?

— ღმერთი აღარა გწამს, რათა მკლავ? — ამოიხრიალა ქურდმა და სისხლი გადააპურჭყა.

— რათა მკლავო?! — იცინის უშანგი და მთელ კაჭაჭს, ჩალაბულას, წალამს ცეცხლს აყრის, თან მშვიდად ჰყვება: — სამჯერ ჩაველი რაიონში, ომში გამიშვითმეთქი. პატარა ხარო, ორჯერ მამაშვილურად გამომაგდო კომისარმა, მესამედ კიდევ მოწყვეტილი სილაქი გამცხო. ამ შემოდგომაზე მიწევს ყავლი, და გადაკარგულში რა გინდა, შე გამოშტერებულო ჩემო თავო, აქ არა გყოლია მტერი?! ამ უჯიშოს დასაცავად მივდივარ, კაცო?! მე უნდა მოვკვდე და ეს გადარჩეს, კაცო?! ფრიადზე იმიტომ დავამთავრე სკოლა, რომ მე სხვათა მიწაში ჩავიკარგო და ეს აქ დარჩეს, კაცო?! ვისთვის, კაცო, რისთვის, ამისთანა უჯიშოებისათვის, კაცო?! ჩემი ტოლები ომში წავიდნენ და მე აქ დამარჩინონ, სირცხვილით ხომ თავი მოვიკალი კაცო?.. ამ უჯიშოებს სირცხვილის გრძნობა არა აქვთ და არა აქვთ, ადამიანის ფერი მაინც ედოთ, ყველაზე ლამაზები აიღე და დაიღე — საბუხრეში ჩავარდნილ ვირთაგვებსა ჰგვანან!.. მამაპაპით მოსდგამთ უსირცხვილობა, უნამუსობა, გაუტანლობა, აი ეგ ქურდობაც!.. რათა მკლავო?!.. ჯორდანო ბრუნო კაიკაცობისთვის დაწვეს კოცონზე შენისთანა ავაზაკებმა და მე კიდევ შენ უნდა დაგწვა, სიკეთისა და პატიოსნების ღმერთი რომ მწამს, იმიტომ! — ფეხში ჩაავლო ხელი და ცეცხლისკენ მიათრევს. ქურდი ფრჩხილებით პოტნის მიწას:

— შევცდი, შვილო! მაპატიეთ, შვილო!

— ვის ეძახი შვილსა! — ძალს უშანგია და ძალს ქურდი. — შვილოო! შენისთანა ქურდი და მათხოვარი მამა ყველა პატიოსან კაცს აშოროს! მამაჩემს, რაც ომში წავიდა, მას აქეთ ტყვია უწუის ყურთან — წერილის მოსაწერადაც ვერ იცლის! ხუთჯერ დაიჭრა... ვის ეუბნები, შვილოო!.. ობლებს, ღარიბებს, ომში წასულების ცოლშვილს ვიცავ და იმიტომ გწვავ კოცონზე! — ფეხზე ხელი გაუშვა და ცხვირ-პირი მიწაზე დაუნაყა. — ადე, რო გეუბნები!..

შემეცოდა ათახთახებული ქურდი და უშანგის მივვარდი, ხელი ვკარი:

— ნუ სწვავ!.. ხახვიც მაგისი იყოს, სიმინდიც, ვენახიც!.. აღარ მინდა, არაფერი აღარ მინდა, ოღონდ ნუ სწვავ!

— კარგი, — უცებ მოტყდა უშანგი. — კახას ხათრით მიპატიებია!.. წადი, მურიავ! — დაუყვირა ძაღლს. — ხელი გაუშვი, მიხო... წადი, მურიავ, ვენახში წადი! ბუტიაც გაუშვი, გოგიავ.

მურია გაიძურწა და ბუტიაც აედევნა.

— როგორა ხარ? — ქურდს სიცილით ეკითხება მიხო. — აგაყვავეთ ადრეულა ატამივით! — აიღო თოფი, ჩახმახი შეაყენა და სასხლეტი გამოუშალა. თოფმა იჭექა. — ეჰეი, გათენდა, ხალხნო, სიკეთით გათენდა!

ახლა შევნიშნე: კავკასიონის მწვერვალებიდან დღის შუქი ამოდის...

ქურდი მოკეცილი ზის მიწაზე, თავი ხელებში ჩაურგავს და ისევ მთელი ტანით თახთახებს.

— ასე, — ეუბნება უშანგი. — ვიდრე მივიხედმოვიხედავ, აქედან გატანილი ხახვი ქოხთან უნდა იყოს მოქუჩებული. დანარჩენზე კიდევ მერე ვილაპარაკოთ.

გოგიას ქვები მოუგორებია ცეცხლთან და თონულა მჭადებს აფიცხებს...

●

მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა. წლები, დროა, დროს კი უკეთესი ლხინიც მოაქვს, უარესი ჭირიც. ცხოვრებაა და, ხან ასეა, ხან ისე. მოკლედ, დრომ დამავიწყა ეს ამბავი. მაგრამ ერთმა ჩვეულებრივმა დღემ ისევ დაუბრუნა მეხსიერებას, დაუბრუნა და იმ პატარა ბიჭის, ანუ ჩემი ბავშვობის საცოდაობით ამავსო.

იმ საღამოს თბილისიდან გვიან ჩაველი სოფელში. გოგიაც ჩამოსულიყო და დამირეკა, ორი დღის გახსნილია სეზონი, ვიდრე ჯარ-ჯამაათი არ მოგლეჯილა და ბდღვირი არ აუდენიათ, ხვალ მწყერზე სანადიროდ ჩავიაროთო. არ მეცალა, მაგრამ ხათრი ვერ გავუტეხე, მით უმეტეს, თავგადაკლული მონადირეები — მიხო და უშანგი ვერ მისცემდნენ მხარს — უშანგი თურმე დილითვე ელოდა ქუთაისელ მოყვრებს, მიხოს კიდევ ეთქვა, მთელი კვირა ხუთსაპალნიანი ქვევრი ნახარჯად მაქვს, ხვალ თუ არ გადავიღე, შეჭანკდება და მწყრის საფანტი ბარემ მე რომ ვიკრა შუბლში, ის დრო იქნებაო.

მეორე დღეს, მზე უკვე ამოსული იყო, უშანგის მეძებარი — სანჩო სატვირთო მანქანის ძარაზე რომ დავსვით. ალაზნის არხს ჩავცდით და აკაციების კორომთან გავაჩერებინეთ მანქანა. აკაციების ჩასწვრივ ნაყანობი უკვე მოეხნათ და ნაწვერალზე დათესილი, მორწყვით ნაპატივები სიმინდიც უკვე მტკაველზე იყო ამოსული. ნაყანობის გვერდით ჭარხალი იწყებოდა, ჭარხლის იქით — შალაფამორეული წვრილი ვაზი.

ნადირობას მონატრული სანჩო ერთხანს გადარეული დარბოდა, მერე დადინჯდა, ასუნსულდა და სულ მალე ნაბულიც გააკეთა. მე და გოგია ასე შევთანხმდით: რაკი უხეირო მსროლელი ვარ, ჯერ მე უნდა მეცადა ბედი და თუ დავაცდენდი, მერე ის ესროდა. კაცმა რომ თქვას, ჩემს ნადირობას უფრო ჰქვია ნადირობა — დიდი ამბავია, ათიდან სამი მაინც თუ მოვკალი; გოგია კი საერთოდ იშვიათად აცდენს. ეს რაღა ნადირობაა, ვერ გამიგია! სხვისი არ ვიცი და მე ნამდვილად უინტერესოდ მეჩვენება. გოგიასათვის აღარ არსებობს ის აუცილებელი რამ, რასაც ჩემისთანა ვითომ მონადირე განიცდის — სიხარულის მადლი შემთხვევიდან შემთხვევამდე.

აკაციის კორომიც გავიარეთ, ჭარხალიც, წვრილი აბეჩხარი ვაზიც, მაგრამ ორიოდე მწყერს ძლივს მოვუყარეთ თავი. როგორც მეველეებმა გვითხრეს, ერთი საათის წინ ექვს მონადირეს გაევლო აქეთ და აკი წამოსაკრეფი წამოეკრიფათ.

მზეში ლურჯად სივსივებდა დატკეპნილი ზვრები. შეთვალული ყურძენი ოქროსფრად ღუოდა. თეთრად ირხეოდა მწკრივებშორის გაბმული აბლაბუდის წრეხაზები. აქ თითქოს მარტო ერთი ზომა-ჯიშის ობობები ჩანდნენ, რაკი მათი ნაქსოვ-ნაჯაფი არაფრით არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ასეა: მიწასა და გარემოს თავისი ფერი, სურნელი, გემო, წესი და ადათი აქვს, რასაც ბუნების სიბრძნეს ვეძახით და რაც თვალისა და გონების მოუწვდომელ საიდუმლოებად რჩება ჯერჯერობით.

ხმობაშეპარული, გალაღებული სიმინდი მთელ კილომეტრზე იყო გადაჭიმული. შიგ შესვლას აზრი არ ჰქონდა: ბევრიც რომ ყოფილიყო მწყერი, სროლა გაგვიჭირდებოდა, ამიტომ გვერდი ავუარეთ და მეზობელი სოფლის ნაკვეთებში გადავედით. იქაც: ვენახი, ჭარხალი, სიმინდი... იქაც გაევლოთ მონადირეებს და მწყერი კანტი-კუნტადღა გვხვდებოდა.

თანდათან წინ მივიწევთ და იმედს არ ვკარგავთ — იქნებ სადმე წავაწყდეთ ისეთ ადგილს, ერთი საათი მაინც რომ ახლო-მახლო მივდგე-მოვდგეთ. ამასობაში

კი უკან რჩება მთის შეფერდებაზე შემპარავად შეფენილი ჩვენი სოფელი.

სამი საათის ხეტიალის შემდეგ ზედ ალაზნის პირზე ნაიონჯარს წავაწყდით. მაშინ კი ნამდვილად დაგვადგა ჯაფა — იმდენი მწყერი ამოდიოდა, ჩვენ სროლას ვერ ვასწრებდით, სანჩო — მოტანას... ბოლოს ნაიონჯარს ჩირგვნარი შეერია. სანჩომ ნაბული გააკეთა. მწყერს ველოდით და ხოხობი კი წამოაფრინა, ჯერ ერთი, მერე — მეორე, მესამე; მეოთხე — მთელი ბუდობი... გოგიამ მიიხედ-მოიხედა, თოფი დაუშვა და თავი გ ქნია ღიმილით:

— ნაკრძალში შემოვსულვართ!

— უკან გავბრუნდეთ? — ვეკითხები.

— არა, აგერ, რესტორანში შევიდეთ და ცოტა ხანს შევისვენოთ... იქვე აკი შარაგზაა და ადვილად გავყვებით რამეს.

ალაზნის ხიდთან, ვერხვებში ჩამჯდარი რესტორანი ნახევარი საათის სავალზე იყო.



თოფები დავკეცეთ, ხალთაში ჩავაწყეთ, საურმეზე გავედით და რესტორნისკენ ავიღეთ გეზი...

რესტორანში ათიოდე კაცი დაგვხვდა — ორი მაგიდა მიეტყუპებინათ, კუთხეში შექუჩებულიყვნენ და, ვინ რას ლაპარაკობდა, ვერაფრით ვერ გაიგებდით. ერთი სამოცდაათ წელს მიტანებული ყოჩაღი ბერიკაცი ერიათ — ის თამადობდა, დანარჩენები ჩვენზე ახალგაზრდები ჩანდნენ. დაგვინახა ბერიკაცმა და ხელი ასწია:

— გიხაროდეს, ეგერო, ბრაკონიერები მოგიბრძანდნენ!

— არა, ეგენი ბრაკონიერები არ არიან, — მშვიდად თქვა იმ კაცმა, ღვინოს რომ ისხამდა ჭიქაში.

— ქაჩაჩებში ეტყობათ! — ჩაიქირქილა.

— წიგნის ხალხს კანონისა ერიდება! — ღვინო მოწრუპა.

— ვითომ? — ისევ ჩაიქირქილა ბერიკაცმა.

სასმელი უკვე მორეული ჰქონდათ და ყურადღება არ მივაქციეთ. ცივი ლიმონათი მოვითხოვეთ და მაგიდას შემოვუსხედით. აქასქასებული სანჩო გოგიას ფეხებთან გაიშხლართა.

ერთხანს მივავიწყდით, მაგრამ ოფიციანტმა ლიმონათი რომ მოგვიტანა, ისევ ჩვენკენ გამოექცათ თვალი:

— მონადირეებო!

მივიხედეთ, — ბერიკაცი იყო.

— ბატონო? — წამოვდექი.

— გვიკადრეთ და სუფრა დაგვილოცეთ!

— დალოცვით დაგლოცავთ, ოღონდ ვერ დავლევთ,— მისასვლელად შევტრიალდი, მაგრამ გამაჩერა:

— თუ ეგრეა, თქვენა გქონდეთ თქვენი ლოცვა-კურთხევა!.. რა დროს დავბერდი?.. მე რომ ჯეილი ვიყავი, თქვენხელა და თქვენზე ჯეილიც, რისი დაუარება, რომელი უკანდახევა, ორი ვაჟკაცი სხვაგან სადმე თუ დაბოგინობდა, მესამე, აეს გული მოკვდეს! — მკერდზე მუშტი დაირტყა. — მესამე აეს იყო!.. მოდი აქ! — ოფიციანტს უბრძანა.

თანამეინახენი თვალში შესციცინებდნენ, ეტყობოდა, გასულ-გამოსული ვინმე იყო.

წასასვლელად რომ წამოვდექით, ოფიციანტმა ექვსი ბოთლი ღვინო დაგვიდგა მაგიდაზე:

— იმან გამოგიგზავნათ.

გოგია წამოენთო:

— გითხარით, არ გვცალია და არ ვსვამთ-მეთქი. დალევა გვინდოდეს, ფული არა გვაქვს?! მაინც მადლობელი ვართ, ძიაკაცო.

— რესტორანი იმასა ჰქვია, შეხვიდე და დალიო!.. მადლობა მერე თქვი! დედასა, მე რომ ჯეილი ვიყავი!.. რაკი შარვალი გაცვიათ, რისკიც უნდა იცოდეთ, მხარის აბმაც, ყვირილიცა და დამუნჯებაც!

გოგია გაბრაზდა, თვითონ მივიდა ოფიციანტთან და რაღაც უთხრა. ოფიციანტმა ჯერ ხელები გაასავსავა, მერე თავი დაიქნია მორჩილად. მობრუნდა გოგია, ღიმილით დაეშვა სკამზე, ლიმონათი დაისხა და დაგემოვნებით დალია. ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტმა გვერდზე გაგვიარა — ხელში ტილოგადაფარებული ლურჯი ორჯამიანი ეჭირა, მივიდა, ბერიკაცს დაუდგა წინ, ტილო აარიდა და ყველას გასაგონად უთხრა:

— აიმ მონადირეებმა გამოგიგზავნეს.

ორჯამიანი ქართული ხახვით იყო სავსე.

ბერიკაცი შეკრთა, მერე მონუსხულივით დააჩერდა ხახვს და ციმციმ წამოდგა, თან თვალს არ აშორებდა ორჯამიანს. წეღან რამდენს ვფიქრობდი, ნეტა საიდან მეცნობა-მეთქი, ახლა კი გამინათდა გონება: ეს ის კაცი იყო, ერთხელ ხახვში რომ დავიჭირეთ.

ბერიკაცის თანამეინახენი დაბნეულები არიან — ხან ჩვენ მოგვჩერებიან, ხან იმას, ხედავენ, რაღაც მოხდა, უჩვეულო რამ, ვერაფერს კი მიმხვდარან.

— სხვათა შორის, ჩვენც ვყოფილვართ უფრო ჯეილები, — უთხრა გოგიამ, — და, თუ დაგვიჯერებ, ბავშვებიც კი! კარგად ბრძანდებოდეთ!..

შარაგზისკენ მივდივართ ჩრდილ-ჩრდილ და გვეღიმება: არა, ნადირობისას რას არ გადაეყრება კაცი!

## დაბადების 80 წელი






ნიკო კეცხოველი

*— ბატონო ნიკო, ამ ოთხმოცი წლის თვალსაწიერიდან როგორ გამოიყურება „ადამიანთა მიწა“ — ჩვენი ვეებერთელა სამყარო? ჟამთა მქუხარებამ ხომ არ შესცვალა რამე თქვენს მისდამი დამოკიდებულებაში?*

— მხოლოდ ისა, რომ ყველაფერი უფრო ახლობელი, ძვირფასი და შეულეველი გახდა. ჩვენი მთებისა და ველების, მწვერვალთა და მდინარეთა, და რა თქმა უნდა, ხალხის მშვენიერებასა და სილამაზეს ყველაზე სრულყოფილად ალბათ ჩემს ასაკში თუ ჩასწვდება და გაიგებს ადამიანი...

ირგვლივ ყოველივეს ოქროსფერი გადაჰფენია. მთები ამაღლებულან, მწვერვალები განსპეტაკებულან, მდინარეები დამქუხარებულან, ადამიანები დაბრძენებულან... რა თქმა უნდა, ამ წარმოსახვებში ზოგი მართალია და ზოგიც ოცნება და სურვილი, მაგრამ, ასე მგონია, რომ არცთუ განუხორციელებელი და აღუსრულებელი სურვილი. ადამიანთა მამულიშვილური მოწადინება, ღრმადა მჯერა, ყველა ოცნებას სინამდვილედ აქცევს. ამიტომაც ჩვენი უპირველესი ამოცანაა „ამ მოწადინებულთა“ ბანაკის რაც შეიძლება გაფართოება, რაც თავისთავად ქვეყნის მომავალზე ზრუნვას ნიშნავს. ხშირად მიოცნებია ხოლმე, ნეტავ მეც იმ „სანუკვარ ბანაკში“ ჩამრიცხა ვინმემ-თქო...

*— დღეს საქართველოში არც მოიძებნება ადამიანი, თქვენს მიმართ მოწიწებით რომ არ იყოს განმსჭვალული: საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მწერალი — შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი... ზემო თქმულს ერთიც უნდა მივათვალოთ — თქვენ ბრძანდებით აკადემიკოსი არა მხოლოდ მეცნიერების სფეროში, არამედ ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში. ერთი სიტყვით აკადემიკოსი ფართო გაგებით. მაინც როგორ შენივთდა ამდენი რამ ერთ ადამიანში? საიდან მომდინარეობს ყოველივე, რა ჯადო სასწაულიდან იღებს სათავეს? იქნებ ორიოდე სიტყვით მოგვიყვეთ ამის შესახებ?*

— ვხვდები თქვენს ეშმაკურ ჩანაფიქრს, — ღიმილი ეფინება სახეზე ღვაწლმოსილ ადამიანს, ამდენი სიკეთე რომ მომაწერეთ, ცდილობთ გული გამიკეთოთ და იმ „სანუკვარ ბანაკში“ ჩამრიცხოთ, არა? იცით, რას გეტყვით? ეგრე ადვილი რომ იყოს ეგ ამბავი, მაშინ საოცნებოდ კი არ გავიხდიდი. ჰო, ახლა რაც შეეხება თქვენს კითხვაზე პასუხს, იცით, რას მაგონებს ხოლმე ბავშვობის გახსენება? ზღვის სიღრმეში ნიჟარების საძებნელად ჩაყურყუმალავებას. ნაირნაირი ჭრელჭრულა ნიჟარებითაა მოფენილი იქაურობა, რომელ ერთს გადასწვდე აღარ იცი კაცმა, ძერასავით თვალდაცეცებული ყველაზე სრულყოფილსა და ულამაზესს, ყველაზე ახლობელსა და საყვარელს ეფერები და უთათუნებ ხელსა...

პირადად ჩემთვის ყველაზე ნეტარმოსაგონებელი მშობლები გახლავთ. თუ კი მართლა შეიძლება რაიმე სიკეთეზე საუბარი, სწორედ მშობლებთან უნდა ვეძებოთ იმისი სათავე.

*— თუ შეიძლება, ცოტა რამ მოგვიყევით ოჯახის შესახებ.*

— მშობლებს შვიდხი ვყავდით. მამა განათლებული კაცი იყო, რუსეთიდან ჟურნალ-გაზეთები ჰქონდა გამოწერილი, ქართულ მწერლობას ხომ შესანიშნავად იცნობდა. ხალხოსნებთან იყო დაკავშირებული და ამიტომაც ჩვენი ეზო ჟანდარმებისა და რუსი ჯარისკაცებისაგან იყო ატალახებული. ძალიან უყვარდა ბუნება, ცდილობდა მის საიდუმლოებებში ჩაწვდომას, განსაკუთრებით მეხილეობა იტაცებდა. იმ დროისათვის ქართლში ძირითადად გავრცელებული იყო ადგილობრივი ვაშლის ჯიშები: თურაშაული, ბორა, სირმა, კიტრა, ნაბადა, აბილაური, ხანდაკურა, ქაშა, ლოყაწითელა. მსხლისა — ხეჭეჭური, გულაბი, გოხა, წითელა, კალოსმსხალა, შავი მსხალი. სხვა ხილიდან — ქლიავი, ჭანჭური, გაიპარა, დამასხი, ღოღნოშო, შუშტყემალა და სხვა. მაგრამ ყველა ეს ხილი შედარებით ძნელად იტანდა ტრანსპორტირებას, შორს ვერ გაჰქონდათ.

ევროპული ჯიშებიდან ერთადერთი — „ოტორინეს“ ვაშლი მახსოვს. ოტორინე ტყვიაველი გლეხის ლექსო ოდიშვილის მეტსახელი იყო. სწორედ ეს გახლდათ ეგრეთ წოდებული „ვაშლთა მეფე“ — თეთრი კალვილი 1840 წელს კარალეთელმა ერისთავმა მეფის ნაცვალ ვორონცოვის დახმარებით ყირიმიდან მიიღო ევროპული ხილის ნერგები. ლექსოს მოპარვით თუ ჩუქებით მისი ბატონის ბაღიდან წამოუღია ერთი ნერგი და ბედად თეთრი კალვილი გამომდგარა...

მამაჩემმა მეხილეობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი ხელწერა გამოიმუშავა — პირველად ჩვენს მხარეში თესლით დაიწყო ნერგების გამოყვანა. ამას იმ მოსაზრებით აკეთებდა, რომ სანამყენე თავიდანვე ორგანულად შეთვისებოდა გარემო პირობებს, გამძლე და უხვნაყოფიანი გამომდგარიყო, ერთი სიტყვით, საჭირო იმუნიტეტი გამოემუშავებინა პირველი ხანებიდანვე. გლეხები გადმოდგებოდნენ ხოლმე ჩვენი

ბაღის ღობეზე და დასცინოდნენ მამაჩემს — ჩვენ ტყიდან პირდაპირა ვრგავთ მაჯისსიმსხო მაჟალოს ბაყლოებს და იმაზე გვეთანაღრება გული, ნეტა როდისღა მოგვესწრებაო, შენ კი კურკასა ყრი მიწაში და თავი ბედნიერი გგონია. ეგ ჯერ იხარებს თუ არა, ღმერთმა უწყის, მერე იმისი დამყნობა, კიდევ ლოდინი და... ასი წლის მერე, გინდ ყოფილა და გინდა არა...

მამაჩემს ეღიმებოდა იმათ ნათქვამზე და ჯიუტად განაგრძობდა თავისას. ის კი არა, სანერგე კიდევ უფრო გააფართოვა, შემოღობა და ყარაულიც კი მიუჩინა. ამაზეც ჰკვირობდნენ, ნეტავი ეგ ყარაული რიღასთვის დაიქირავა, როცა მაგის ნერგებს ისედაც არავინ ეკარება ახლოსო. მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი, ერთ დილით ყარაულმა დამნაშავის კილოთი მოახსენა მამაჩემს, წუხელის ვიღაცეებს ნერგები მოუპარავთო. დამფრთხალი იყო, მამაჩემის გაწყრომისა ეშინოდა. მაგრამ მამა არც გაბრაზებულა და არაფერი. პირიქით, გაუხარდა კიდეც ეს ამბავი. თქვა — რომ მოიპარეს, ეს კარგის მაუწყებელიაო. ეტყობა, ხალხი დაინტერესდა ჩემი ნერგებით, ახლა ხმა გაუვარდება და წამოწყებული საქმეც ფრთებს შეისხამსო. მართლაც ასე მოხდა — იმ დღიდან მამაჩემის სანერგეს მუშტარი არ გამოლევია. მამამ მრავალ ახალგაზრდას ასწავლა კვირტით მყნობა, ბაღის მოვლა, ყურისგდება. იმ ახალგაზრდებში ალბათ მეც ვიგულისხმები, მამას ხომ უმცროსები ბადრაგივით დავყვებოდით უკან. რა თქმა უნდა, ძალაუნებურად ბევრ რამეს ვსწავლობდით კიდეც მისგან. უნდა ითქვას, რომ ჩემი შემდგომი გატაცება ბოტანიკითა და ბიოლოგიით უდავოდ ტყვიავში, მამაჩემის სანერგე ნაკვეთში ჩაისახა.

*— ამჟამად, ბატონო ნიკო, ეს ნაკვეთი მთელ საქართველოს მოიცავს...*

— მეტაფორულად ალბათ შესაძლებელია ასეც ითქვას, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ იმ ბაღის ბინადართაგან ბევრის სახსენებელიც კი აღარ არის დღეს. მათი მხოლოდ აღწერილობაღა ვიცით, გემო კი არ გვინახავს. ეს შეეხება ასევე მცენარეულ და ვაზის ჯიშებსაც... შემდგომ წლებში მწარმოებლურ ჯიშებზე ორიენტაციის ალების არასწორმა პოლიტიკამ მრავალი ძვირფასი ჯიში შეიწირა, რომელთა გამოყენება ადვილად შეიძლებოდა გემოიანი და უხვმოსავლიანი ჰიბრიდების მისაღებად. ახლა რამდენი ბრძოლა გვიხდება, რათა როგორმე წარსულის დაუდევრობით გამოწვეული ზარალი ავინაზღაუროთ, მაგრამ როგორღა. მარცვლეული კულტურების კლასიკურ ქვეყანაში ის ძლივსღა მოვახერხეთ, რომ მახა და ზანდური სამუდამო დაკარგვას გადაგვერჩინა...

*— ზემოთ თქვენ ილაპარაკეთ შრომისმოყვარეობაზე. ხომ ვერ გაიხსენებდით, რა ვითარებაში შესდგა თქვენი შრომითი ნათლობა?*

— ექვსი წლისა ვიქნებოდი, როდესაც დედაჩემმა 72 ბატის ჭუჭული ჩამაბარა მოსავლელად. დილიდან საღამომდე მათ დავდევდი. მთელი ზაფხული ისე გავატარე, რომ ხუთი ბატის მეტი არ დამკლებია. იმათგან ორი ქორ-ძერამ მომტაცა და სამი კიდევ მიხეილ ერისთავმა, ჩვენმა მეზობელმა. ეს ასე მოხდა. ეშმაკად თხილის კრეფამ გამიტაცა. ერისთავიანთ სახნავის თავზე რუ გადადიოდა, მის ნაპირზე თხილი იზრდებოდა. ჩავდექი რუში, დავიწყე თხილის კრეფა. ამასობაში ბატები ყანაში გადასულიყვნენ. ოღონდ მიხეილისაში კი არა, მეზობლად მდებარე სხვის ყანაში. რომ დაინახა, წაესხა ყველა. თქვა — იმაზე წავასხი, მალე ჩემს ყანაში ამოყოფდნენ თავსო. საწანახედოში სამი ბატი წამართვა. ამ ამბავმა გული მატკინა — მთელი ზაფხულის შრომა თითქოს წყალში ჩამიყარესო. ღრმად ჩამრჩა ეს ამბავი. მე და ჩემმა ამხანაგებმა გადავწყვიტეთ, როგორმე გადაგვეხადა სამაგიერო. ერთხელ მართლა ვაპირებდით ბატების შერეკვას მის ყანაში, რომ ამ დროს მამაჩემმა მოგვისწრო და დაგვიცაცხანა: ავკაცობა იმან ჰქმნა და თქვენც გინდათ იმისი ამხანაგები გახდეთო? რა კაცის წესია, სხვისი მონაგარით ცხოვრება, მაგრამ ეგეთი რჯულისაა და რაღას იზამთ ახლა. ბატებს კარგად უგდეთ ყური, სხვა დროს აღარ გადაუშვათ ყანაში, თორემ კიდევაც წაგართმევთო.

*— გადაუხადეთ სამაგიერო?*

— როგორ არა, მაინც გადავუხადე. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში „ნაკადულში" ერთი მოთხრობა დავბეჭდე. ერისთავის მიერ ბატების მითვისების ამბავი იყო აღწერილი. თვითონ სახელით მოვიხსენიე. თბილისიდან ფოსტით გავუგზავნე ჟურნალის ის ნომერი. წაეკითხა, შეხვედროდა მამაჩემსა და ეთქვა:

— ეშმაკი ბიჭი გეზრდება, ჟურნალში ჩვენი ამბავი დაუბეჭდიაო...

*— 1907 წლიდან თქვენ უკვე გიმნაზიის მოსწავლე იყავით... თუ შეიძლება, გვიამბეთ იმჟამინდელ განწყობილებებზე, გიმნაზიაში გატარებულ პირველ დღეებზე, მასწავლებლებზე.*

— მახსოვს, საგამოცდო ოთახში ორმოცდაათამდე ბიჭი ვიყავით. თავის დროზე მეც გამომიძახეს, პროგრამის მიხედვით გამომცადეს, ვუპასუხე, რაც შემეძლო. ბოლოს, მასწავლებელს რომ შევხედე, მივხვდი, უკმაყოფილო იყო ჩემი პასუხით.

— სადაური ხარ? — მეკითხება.

— ტყვიაველი.

— თქვენში მინდორი, მდინარე არის?

— როგორ არ არის!

— აბა მიამბე რამე. ან თევზაობაზე, ან მწყერაობაზე.

გაკვირვებული შევაცქერდი, ასეთ უბრალო შეკითხვას არ მოველოდი. იმას კი შავგვრემანს სახეზე ნათელი მოეფინა.

— აბა, რაღას ფიქრობ? არ გითევზავია და გიმწყერავია?

ამან გამახალისა და დავიწყე ჩემი თავგადასავლების მოყოლა. ერთხელ ყაზახებმა ციგის წართმევა მოიწადინეს და გამომეკიდნენ, გამოვექეცი და ღობეზე გადავხტი. ციგა ღობის იქით დამრჩა, შიში დავძლიე და ციგა მაინც გადმოვიტანე. ეს ამბავი მოვყევი. მოეწონათ. მითხრეს, შენ სოფლური ლექსებიც მრავლად გეცოდინებაო.

ვიცი-მეთქი.

მოსასმენად მოემზადნენ.

„შავი ხარ, შავ ცხენზე ზიხარ,
შავი თაქალთო გიგია,
სიცილი დაგვიწყებია,
ცუდი ზნე დაგჩემებია..."

ჩემი შავგვრემანი მასწავლებელი გულიანად იცინის, ხვდება, რომ მისმა სიშავემ მათქმევინა ეს ლექსი. თავს აქნევს, თითქოს მაგრძნობინებს — შავი კი ვარ, მაგრამ სიცილი სხვაზე ნაკლებ არ მეხერხებაო... იმას ვამბობდი. ლექსები მათქმევინეს-მეთქი, ლექსების მერე გამოცანები მომთხოვეს, მთელმა მასწავლებლებმა იქ მოიყარეს თავი და მე მისმენდნენ. ბოლოს „შავი მასწავლებელი" მეუბნება:

— შენ, ჩემო ძმაო, ჩვენი პროგრამით არა იცი რა. მაგრამ ეგ სოფლური ზეპირსიტყვიერება კი ჩვენზე მეტი გცოდნია. ეგ კი ცუდი როდია. რაც სავალდებულოა, აქ გასწავლით, ეგ ლექსები კი შენ დაგვიწერე და ბარიბარში ვიქნებით...

შავგვრემანი მასწავლებელი ლუარსაბ ბოცვაძე გახლდათ, შემდეგში ჩემი მოკეთე და მეგობარი, ტკბილი მასწავლებელი. განსაკუთრებული გულისტკივილით სამი ადამიანის სიკვდილს ვიგონებ. — დედისას, მამისას და ლუარსაბისას.

გაინტერესებთ ალბათ, რაში გამოიხატა მისი მზრუნველობა ჩემდამი. უპირველესი, რაც მასწავლებელს მოეთხოვება მოსწავლის მიმართ, გულისხმიერება გახლავთ. მხოლოდ გულისხმიერ მასწავლებელს შეუძლია მოინადიროს მოსწავლის გული, დააინტერესოს და თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს იგი, ჩაერიოს მისი ბედ-იღბლის წარმართვაში. სწორედ ასე-

თი კვალი დააჩინა ლუარსაბმა ჩემს ცხოვრებას. გიმნაზიის პირველ კლასში ორი წლის დაგვიანებით მივედი. ლუარსაბმა შემატყო მოწადინება და, ალბათ, ნიჭიერებაც, ჩამიჯდა, იმდენი მამეცადინა, რომ ორი თვის შემდეგ მეორე კლასში დამსვა.

მახსოვს, ერთხელაც, არდადეგებიდან რომ ვბრუნდებოდი, სოფლად ჩაწერილი ლექსების, ანდაზებისა და გამოცანების ერთი დიდი რვეული ჩამოვუტანე. რომ გადავეცი, შუბლზე მაკოცა, ხელი მომკიდა და სამასწავლებლოში შემიყვანა.

— ის როგორ არი, როსტომმა რო თქვაო? — შემეკითხა.

,,კაი კაცის პურ-მარილი<br>
ზღვაზე ხიდად გაიდება,<br>
კარგ კაცობა ქვაზე დადე<br>
გაიარე, წინ დაგხვდება''.

ვუთხარი მე.

— ჰოდა, ეგ შენი რვეულიც წინ დაგხვდება როდისმეო, — უცბად მომიჭრა სიტყვა ლუარსაბმა.

თითქმის ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ ერთმა ახალგაზრდა მკვლევარმა, შემდეგში პროფესორმა ვარლამ თოფურიამ, მაჩვენა ჩემი პირველი რვეული, მითხრა, ქართლის კილოკავს ვსწავლობ, თქვენი ჩანაწერები მუზეუმის ფონდში ვნახე, გამოვიყენე და კიდევ მჭირდება თქვენი დახმარებაო. მართლაც, როგორ მისნურად ამიხდა ჩემი მასწავლებლის ნათქვამი.

მასთან შეხვედრა გიმნაზიაში პირველსავე მისვლაზე მართლაც რომ კეთილი გამოდგა. მოგეხსენებათ, მაშინდელი გიმნაზია ჩვენი ქართული უნივერსიტეტის შენობაში იყო მოთავსებული. სწორედ 1907 წლიდან, იქ ჩემი პირველად მისვლის დღიდან, შეიძლება ითქვას, რომ ამ შენობიდან არც კი გამოვსულვარ. აქ დავამთავრე გიმნაზია 1918 წელს, იმავე წელს იქვე შევედი უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1926 წელს. იმავე წლიდან დავრჩი ასისტენტად. 1937 წელს სადოქტორო დისერტაცია დავიცავი, 1930 წელს ფაკულტეტის დეკანად დამნიშნეს, 1945 წელს — უნივერსიტეტის რექტორად და, აი, გრძელდება დღემდე ჩემი თანამშრომლობა უნივერსიტეტში.

*— კიდევ რას გაიხსენებდით გიმნაზიაში გატარებული წლებიდან?*

— დაუვიწყარია ჩემთვის შეხვედრა საქართველოს დიდ მგოსანთან აკაკი წერეთელთან. იგი ჩვენთან მხატვრულ საღამოზე მოიწვია გიმნაზიის დირექციამ. კარებში თეთრწვეროსანი, ლამაზი შესახედაობის კაცი შემოვიდა. პალტო გაიხადა და, ის იყო, უნდა ჩამოეკიდა, რომ უცნაური ამბავი მოხდა — როგორღაც პალტოს ჯიბიდან მკვახე ტყემლები გადმოუცვივდა და იატაკზე მიმოიფანტა. ამ ამბავმა ჯერ გაოცება, მერე კი სიცილი გამოიწვია. ჩემს თვალში დიდების შარავანდედი შემოეცალა დიდ მგოსანს. ვფიქრობდი, ეგეთი მკვახე ტყემლებით სოფელში მეც რამდენჯერ მქონია ჯიბეები გამოტენილი-თქო. ვერაფრით ვერ წარმომედგინა მკვახე ტყემლები აკაკი წერეთლის ჯიბეში. იმ წუთიდან მოყოლებული დიდხანს ვებრძოდი ამ გრძნობას; ბოლოს, როცა მივხვდი, რომ პოეტებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მხოლოდღა ზენაარი ნიჭიერება ანსხვავებთ მათ უბრალო მოკვდავთაგან, უკვე მრცხვენოდა კიდეც ჩემი მაშინდელი ფიქრისა.

*— მახსოვს, თქვენს სახელს ხშირად ახსენებდნენ ხოლმე მთამსვლელები. როცა თბილისში ჩამოდიოდა ვინმე ნათესავთაგანი, თქვენს მისამართს აძლევდნენ — ნიკო ბიძიას მიაკითხეთ, ყველაფერში მოგეხმარებათო. თქვენს მეგობრობაზე მთამსვლელებთან მერმეც ბევრჯერ მსმენია. ალბათ მთების სიყვარულმა დაგაკავშირათ მათთან, არა?*

— ეგრეც იყო. მაგრამ მე კიდევ სხვა გრძნობაც მამოძრავებდა, როგორც პროფესიონალ მკვლევარს, აბსოლუტურად ხელს მაძლევდა მათთან კონტაქტი. სამთო წერაყინითა და სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი მთამსვლელისა და ბოტანიკოსის შრომას ვუთავსებდი ერთმანეთს. სამთო ექსპედიციები იმჟამად ხშირად ეწყობოდა, სამეცნიერო კი — შედარებით ნაკლებად. რატომ უნდა დამეკარგა ეს შესაძლებლობა! ასე რომ, 1923 წლიდან უკვე გიორგი ნიკოლაძის ჯგუფში ვიყავი და ყველა სამთო ექსპედიციაში ვიღებდი მონაწილეობას. მთამსვლელებთან ურთიერთობის შედეგად დაიწერა ჩემი წიგნები — ,,სარეველა მცენარეთა შვეული გავრცელება'', ,,სვანეთის სარეველა მცენარეები'', ,,კულტურულ მცენარეთა ზონები კავკასიონზე''. ყველა ეს გამოკვლევა საქართველოს მთიანეთისადმია მიძღვნილი, რასაც დამოუკიდებლად, ჩვენი სახელოვანი მთამსვლელების დაუხმარებლად ვერა და ვერ შევძლებდი, ასე მგონია, რომ უიმათოდ სხვაც ვერავინ შესძლებდა ამას. მთიანეთის მცენარეული საფარის გამოკვლევა არც ისე ადვილი საქმე გახლავთ. უნდა გქონდეს პროფესიონალი მთამსვლელის ყველა თვისება. ასე რომ, როგორც ხედავთ, ის წლები ჩემთვის ერთობ ნაყოფიერი იყო. ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, გასაგებია ჩემი დამოკიდებულება ყოფილი ,,კოლეგებისადმი'' და ასევე მათი — ჩემდამი. და თუ კი როდისმე მაინც მომეცემოდა ხოლმე საშუალება, სიკეთე მიმეზღო მათთვის, ეს იმიტომ, რომ თავს მოვალედ ვგრძნობდი მათს წინაშე. ვგრძნობ ახლაც...

საერთოდ, თუ კი ვინმე მკითხავს აზრს, ასე ვეტყვი, რომ ყველა ბოტანიკოსი და ბუნების მკვლევარი მთამსვლელიც უნდა იყოს და ასევე პირიქით — ყველა მთამსვლელი — მეცნიერების ,,სამთო დარგების'' სპეციალისტი. ყოველ შემთხვევაში, საქმისათვის ასე აჯობებდა!

*— ბატონო ნიკო, ახლა როცა გულდამშვიდებით, სიამაყის გრძნობით შეიძლება განვლილი გზისათვის თვალის გადევნება, როცა თქვენს მიერ გაწეული შრომის შედეგი სახეზეა, ორიოდე სიტყვით ხომ არაფერს გვეტყოდით თქვენი მუშაობის სტილსა თუ თავისებურებაზე. ამ შემთხვევაში გვაინტერესებს თქვენი, როგორც მეცნიერის და, ასევე, როგორც მწერლის შეხედულება.*

— ამ საკითხზე სერიოზულად არასოდეს არ მიფიქრია. ვმუშაობ ჩვეულებრივად, მთელი გატაცებით, ალბათ, როგორც ყველა მწერალი და მეცნიერი. ოღონდ ერთ რამეს კი ვიტყვი — არასოდეს, არც ჯეელობაში და არც შემდგომ, აჩქარებით არაფერი მიკეთებია. ბოლომდე ერთგული ვიყავი ბრძნული ნათქვამისა — ,,აჩქარებითა სოფელი არავის უშენებიაო''. საერთოდ, ფათხა-ფუთხით გაკეთებული საქმისა არასოდეს არა მწამდა, არც მეცნიერებაში, არც მწერლობაში და არც სხვა ნებისმიერ დარგში.

*— თქვენ ზემოთ ბრძანეთ, გიმნაზიაში ორი წლის დაგვიანებით მიმიყვანესო. აქვე დასძენთ, რომ აჩქარებით არასოდეს არ გიკეთებიათ საქმე...*

— მოდი, ვილაპარაკოთ ზოგადად — ყველა სასწაულს ამ ქვეყნად შრომისმოყვარეობა უდევს საფუძვლად, შრომისმოყვარეობაა დედათა დედა ყოველთა სიკეთეთა. ხოლო ბრავალი ჩვენგანი კი, სამწუხაროდ, ოქროს წუთებს — ყანაში, მინდვრად, ხარაჩოზე, მაგიდასთან, დაზგასთან თუ ქვეყნისა და ხალხისათვის სხვა საჭირო ადგილას გასახარჯავ წუთებს ბაბუაწვერასავით უდარდელად ატანს ქარს უკუნეთსა და მოუსავლეთში.

*— რა გზას აირჩევდით, თავიდან რომ იწყებდეთ ახლა ცხოვრებას? რაიმე კორექტივებს ხომ არ შეიტანდით?*

— ნეტავი მართლა ეგრე იყოს და... — ბატონ ნიკოს ღიმილი უკრთება სახეზე, — კორექტივებს კი აღარ შევიტანდი, რადგანაც, როგორც წეღანა ვთქვით — მევენახემ, რომელმაც კარგი რთველი მოიწია, არა მგონია, რომ შემდგომად ექსპერიმენტის ჩატარება მოიწადინოს — ამჯობინებს დაცდილი და გამართლებული მეთოდებით გასხლას, გადააწვინოს, გადარგას, გაფურჩვნოს თუ შეწამლოს თავისი ვენახი.

მეც მანდა ვარ სწორედ!

საუბარი ჩაიწერა<br>
მირონ ხერგიანმა.

## ახალი წიგნები

**მზია ჩხეტიანი**

## ზამთარი

რა შუქი და კისკასია,
რა ნათელი ლტოლვა,
მაღალი და უწმინდესი,
იდუმალი ყოვლად,
ჩამოსული სიხარულად,
ფიქრად,
თრთოლვად,
თოვლად!
მომანატრა ფრენა-
ფრენით
შორი გზების მოვლა,
დამაფრქვია ცათა ბჭენი
მოციმციმე ხომლად.
ახლა მართლაც
ყველა ნატვრის
აცხადება მჯერა,
ფიფქს კი არა,
მხრებზე მაყრის
სიზმრებს ფერად-
ფერადს!
ამიცისკრა,
ამილეწა,
ამიელვა სახე,
თეთრ პეპლებად მოჰყავს
ზეცა
და ზღაპრებში მახვევს.
მჯერა,
სადღაც ტყის ბილიკზე
შემომხვდება დათვი,
ბუნაგისკენ თოვლს
გამიკვლევს,
დამაბერებს თაფლით;
წინ მურაბებს
დამილაგებს —
ქოლოსა და პანტას.
მომიყვება ტყის არაკებს,
ტყუილსა და მართალს.
მერე გარეთ გამომიყვანს
ფიფქებთან და ქართან,
უხმობს მელებს,
კურდღლებს,
ციყვებს,
ზეიმს გამიმართავს...
ახლა მართლაც
ყველა ნატვრა
ამიხდება, მჯერა;
ფიფქს კი არა,
ზეცა მაყრის
ზღაპრებს ფერად-
ფერადს!

## ბ ე ბ ი

ვდგები,
კეთილად მიცინის
შენი სურათი, ბები!
ყოველ დღეს,
ყოველ დილას სხივიანს
შენი ღიმილით ვხვდები.
თეთრი თმა,
სახე მშვიდი და წყნარი,
თვალებში სითბო დიდი,
რა დამავიწყებს,
ძვირფასო ბები,
რა სიყვარულით
მზრდიდი!
რა დამავიწყებს შენს
პირველ წიგნებს,
პირველ ლექსებს და
ზღაპრებს,
„ლამაზად უნდა
იცხოვრო, შვილო,
რომ უკვალოდ არ
გაქრე!“
ახლაც მამხნევებს
შენი სურათი,
შენი ღიმილი, ბები!
და ამ ღიმილით,
და ამ სიკეთით
სავსეა ჩემი გზები!

**ქეთევან მიქაძე**

## მეგობრის ბარათი

სივრცე — შორი
საკმაოდ —
ფრენით გამოიარა,
უღიმოდა გზა და გზა
ცა უღრუბლო,
კრიალა.
მოფრინავდა ხალისით,
სწრაფად, შეუსვენებლივ,
სუნთქვა გამოჰყოლია
უკრაინის ველების.
სულ ველოდი,
ველოდი
და, დიდი ხნის ნანატრი,
გულზე შემომაფრინდა
დღეს მეგობრის ბარათი.

გავხსენი და...
მომესმა
მისი წრფელი გულის ხმა,
თვალში მომხვდა
ქართულად
დაწერილი სიტყვები.
სიხარულით მზესავით
ვიბადრები, ვინთები —
ჩემს ენაზე ღუღუნებს
კიეველი შორიდან...
ჰოი, რა სანუკვარი
დოის ბარათი მოვიდა!



პაატა წიკლაური, თბილისის 188-ე საშუალო სკოლა, 8 წლის.



მარინე ნადარეიშვილი, თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, 11 წლის.

ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ფურცლები

**დოდო ქოჩიაშვილი**

## რა დროს ძილია

ღამდება...
ოთახში ჩუმად შემოდიან
ქონდრისკაცები
და ჯადოსიტყვებს ჩურჩულებენ:
— რა დროს ძილია!
უპოვიათ ივრის ნაპირზე
გამოქვაბული —
სავანე ბერთა,
კედლის ნანგრევზე ნანახი ფრესკა,
ვინ იცის, რამდენ სათქმელს
აპირებს...
— რა დროს ძილია!
წინაპართა სისხლით ნაგებნი,
არიან ჩუმად,
ციხეები კიდევ რამდენნი,
ჯიუტად სდუმან შორეული
სარკოფაგები —
რა დროს ძილია...
გათხრა უნდა იმ ძველ სამარხებს
და აი, მასაც —
ხვალ რომ ნახავენ,
ახსნა სჭირია.
— რა დროს ძილია...

## წისქვილი

ფეხმოკვეცილი დედაბერივით
ცხოვრება დღეებს ართავს
და ჩემი ბედი ტომრებით აწვდის
წისქვილს — დღევანდელ
საფქვავს.
მოვა ღამე და მომიწევს ფიქრი,
ოი, რა დიდი გარჯა:
— ნეტა რამდენი დამიდგა ფქვილი,
ქატო რამდენი დარჩა...

## იმედი

გარდაიცვალა სიმშვიდე,
სოფელს გაუჩნდა ბზარი,
იყო ომი და სისხლისღვრა,
იყო გლოვა და ზარი.

იყო სამკუთხა ბარათთა,
მოლოდინი და კრთომა,
ყველა შიშობდა, მეაკვნე
ვერ შეაშინა ომმა.

ვერ მორევია სოფელი,
ცრემლზე დაგეშილ სვავებს.
ისევ მოვიდა ამბავი,
კვლავ შესანდობარს სვამენ.

ვიღაცას წირვას უხდიან,
ვიღაცა გუნდრუკს აკმევს,
მეაკვნე? — იჯდა თავისთვის
და ისევ თლიდა აკვნებს.

ფერგაცრეცილი იმედი,
სევდის კედელზე ბობღავს
და ცხენით დადის სოფელში,
ცხრათავიანი ბოღმა.

სულიერი და უსულო,
ყველა ერთ ხმაზე გოდებს,
შიში ჩაუდგათ თვალებში,
ორღობეებს და ოდებს.

ფიქრმა ვით უნდა დაგვჯაბნოს,
უსუსურმა და ფლიდმა —
ჯიუტად იჯდა მეაკვნე
და ახალ აკვანს თლიდა.

**ნელი დარსაველიძე**

## მთები

ნისლი მხრებზე წამოგისხამთ,
მწვანე მთებო, ფთილა-ფთილა.
გულხატულა ჩიტუნები
ყველა თქვენთან მოფრენილა.
ეს კეკლუცი ყვავილები
ნაირფერად გადაშლილა.
ხევში წყარო მოწანწკარებს,
მთები ბერტყავს უხვად კალთებს,
მე და ზურა ჩიტებს ვხატავთ,
მთას და მინდორს — მზეა, მათე.
მთებო, ხშირად გესტუმრებით,
სიხალისით რომ აგვავსოთ.
არ გეწყინოთ, ეგ სურათი
ზუსტად თუ ვერ დაგამსგავსოთ.



ირმა მათიაშვილი, თბილისის 58-ე საშუალო სკოლა, 11 წლის.



ნინო ჩიტაიშვილი, თბილისის 58-ე საშუალო სკოლა, 11 წლის.

8 მარტისადმი მიძღვნილი გამოფენიდან



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 3

# სიტყვისკაცობა ჩვევად აქციეთ!

ჩემო ძვირფასო ბავშვებო, მინდა ცოტა რამ მეც გითხრათ იმ საინტერესო კამათის თაობაზე, რომელიც თქვენმა საყვარელმა ჟურნალმა „პიონერმა“ თავის საახალწლო ნომერში წამოიწყო.

ხალხთა ძმობის მომღერლის, მგოსან საიათნოვას სახელი ალბათ გაგიგონიათ. მისი ნათქვამია: „სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!“.

საიათნოვა პოეტური სიტყვის ქუხილზე ლაპარაკობდა, ხოლო მუშა კაცმა — მე კი მუშა გახლავართ — თავისი საქმე უნდა აქუხოს ცასა და დედამიწაზე.

მაგრამ ამ საქმესაც, რომელიც ჩარხთან მუშაობისას სრულდება, წინ ყოველთვის უძღვის სიტყვა — ვალდებულება. ვალდებულებას სამუშაო პირობებისა და საკუთარ შესაძლებლობათა გათვალისწინებით შეიმუშავებენ ხოლმე. თავს არავინ არაფერს გახვევს, მაგრამ რასაც იკისრებ, ის უნდა შეასრულო კიდეც. ზოგჯერ ხდება, რომ ნაჩქარევად ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებენ — ეს, ჩვეულებრივ, ახალბედებს ემართებათ. მაგრამ მალე ისინიც ალღოს აუღებენ სიტყვისა და საქმის ურთიერთობის საიდუმლოებას და შემდეგ პირშეურცხვენელი წარსდგებიან ხოლმე კოლექტივის წინაშე.

ოცდამეშვიდე წელია, რაც მე ქარხანაში ვმუშაობ, და ამ ხნის მანძილზე საკუთარი სიტყვისთვის არ მიღალატნია. ამაში ერთ-ერთი მთავარი დამსახურება მიუძღვით ჩემს საყვარელ პედაგოგებს — ოსტატებს გიორგი ჟიჟილაშვილსა და გოგი მეტრეველს, სპეცტექნოლოგიის მასწავლებელს მილა კრავცოვას. ამ ადამიანებმა მე მარტო პროფესია კი არ შემაყვარეს და სპეციალობა კი არ მომცეს, არამედ ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის აუცილებელი თვისებაც ჩამინერგეს — სიტყვისა და საქმის განუყოფელობა, მათი ერთიანობის აუცილებლობა.

ახლა მე ამასვე ვასწავლი სხვებს, ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც ჩემი ბრიგადის ნახევარს შეადგენენ. ესენი საუცხოო ყმაწვილები არიან, მშრომელნი, დაუზარელნი, ხალისიანნი. თითოეული მათგანი სულ რამდენიმე წლის წინათ თქვენი თანატოლი იყო, თქვენსავით წითელ ყელსახვევს ატარებდა და ალბათ სწორედ პიონერულ ორგანიზაციაში მიეჩვია სიტყვის გაუტეხაობას, ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ამას წინათ კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლისათვის რეკომენდაცია მე თვითონ მივეცი ორ მათგანს — თემურ ორაგველიძეს (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტს) და აკაკი წერეთელს (იგი წელს ამთავრებს ტექნიკუმს).

ჩვენ ვმუშაობთ დევიზით — „ყველა ერთისათვის, ერთი — ყველასათვის!“ მე ვიცი, რომ თქვენთან ასე ხდება: ერთმა პიონერმა ორიანი რომ მიიღოს ან რაიმე დააშავოს, მთელი კლასის თუ რაზმის სირცხვილია და ყოველ ღონისძიებას ხმარობთ მის გამოსასწორებლად. ასეა ჩვენთანაც: ბრიგადის ერთმა წევრმა ვალდებულება რომ ვერ შეასრულოს (ზოგჯერ ეს საპატიო მიზეზითაც ხდება — ავადმყოფობის გამო), მთელ ბრიგადას მარცხად ჩაეთვლება. ამიტომ ჩვენ მხარში ამოვუდგებით ხოლმე ამხანაგს, თუ საჭიროა, სამუშაო საათების შემდეგაც კი ვრჩებით, ოღონდ საერთო სიტყვა არ გავტეხოთ და სხვებს არ ვათქმევინოთ: ეს რა უპირო ხალხი ყოფილაო!

თქვენც, ჩემო პატარა მეგობრებო, ასევე მხარში უნდა ამოუდგეთ ერთმანეთს და უნდა ეცადოთ, რომ სიტყვისკაცობა მტკიცე და გაუტეხელ ჩვევად გექცეთ.

ზურაბ სარალიძე,
ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენ, პიონერები, კომკავშირის ღირსეული ცვლა ვართ. ჩვენი ცვლა კი ოქტომბრელები არიან. ამიტომ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ უმცროს მეგობრებში ამთავითვე აღვზარდოთ აუცილებელი სასარგებლო ჩვევები, მათ შორის — და უწინარეს ყოვლისა — სიტყვისა და საქმის განუყოფელობის ჩვევაც.

## ჩვენი ბრალიცაა

ჩვენი სკოლა კარგა ხანია მეგობრობს უკრაინის ქალაქ დროგობიჩის მე-14 საშუალო სკოლასთან. გასული წლის ნოემბერში დროგობიჩელებმა ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალზე მიგვიწვიეს. დელეგაციაში 11 პიონერი შედიოდა. გამომშვიდობებისას მასპინძლებმა, სხვათა შორის, პატარა, საოცრად ლამაზი, ფუმფულა ნაძვის ხე გვაჩუქეს და გვითხრეს: ჩვენი მეგობრობის აღსანიშნავად სკოლის ეზოში დარგეთ და გაახარეთო.

მთელი დელეგაცია გზაში თვალისჩინივით უვლიდა ძვირფას საჩუქარს. ჩამოტანილი ნაძვი ეზოში საგანგებოდ შერჩეულ ადგილას დავრგეთ და მისი მოვლა-პატრონობა ოქტომბრელებს დავავალეთ. ბავშვები დაგვპირდნენ, რომ ნერგს სამაგალითოდ მოუვლიდნენ.

მაგრამ გავიდა ხანი და ერთ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ პატარა ნაძვი გამხმარიყო. ჩანს, ოქტომბრელებმა ზრუნვა მოაკლეს მას, ისე ვერ მოუარეს, როგორც საჭირო იყო, ვერ გაამართლეს მოცემული პირობა.

ჩვენ მათ ვუსაყვედურეთ და საუბარიც ჩავუტარეთ იმის შესახებ, რომ ნაკისრი ვალდებულება, დადებული სიტყვა აუცილებლად უნდა შესრულდეს.

თუმცა, გამოგიტყდებით, სინდისის ქენჯნას პიონერებიც ვგრძნობდით: ჩვენც ხომ უნდა გვედევნებინა თვალი, როგორ ასრულებდნენ ოქტომბრელები მოცემულ სიტყვას!

ნანა შეშაბერიძე,
კასპის მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი.

# ჩემი მეგობარი გელა

მე და ჩემი მეგობარი გელა (ჩვენ სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობთ) ხშირად ვკამათობთ ხოლმე, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი ახალგაზრდა, რომ მან თავისი საქციელით არ შეარცხვინოს ოჯახი, მეგობრები, ქვეყანა. ზოგ რამეში მე და გელა ერთმანეთს არ ვეთანხმებით, ზოგში კი მსგავსი შეხედულებისანი ვართ. ასე მაგალითად, ორივენი ვფიქრობთ, რომ ადამიანის შინაგანი ბუნება, ხასიათი, კულტურა, უპირველეს ყოვლისა, სხვებთან მის ურთიერთობაში ვლინდება.

გელა სკოლაშიც და ქუჩაშიც იშვიათი ზრდილობით, თავაზიანობით გამოირჩევა. მთავარი ისაა, რომ იგი ზრდილობიანია არა მარტო მასწავლებლების, არამედ ამხანაგების, სკოლის მორიგის, დარაჯის, დამლაგებლის მიმართაც. სწავლით იგი განსაკუთრებით არ ბრწყინავს, ოთხოსანია, მაგრამ ზრდილობით კი ყველასათვის სამაგალითოა.

და აი, ერთხელ გელას სტუმრად ვეწვიე (რაღაც წიგნი მჭირდებოდა). იგი თავისი მშობლების ერთადერთი შვილია და მისთვის ცალკე ოთახი გამოუყვიათ. ჰოდა, ვსხედვართ ამ ოთახში, ვსაუბრობთ. უცებ გელა დედას გასძახის:

— დედა, ერთი წყალი შემომიტანე!

ეს არ მომეწონა! განა ძნელი იყო, თვითონვე გასულიყო წყლის დასალევად?.. მაგრამ ეს არაფერი, მერე კიდევ უარესი მოხდა: დიასახლისს შეაგვიანდა (იქნებ სულაც არ გაუგონია შვილის ძახილი), გელამ კი არც აცია, არც აცხელა და უფრო ხმამაღლა დაუძახა:

— ქალო, არ გესმის შენ?! გამოადგი ფეხი, რა ჭირი შეგეყარა?!

მერჩივნა, მიწა გამსკდარიყო და თან ჩავეტანე! დაწყებულ სათქმელს ბოლო მოვუკვეთე, გელას ის წიგნი გამოვართვი და გულნატკენი და გაოცებული წავედი შინ.

მეორე დღეს ვუსაყვედურე. და იცით, რა მიპასუხა?

— ეს ხომ დედაჩემია, რაც უნდა ვუთხრა, ყველაფერს მომითმენსო.

წარმოგიდგენიათ?

მერე რა, რომ დედაა? მერე რა, რომ მოითმენს?! გელამ პიონერული ფიცის დადებისას განა არ გაიმეორა სიტყვები — უფროსებს ზრდილობიანად და თავაზიანად მოვექცევიო? მერედა, განა ვინმემ დაანაწილა ზრდილობა — სიტყვით ერთი თქვი და საქმით სხვა გააკეთე, სკოლაში სხვანაირად მოიქეცი და შინ კიდევ სხვანაირადო?..

გოგი ლოლაძე,

თბილისის 149-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ჩვენი შემოქმედება

## ამოცანა

ბიჭი მაღაზიაში შედის.

— რა ღირს ერთი კილოგრამი პური? — კითხულობს იგი.

— 4 ფრანკი, — უპასუხებს გამყიდველი.

— ერთი კილოგრამი შაქარი?

— 12 ფრანკი.

— 2 კილოგრამი პური და 2 კილოგრამი შაქარი რაღა ღირს?

— 32 ფრანკი.

— მე რომ 40 ფრანკი მოგცეთ, ხურდას რამდენს დამიბრუნებთ?

— 8 ფრანკს.

— გმადლობთ. თუ შეიძლება, ეს ყველაფერი რვეულში ჩამიწერეთ!

გამყიდველი წერს.

— აჰა, შენი რვეული. მაგრამ რატომ დამაწერინე ეს ყველაფერი?

— ეს არის ამოცანა, რომელიც მასწავლებელმა მოგვცა გამოსაყვანად, — უპასუხა ბიჭმა და შინისკენ გაიქცა.

ფრანგულიდან თარგმნა

ნათია ვადაჭკორიამ,

თბილისის 151-ე საშუალო სკოლა, V კლასი.

## დედა

ღამემ კალთა დამაფარა,
ჩამობნელდა მუქად,
მაინც ვხედავ შენს წყნარ თვალებს
სიხარულის შუქად.

გხედავ მაღლა — ვარსკვლავებში,
ცის სიღრმეში გხედავ,
ხან მიცინი, ხან მიწყრები,
საყვარელო დედა.

ძილდა ტკბილად დავიძინო
შენზე ფიქრში, დედა.
ეჰ, სიზმარშიც მთელი ღამე
შენ გხედავდე ნეტავ!

მამუკა ჯანგულაშვილი,

თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, X კლასი.



ბაღში. რამაზ მოძოლაშვილი, ზესტაფონის მე-8 საშუალო სკოლა, IV კლასი.

15844

ეროვნული ბიბლიოთეკა

... სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვის დაბადება

**ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი**

ენის ლექსიკური შემადგენლობა განუწყვეტლივ ივსება და მდიდრდება ახალი სიტყვებით, რომლებიც წარმოქმნილია ადრევე ცნობილი სიტყვებისა და აფიქსების მეშვეობით, ან დიალექტებიდანაა შემოტანილი, ან კიდევ ნასესხებია სხვა ენებიდან. ბევრი სიტყვა, დღეს რომ წამდაუწუმ ვხმარობთ, უხსოვარ დროსაა შექმნილი ან ნასესხები და, რასაკვირველია, ჩვენ არ ვიცით, ვინ მოიგონა ისინი, ვინ იხმარა პირველად, ვინ დაანათლა ხანგრძლივი სიცოცხლე. მაგრამ ახლო წარსულში შექმნილი . ზოგი სიტყვის შემოქმედი ან სალიტერატურო ენაში შემომტანი კი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი.

ქართული ლექსიკის გამდიდრების საქმეში განუზომელი წვლილი აქვს შეტანილი ილია ჭავჭავაძეს. ჩვენ არ გვეგულება მეორე ქართველი მწერალი, რომელიც ამ მხრივ მას მხარს უსწორებდეს. ილიამ გააცოცხლა ბევრი სიტყვა, რომელიც, მართალია, ადრევე არსებობდა ქართულ ენაში, მაგრამ დავიწყების მტვერი და ფერფლი ჰქონდა წაყრილი. ზოგი ასეთი სიტყვის მნიშვნელობა მან დააზუსტა და საყოველთაო ტერმინად აქცია იგი. ბევრი სიტყვა დიდმა მწერალმა ხალხის ცოცხალი მეტყველების საუნჯეში დაძებნა და გზა გაუკაფა სალიტერატურო ენაში, ზოგი სხვა ენებიდან შემოიტანა, მაგრამ ყველაზე მეტი კი თვითონ შექმნა ქართულისათვის დამახასიათებელი ყალიბის მიხედვით.

ჯერ პირველი რიგის ნიმუშებს გავეცნოთ. აი, თუნდაც დღეს საყოველთაოდ ცნობილი ისეთი სიტყვა, როგორიცაა **მამული.** ამ სიტყვას ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1) სამშობლო; 2) მიწა-წყალი, რომელიც ვისმეს საკუთრებას შეადგენს და მემკვიდრეობით გადაეცემა მამიდან შვილს. ორივე ეს მნიშვნელობა ძველი ქართულიდან მოდის. მაგრამ ამ სიტყვის ზოგადი, ფართო მნიშვნელობა XIX საუკუნისათვის უკვე დაჩრდილული, მიფერფლილი იყო და „მამული“ მხოლოდ მიწა-წყლის, ადგილ-მამულის მნიშვნელობითღა იხმარებოდა.

მოვუსმინოთ თვითონ ილია ჭავჭავაძეს: „ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელ ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წამოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზე სადაო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარემემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიღაა“.

შემდგომში სიტყვა **მამული** კვლავ აღდგა თავის ფართო და დიდებული მნიშვნელობით. რაც ილიას, სავსებით სამართლიანად, XIX საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეთა დამსახურებად მიაჩნია: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობით. ვისაც კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმერთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“.

სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის პირველი, ვინც ადრინდელი ძალა და ბრწყინვალება დაუბრუნა სიტყვა „მამულს“, თვითონ ილია ჭავჭავაძე იყო. გავიხსენოთ, რა ხშირად ისმის ეს სიტყვა მის ლექსებში: „ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“; „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!..“ „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“ „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!“ „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!“ და მრავალი სხვა.

მართალია, სიტყვა „მამული“ აქა-იქ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ კლასიკოსთა თხზულებებშიაც გაიელვებდა ხოლმე „სამშობლოს“ მნიშვნელობით (გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“: „გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება“ და სხვანი), მაგრამ ამ სიტყვის მთლიანად გაცოცხლება და მისთვის ძველი ძლევამოსილების დაბრუნება უთუოდ ილიას დამსახურებაა.

ამ სიტყვის გააქტიურებას მოჰყვა მისგან სხვა სიტყვათა წარმოებაც (რის უნარიც არ აღმოაჩნდა მის სინონიმს — სამშობლოს): მამულიშვილი, მამულიშვილობა, სამამულო. ამათგან მამულიშვილს ილია ხმარობდა гражданин-ის შესატყვისად. შემდგომში ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა **მოქალაქე,** რაც აგრეთვე ილიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსახურებაცაა, „მამულიშვილმა“-კი უფრო ამაღლებული და საპატიო მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს სიტყვა ილიას კალმის ნათლულია და ილიას მიერ არის გზაგაკაფული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ილიამ შესანიშნავად იცოდა, რომ ერთი მხრივ საჭირო იყო ბრძოლა უცხო სიტყვებით ენის დანაგვიანების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი ნიადაგის გაწმენდა ისეთი სიტყვებისათვის, რომლებსაც ყველა ცივილიზებული ხალხის ენაში გზა ხსნილი აქვს: „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგ-გვარნი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ, — მიმართავდა ილია თავის მოწინააღმდეგეებს, — ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ვიხმაროთ... „ოსტროვები“, „ლინიები“ და სხვა გარმიანული სიტყვები... ამისთვის დავძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია, ვერ იპოვიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს“.

ევროპული ენებიდან ახლად შემოტანილ ტერმინებს ილია იქვე ფრჩხილებში ან სქოლიოში ურთავდა სათანადო განმარტებას ანდა კონტექსტშივე აზუსტებდა სიტყვის მნიშვნელობას. აი, მაგალითად, როგორ აწვდის ილია მკითხველებს ამა თუ იმ უცხო სიტყვას, რომელიც იმ დროს განმარტებას მოითხოვდა, დღეს კი ქართულ ენაში უკვე დამკვიდრებულია: „**პროტექციონობა** მოსარჩლეობაა“, „**პამფლეტი** იქნება, თუ ძაგებაა, და რეკლამა, თუ ქებაა“, „დიქცია, სიტყვის მკაფიოდ გამოთქმა“, „მომხიბლავი ცდუნება სცენისა, რომელსაც **ილუზიას** ეძახიან“, „ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც **სატირას** ეძახიან“, „მეცნიერება ხელოვნებისა, რომელსაც **ესთეტიკას** ეძახიან“, **ცივილიზაცია** ანუ წარმატებულობა ადამიანისა“, „სია ანუ **კატალოგი**“, „თვალი უდევნებია პარიზის სითბო-სიცივეებისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, **ტემპერატურის** მეტნაკლებობისათვის“, „ნორმალური ფასი მამულისა შეადგენს უმცირეს ფასს მამულის ღირებულობისა, „ანუ როგორც იტყვიან ხოლმე, **მინიმუმია** მამულის ღირებულობისა“; „საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი **კონკურენციას** ეძახიან“, „საფრანგეთის კანონები წყლის ჩამატებასაც ღვინოში **ფალსიფიკაციას** ეძახიან, ესე იგი ყალბის ღვინის კეთებასა“.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა სავსე იყო „ოსტროვებისა“ და „ლინიების“ მსგავსი „გარმიანული“ ანუ უცხო, უხეირო სიტყვებით. ილიამ მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ასეთ სიტყვებს და ამ ბრძოლაში უპირველეს ყოვლისა ხალხის ცოცხალი მეტყველების წიაღში დაფარული საუნჯე მოიშველია. ასე დაუპირისპირა მან „**პივას**“ — **ლუდი**, „გიპსს“ — **თაბაშირი**, „კოპიოს“ — ასლი, „ტამოჟნას“ — **საბაჟო**. დღეს ეს სიტყვები ყოველი ქართველისათვის ნაცნობი და გასაგებია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მათ გზა ილია ჭავჭავაძემ გაუკაფა სალიტერატურო ენაში.

ზოგიერთი სიტყვა თუ ტერმინი ილიას ძველი ქართული ძეგლებიდან აქვს აღებული (**მოხელე, ხელისუფალი, ხელისუფლება** და სხვანი).

ცხოვრების აჩქარებულ მაჯისცემას ბევრი ისეთი ცნებაც მოჰყვებოდა, რომელთა შესატყვისი მზამზარეული სახით არც ძველ ქართულში მოიპოვებოდა, არც ხალხის ცოცხალ მეტყველებაში. საჭირო იყო ახლის შექმნა და ყველაზე მეტად სწორედ აქ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიჭი და ენობრივი ალღო.

დღეს ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხმარობთ სიტყვა **წოდებას** („მაღალი წოდება“, „საპატიო წოდება“, „მასწავლებლის წოდება“ და ა. შ.). ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, თითქოს ეს სიტყვა უხსოვარი დროიდან იხმარება ქართულში, სინამდვილეში კი ეს სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით ილიასაგან მოდის. ამის თაობაზე თვითონ ავტორი წერდა: „ჩვენს ენაში სიტყვაც კი არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა сословие ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა, ეხლა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის — ვარგა სახმარად თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგისი მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც არსად არ შეგვხვედრია“.

დედა-მიწის, დედა-ბოძის, დედა-ენის და სხვა ამგვარ სიტყვათა ანალოგიით აქვს ილიას წარმოებული **დედააზრი**, რომელსაც იგი „პრინციპის“ შესატყვისად ხმარობს. მსგავსადვე არის წარმოქმნილი **დედა-არსი**.

Право-ს შესატყვისად ილიას სხვადასხვა დროს ნახმარი აქვს **უფლება, მართლიერება** და **რჯულიერება**. ასეთი პარალელური ფორმების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დიდი სიფრთხილითა და მზრუნველობით ქმნიდა მწერალი ნაირ-ნაირ ვარიანტებს და როგორ ალღოიანად არჩევდა მათ შორის საუკეთესოს.

ილიასეული კომპოზიტია **მიწათმოქმედება**, წარმოქმნილი რუსული земледелие-ს ანალოგიით. ამავე მნიშვნელობით მასვე ნახმარი აქვს „მიწის შემუშავება“ და „მიწისმოქმედება“, მაგრამ საბოლოოდ მწერალმა შეარჩია ყველაზე მოხდენილი ფორმა, სადაც კომპოზიტის პირველი წევრი მრავლობით რიცხვშია. „გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა“, — წერს ილია და ამ პატარა ფრაზაში სამი მის მიერ შექმნილი ტერმინია: **წარმოება, მიწათმოქმედება** და **მეურნეობა**.

ილიას ენიდანვე იღებს სათავეს საყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული ისეთი სიტყვები, როგორიცაა **აგებულება, აღებ-მიცემობა, დაწესებულება, ეროვნება, კაცობრიობა, მსოფლმხედველობა, მთავრობა, მმართველობა, მიმართულება, მოთხოვნილება, რწმუნება, ღირებულება, საქონელი, მიმოქცევა, შინაარსი, სინამდვილე, განყენებული, საერო, საზოგადო, საყოველთაო** და ბევრი სხვა.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ზურაბ ჟუმბურიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.



# ლომი ტყეში

**ი. ფოისგელი** ზ ღ ა პ ა რ ი მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ტყის ბილიკების გასწვრივ ასკილი ყვაოდა. ქალბატონმა კაჭკაჭმა ქოლგა აიღო და სკუპ-სკუპით გასწია მელასთან.

— ბატონო მელა! — დაუძახა ქალბატონმა კაჭკაჭმა, — სასეირნოდ წავიდეთ, ყველგან ასკილის სურნელება დგას!

ბატონმა მელამ თავი გადააქნია:

— არა, ქალბატონო კაჭკაჭო, ჯერ ვერ წამოვალ, წუთი დრო არა მაქვს. ბოსტანი უნდა მოვრწყა, შეშა უნდა დავაპო და სარდაფში დავაწყო.

— რა სულელი ვინმეა, აზრი მთლად შემაცვლევინა! — ჩაილაპარაკა ქალბატონმა კაჭკაჭმა და ამაყად გასწია თავისი სახლისაკენ. ორი-სამი საათი წაიძინა, მერე ადგა და საგულდაგულოდ გამოიპრანჭა.

— ახლა მარტო წავალ სასეირნოდ!

ქალბატონი კაჭკაჭი სეირნობდა არყიანის მომცრო ხეივანში, ქოლგას ატრიალებდა და, რადგან მსმენელი არა ჰყავდა, თავისთვის მღეროდა. ბოლოს მარტოობისაგან დაღონდა და ბილიკის პირას ჩამოჯდა. იქვე მახლობლად, სილაზე მრავალი პატარა ნაფეხური შენიშნა.

— რა არის ეს? — ქალბატონი კაჭკაჭი ცნობისმოყვარეობით დახტოდა ერთი ნაფეხურიდან მეორისაკენ, — ვიღაცას აქ საბიჯგი ჯოხით გაუვლია.

იგი ირგვლივ იხედებოდა და ფიქრს განაგრძობდა:

— ეს, ნამდვილად ბატონი მელა იქნებოდა!

ქალბატონი კაჭკაჭი მაშინვე მიფრინდა მელიის სახლთან.

— ჩემთან არ ისურვეთ გასეირნება, მარტო კი კარგად დასეირნობდით ახალი საბიჯგი ჯოხით! — გულისწყრომა ვერ დამალა კაჭკაჭმა.

ბატონმა მელამ გაკვირვებით შეხედა.

— რა სისულელეა, ქალბატონო კაჭკაჭო! მე არც ახალი საბიჯგი ჯოხი მაქვს და არც სასეირნო დრო!

ქალბატონი კაჭკაჭი სკუპ-სკუპით დაბრუნდა უკან ხეივანში და დაიწყო სილაზე აღბეჭდილი ნაფეხურების თვლა, როდესაც 77-ე ნაფეხურთან მივიდა, სულის მოსათქმელად შეჩერდა.

— ახლავე ტყის პოლიციაში დავრეკავ და გავიგებ, ვინ გაიარა ჩვენს ტყეში საბიჯგი ჯოხით!

ქალბატონი კაჭკაჭი ტყის ტელეფონისაკენ წაცანცალდა და დარეკა. ყურმილი ბიძია ჭოტმა აიღო.

— ტყის პოლიცია გისმენთ!

— მითხარით, გეთაყვა, ვინ გაიარა ჩვენს ტყეში? სილაზე 77 ნაფეხური ამჩნევია.

ბიძია ჭოტი გაჯავრდა:

— ამისთვის მაწუხებთ?! კვალი ტყის ბილიკზე ლომმა დატოვა!

— რაოო. ლო-ლო-ლომმა? — შიშისაგან ენაწართმეულ კაჭკაჭს ყურმილი გაუვარდა.

— რა თქმა უნდა, პატარა ჭიანჭველაჭამიამ! — თქვა ბიძია ჭოტმა, მაგრამ ქალბატონ კაჭკაჭს მეტი აღარაფერი გაუგონია. იგი ტყის ბილიკთან ახლოს დაფარფატებდა და მოსთქვამდა:

— ლომი, ლომია ტყეში! ეს ხომ საშინელებაა! ვინ გადამარჩენს?

ქალბატონი კაჭკაჭი პირველად სკუპიასთან და კნუტთან მივიდა, რომლებიც ბაღის ღობეს ღებავდნენ.

— თავს უშველეთ, ტყეში ლომია! — იყვირა ქალბატონმა კაჭკაჭმა და ლურჯსაღებავიან ქოთანში ჩაყირავდა.

— ოჰ, ქალბატონმა კაჭკაჭმა ჩემი საუცხოო საღებავი დამიღვარა! — ილანძღებოდა კნუტი, მაგრამ სკუპიამ წაავლო თათი და სწრაფად წაათრია სახლში.

— ტყეში ლომია, დავიმალოთ!

სკუპიამ ურდულით ჩაკეტა კარი, კნუტმა კი დიდი, მძიმე სავარძელი მოათრია და კარს მიადგა.

ქალბატონი კაჭკაჭი მელიის სახლთან მივიდა:

— ბატონო მელა! ბატონო მელა! თავს უშველე, შმაგი ლომია ტყეში.

ბატონი მელა შავი, ფისიანი ქოთნით კიბეზე იდგა, სახლის სახურავი უნდა გაეფისა.

— რა, ნამდვილი ლომი? — იყვირა გულგახეთქილმა მელამ, ტრიალ-ტრიალით ჩამოეშვა და კიბის წინ დაეცა, ხოლო შავი ფისიანი ქოთანი დაბლა წამოვიდა და ქალბატონ კაჭკაჭს ჩამოემხო თავზე.

— მიშველეთ! მძვინვარე ლომი გადამყლაპავს! — ბატონმა მელამ ქალბატონ კაჭკაჭს თავიდან ფისიანი ქოთანი მოაცილა, შინ შევარდა და კარი ჩაკეტა.

გზაზე ბიძია ჭოტი გამოჩნდა, როდესაც ფისით გათხუპნილ კაჭკაჭს და მის გალურჯებულ ფეხებს მოჰკრა თვალი, თავი გაკვირვებით გადააქნია. იმავე წუთს ქალბატონმა კაჭკაჭმა ბიძია ჭოტს ბუმბული მოქაჩა და ბუჩქნარში გაიყვანა.

— თავს უშველეთ, ბატონო ჭოტო, ტყეში გამძვინვარებული ლომი დადის!

ბიძია ჭოტმა ამაყად იკითხა:

— ტყეში ლომი დადის? მე რომ არ ვიცოდი?

ქალბატონმა კაჭკაჭმა გაკვირვებით შეხედა ბიძია ჭოტს:

— თქვენ არ მითხარით ტელეფონით?

ბიძია ჭოტს ხარხარი აუტყდა. იგი ისე ხარხარებდა, რომ მისი ხმა მთელ ტყეს სწვდებოდა. ცნობისმოყვარე ბატონი მელა სახლიდან გამოვიდა, სკუპიამ და კნუტმაც მოირბინეს. ბიძია ჭოტი კვლავ ხარხარებდა.

— ამან შიშისაგან ჭკუა დაკარგა! — ჩაილაპარაკა კაჭკაჭმა.

ბიძია ჭოტმა თვალებიდან ფრთებით მოიწმინდა სიცილისაგან მომდგარი ცრემლები და ტყის მთელი საზოგადოების თანხლებით გაემართა ხეივნისაკენ, სადაც სილაზე აღბეჭდილი იყო 77 ნაფეხური. მან ერთ-ერთ ძაბრისებურ ორმოსთან მიწა ამოთხარა და ამოიყვანა პატარა, ნაცრისფერი ცხოველი, რომელსაც ბასრი ბრჭყალები ჰქონდა.

— აი, ეს არის საშინელი, მრისხანე ლომი — ჭიანჭველაჭამია! — ახსნა ბიძია ჭოტმა და პატარა ცხოველი ისევ ძაბრისებურ ორმოში დააბრუნა. ერთი, ორი, სამი... ჭიანჭველაჭამია სილაში სწრაფად გაუჩინარდა და ძაბრისებური ორმოდან დაიწყო სილის ამოყრა.

— ჰო, მართლა, სად არის ქალბატონი კაჭკაჭი? — დაიძახეს სკუპიამ, კნუტმა და მელაკუდამ.

— შერცხვა, — ჩაიცინა ბიძია ჭოტმა, — ამბობენ, როცა ვინმესი ერიდება, სიამოვნებით ეძლევა განმარტოებასო.

ბატონი მელა და ბიძია ჭოტი წავიდნენ და ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდნენ. სკუპია და კნუტი კი იქვე ბილიკის პირას ჩამოსხდნენ და აკვირდებოდნენ ჭიანჭველაჭამია ლომის საქმიანობას.

**გერმანულიდან თარგმნა ბ. ლამბაშიძემ, თბილისის 114-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.**






# ზნეობის ანბანი

## სინდისი

**საკუთარი ქცევისა და მოქმედების გამო მორალური პასუხისმგებლობის გრძნობა, საკუთარი თავის, ირგვლივ მყოფ ადამიანებისა და მთელი საზოგადოების წინაშე; ზნეობრივი მრწამსი, პრინციპები, შეხედულებები.**

ცხოვრებიდან აღებული ეს ორი ჩანახატი (ერთის ავტორია მასწავლებელი, მეორისა — დასტაქარი) სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს ამ მორალური თვისების გამოვლინებას.

... მაგიდაზე გეოგრაფიის რვა ახალთახალი სახელმძღვანელო ეწყო. ოლგა პეტროვნამ თქვა: ,,თვითონ გაინაწილეთ, როგორც თქვენ გინდათ. გინდათ ისევ ლატარია გაითამაშეთ, გინდათ სხვა რამე მოიფიქრეთ".

ნინა ოვჩარენკო წამოდგა, ოქროსფერი თმები შეარხია და თქვა:

— ჩემი აზრით ეს წიგნები იმათ უნდა მივცეთ, ვისაც წინა დარიგებაზე ყველაზე მეტი ნახმარი სახელმძღვანელო შეხვდა. თორემ ზოგმა ყველა გათამაშებაზე მოიგო, ლუბას კი, ხომ იცით რა უიღბლოცაა, თითქმის ყველა სახელმძღვანელო ნახმარი აღმოაჩნდა ინგლისურის გარდა, ინგლისური კი ყველას ახალი გვაქვს.

საშა პონომარიოვმა ადგილიდან წამოიყვირა:

— ეგ არ არის სწორი! — მას საერთოდ უყვარდა კამათი, მაგრამ ნინას მაინც განსაკუთრებული მონდომებით ეპაექრებოდა. მასწავლებლის გამჭოლავი მზერა რომ დაიჭირა, ადგა და ახლა უკვე დაბალი ხმით გაიმეორა: — სწორი არ არის. ავიღოთ ალიოშა, მე არ ვიცი, სკოლაში გათამაშებით რამდენი ახალი სახელმძღვანელო მოიგო, ისე კი ყველა ახალთახალი აქვს, მამამისმა უშოვა. ბევრს მშობლებმა უყიდეს. არა, ისევ ლატარია გავითამაშოთ.

ქაღალდის ფურცლები 39 პატარა ზოლად დაჭრეს და რვა მათგანზე დააწერეს ,,60 კაპ". — წიგნის ფასი. ბავშვებმა სასწრაფოდ დაიტაცეს ქაღალდები. და აი მოგებულები სიხარულით აჭყივლდნენ; ეცნენ მასწავლებლის მაგიდას და თვალის დახამხამებაში მაგიდაზე წიგნი აღარ იყო.

მაგიდასთან დარჩა მხოლოდ ლენა ივანცოვა. ის საერთოდ დიდი ჯანჯალი ვინმე იყო და ყოველთვის ყველაფერში ბოლოში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ახლაც შეწუხებული დაჰყურებდა ცარიელ მაგიდას და უხმოდ უწვდიდა მასწავლებელს ქაღალდის ნაჭერს, რომელზეც ეწერა ,,60 კაპ".

ოლგა პეტროვნამ გაოცებით შეჭმუხნა შუბლი:

— არაფერი არ მესმის, რაღაც გაუგებრობაა. ნამდვილად ეს ბილეთი შეგხვდა?

ლენას თვალები ცრემლებით აევსო.

— აბა რა, — ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა.

— არაფერი არ მესმის, — გაიმეორა ოლგა პეტროვნამ, — ასე როგორ მოხდა!.. ბავშვებო, აბა ყველანი, ვინც ,,გეოგრაფია" მიიღეთ, ჩემთან მოდით!

რვა ბავშვი მაგიდასთან მივიდა, ლენა მეცხრე იყო.

— გაუგებრობა მოხდა, როგორც ჩანს, შეცდომით რვის ნაცვლად ცხრა მომგებიანი ბილეთი გაგიკეთებიათ. ამიტომაც არ ერგო ლენას წიგნი. რა ვქნათ ახლა?

— არა, ჩვენ ნამდვილად რვა გავაკეთეთ, — დარწმუნებით განაცხადა საშამ. — მე თვითონ დავკეცე და დავჭერი რვეულის ერთი ფურცლისაგან.

ვიღაცამ წინადადება წამოაყენა, ისევ გავითამაშოთო.

— არა, — გაიქნია თავი მასწავლებელმა. — ეს უსამართლობა იქნება იმათ მიმართ, ვინც სახელმძღვანელო მიიღო.

გენა ვარიგინი — კლასში ყველაზე პატარა და ჩხუბისთავი გენა სწრაფად გავარდა კარში. დერეფანში უკვე ზარი წკრიალებდა.

შემდეგ გაკვეთილზე გენა გამომწვევად აფხორილი იჯდა; კმაყოფილი იყო თავისი უჩვეულო მიხვედრილობისა და მოხერხებულობისა. და უცებ მის ზურგს უკან სერგეი ენიუტინმა ჩაიღიღინა: ,,მე ყველაფერი ვიცი, ვიცი, ვინც აიღო სხვისი ,,გეოგრაფია".

გენკა სწრაფად შებრუნდა, სერგეი თვალმოჭუტული დამცინავად იღიმებოდა.

— ნუ გეშინია, არავის არ ვეტყვი. მე რა მესაქმება. მაგრამ იცოდე, უფასოდ კი არა! აბა, ჩამოყაჭე სამმანეთიანი.

— გადაირიე, საიდან უნდა მოგცე სამმანეთიანი? — გაცბუნებით შესძახა გენამ.

— მე დაგინახე, ახალი სამმანეთიანი რომ გქონდა.

მართლაც გენკას დედამ დილით სურსათის საყიდლად მისცა სამმანეთიანი.

— კი მაგრამ დედას რა ვუთხრა? — მოღუშულად ჰკითხა სერგეის.

— მოიფიქრე რამე. შენ ხომ ასეთი მოსაზრებული ხარ. აგერ, რა მარჯვედ გააცურე ყველა. ოლგა პეტროვნა კი ოღონდ შენზე ალაპარაკე: „ოჰ გენა, — დაიწვრილა მან ხმა, მასწავლებლის მიბაძვით, — რა მეხსიერების პატრონი ხარ, რა დიდებულად კითხულობ ლექსებს“.

გენას სერგეისთვის არ შეუხედავს, ისე ჩაიყო ჯიბეში ხელი და ფული ამოიღო.

— ეს უკვე სხვა საქმეა, — წაიქირქილა სერგეიმ.

მისი უტიფარი თვალები აშკარა დაცინვით შეჰყურებდნენ გენას. კვლავ ზარი, და გაკვეთილზე ისევ და ისევ უიმედო, არეული აზრები აწვალებდა ბიჭს.

„წყეული „გეოგრაფია“. რა ეშმაკად მინდოდა? მე ხომ სულ ტყუილად, თავშესაქცევად ავიღე ეს სულელური ბილეთი, უბრალოდ ოლგა პეტროვნა შებრუნდა და მეც დავტაცე ბილეთს ხელი, ვიფიქრე აი ავიღებ სახელმძღვანელოს და ხახვივით შემრჩება, ვერავინაც ვერაფერს ვერ გაიგებს-მეთქი. ჯანდაბას მაგის თავი, მე რა, სახელმძღვანელოს გარეშე დავრჩებოდი! რომ გადავაგდო? არ ყოფილა არავითარი „გეოგრაფია“, მორჩა და გათავდა!“

ამ აზრმა ცოტა დააწყნარა. არ იქნება სახელმძღვანელო და უმალ ყველაფერი გაქრება: განცდაც, სერგეის უტიფარი მზერაც და შემზარავი სიტყვა — „ქურდიც“.

გენა გამხნევდა და ერთხანს მასწავლებლის ლაპარაკსაც კი მიუგდო ყური. მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ოლგა პეტროვნამ თავისთან გამოიძახა ყველა, ვისაც წიგნი ერგო. ისიც ხომ იმათთან იყო! და მიხვდა, რომ გამოსავალი არ არის. აგერ კიდევ ახალი აზრი გამოიკვეთა: ეგრე გინდა, სულ თავგზა აგებნა, ერთ საქმეს მეორე მოჰყვება, და მძიმე ჯაჭვივით გეწევა ფსკერისკენ...

როგორ მოიქცეს: იქნება მივიდეს და თვითონვე აღიაროს? ან იქნებ ეს სახელმძღვანელო ლენკას მისცეს, იმას ჯერ კიდევ არ შეშრობია თვალებზე ცრემლი?

დაირეკა ზარი, ბავშვებმა კლასიდან გასვლა იწყეს. ამ დროს ვიღაცამ კარებში შემოიხედა და დაიძახა: „ვარიგინს სასწავლო ნაწილში ეძახიან!“

კაბინეტში იჯდა სერგეი და მოღუშული იცქირებოდა ფანჯარაში. აქვე იყო მამამისი, საათების ქარხნის ოსტატი. ამ ცოტა ხნის წინ მათი კლასი ექსკურსიაზე იყო იქ, და სერიოჟას მამა სიამაყით დაატარებდა ბავშვებს საამქროებში. ახლა გენკას ის როგორღაც უცნაური ეჩვენა. მან გაჯავრებულმა შეხედა გენას, სერგეიზე ანიშნა და ჰკითხა:

— რატომ მიეცი ამას ფული? — მერე სასწავლო ნაწილის გამგეს მიუბრუნდა და დასძინა: ნახევარი დღე ვეჩიჩინე, ვიდრე ვათქმევინებდი, საიდან ჰქონდა ფული, მაგრამ ის ვერაფრით დავაცდენინე, რისთვის მისცა.

— ახლავე გავარკვევთ, — მშვიდად თქვა ტატიანა ალექსანდროვნამ და გენას მიუბრუნდა: აბა რაში იყო საქმე?

დერეფანში კი ჩვეულებრივი სასკოლო ცხოვრება დუღდა...

**ი. გაღორა.**

კატასტროფა რომ მოხდა, მეორე ცვლა ახალი დაწყებული იყო. ვიქტორმა დაინახა ცარიელი ვაგონეტი, რომელიც აცეტონით სავსე ცისტერნისკენ მიგორავდა და იმავ წამში — ნიკო-




ლენინური კომკავშირი 60 წლის მანძილზე გაწეულ შრომას აჯამებს; ჩვენც ვიხსენებთ მის განვლილ გზას, ვიხსენებთ კომკავშირული და პიონერული მოძრაობის წარმომადგენლებს. ერთ-ერთი მათგანია თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი რევაზ ნინუა.

— იქნებ ორიოდე სიტყვით უამბოთ ჟურნალ „პიონერის“ მკითხველებს პიონერული აქტივის საქმიანობის პრინციპებზე, — ასეთი თხოვნით მივმართეთ პატივცემულ რევაზს.

აი, რა გვიამბო მან:

— 30 წელი სრულდება, რაც პიონერებთან მიხდება მუშაობა. მათთან ურთიერთობა მუდამ სასიამოვნო და სახალისოა. ჩემი, როგორც პიონერმუშაკის ბიოგრაფია, ჯერ კიდევ სკოლის წლებიდან დაიწყო. საერთოდ დავალებების შესრულება არ მეზარებოდა; რაზმისა და შემდეგ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. მაშინ ჩემგან მთელი პრინციპულობით მოითხოვდნენ პიონერთა საზეიმო დაპირებისა და ნორჩ პიონერთა კანონების განუხრელად შესრულებას — რიგითი პიონერებისათვის სამაგალითო უნდა ვყოფილიყავი; აუცილებლად უნდა მცოდნოდა საყვირზე და დოლზე დაკვრა, მწყობრში ფეხი არ უნდა ამშლოდა; სამწყობრო სიმღერაც პირველს უნდა წამომეწყო, კარვის გაშლაც უნდა შემძლებოდა და აზიმუტით გზის გაგნებაც არ უნდა გამჭირვებოდა. სპორტში თანრიგოსანი ვიყავი. ბიჭები ფეხბურთის მოედანზე ვათენ-ვაღამებდით, ფიზიკურად ძლიერებს შემდეგ სწავლაც არ გვიჭირდა.

...იმ წლების მადლობელი ვარ. პიონერული აქტივისტის მოვალეობის შესრულებამ იმდენი რამ მასწავლა, რომ დღემდე მომდევს მაშინდელი გამოცდილება. იმას, ვინც ნორჩ პიონერთა კანონების ყველა მოთხოვნას შეასრულებს, მომავალში არასოდეს გაუჭირდება კოლექტივის კანონებით ცხოვრება. მე და ჩემმა ამხანაგებმა უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირულ ორგანიზაციაში სწორედ სკოლის პიონერულ რაზმეულსა და კომკავშირულ ორგანიზაციაში მიღებული გამოცდილება მოვიტანეთ.

სტუდენტობის წლებში, როგორც

ლოზის ელვისებური ნახტომი ვაგონეტის შესაჩერებლად. მან მოასწრო და ვაგონეტს ბორბლებქვეშ ძელაკი შეუგდო. ვაგონეტი დაეცა და ნიკოლოზი კედელს მიაჭეჭყა. აფეთქება არ მოხდა. როცა ნიკოლოზს საკაცეზე აწვენდნენ, „სასწრაფო დახმარების“ ექიმმა თქვა, რომ მას თეძოს ღია მოტეხილობა ჰქონდა და აუცილებელი იყო სასწრაფო ოპერაცია.

საშინელმა აზრმა შეზარა ვიქტორი. ოსტატმა ხომ სწორედ მას დაავალა გუშინ, ვაგონეტი დაემაგრებინა, მან კი არაფერი არ გააკეთა და ოსტატი მოატყუა, ვაგონეტი მუხრუჭებზე დავაყენეო. ახლა კი მისი ყველაზე ახლო მეგობარი საავადმყოფოშია და ექიმები ამბობენ, შესაძლოა ფეხის მოჭრა გახდეს საჭირო.

ვიქტორმა ფიზიკურად იგრძნო დანაშაულის მწვავე ტკივილი. რატომ დალია იმ დღეს? მანამდე ხომ არაფერი მომხდარა... დანაშაულის გრძნობა თანდათან, ნელა, მაგრამ ჯიუტად იზრდებოდა რაღაც ახალ გრძნობაში.

ახლა თითქმის ყოველდღე, საავადმყოფოში მიმავალი ნელა მიუყვებოდა ზამთრის ტყეს და დაუსრულებლივ ფიქრობდა ათასჯერ ნაფიქრალს.

იგი ვერ გარკვეულიყო თავის მდგომარეობაში. ერთი რამ ცხადი იყო, ეს იყო ახალი, ჯერ არგანცდილი. ადრე იგი ყოველთვის დასცინოდა იმათ, ვინც აღტაცებაში მოდიოდა ბუნების სილამაზით: არ ესმოდა, და არც თავს იწუხებდა ამის გაგების სურვილით: „რა არის აქ ასეთი! დიდი ამბავია ეს თქვენი ლირიკა...“ ახლა კი პირველად შენიშნა, რომ ზამთრის ტყე ლამაზია. თოვლი კი — როგორი თეთრია! ალბათ ამ სითეთრეზე უფრო თეთრი არაფერი არ შეიძლება იყოს. დაბლა, მიწისპირზე ხის შტამბები თოვლით არის დაფარული და საოცრად წააგავს მარმაშებიან ქვედაკაბას.

კოდალა გულმოდგინედ აკაკუნებდა და ვიქტორს ეჩვენებოდა, რომ ჩიტი მასთან ერთად ხარობდა. ნიკოლოზი ცოტათი გამომჯობინდა. ექიმებმა ფეხი შეუნარჩუნეს. მაგრამ განა მარტო ეს ახარებს ვიქტორს?

გუშინ მან მტკიცე უარი უთხრა ძმაბიჭებს, რომლებიც დაჟინებით ეპატიჟებოდნენ დასალევად. დღეს გულმოდგინედ დაგავა იატაკი ჩარხის გარშემო, მოაგროვა ყველა წანაჭერი, რომ მის ხანში შესულ შემცვლელს ყველაფერი წესრიგში დახვედროდა. ამ დღეებში სამუშაოს შემდეგ საბავშვო ბაღშიც იყო და პატარებს ზღაპრული „კოშკი“ აუგო... ხოლო იმის გაფიქრება, რომ დედას ხელუხლებლად ჩააბარა ხელფასი, მას აქამდე განუცდელი სიამაყის გრძნობით ავსებდა, საკუთარ თვალში თითქოს სიმაღლეშიც გაიზარდა. ის უკვე აღარასოდეს გაიგონებს იმ საშინელ სიტყვას — „უსინდისო“...

საავადმყოფოში დიდხანს იჯდა ხოლმე მეგობრის საწოლთან. იქ გაეცნო დასტაქარ ზვორიკინს, რომელმაც ნიკოლოზი ფეხზე დააყენა. ბევრს საუბრობდნენ. მათ შორის იმაზეც, თუ რა არის სინდისი. ეს შენი შეხედულებაა, საკუთარი თავის, საკუთარი ქცევის, სხვებთან დამოკიდებულების შენეული შეფასება. სინდისშია ცხოვრების სიმართლე, ცხოვრების აზრი, — ასე ამბობდა ზვორიკინი. სუფთა სინდისი ამაღლებს, ჭუჭყიანი კი აიძულებს ადამიანს დაიმალოს, საკუთარ თავში ჩაიკეტოს, დაფაროს თავისი აზრები და ნამოქმედარი. ვიქტორმა ახლა თითქოს რაღაც დიდ სიმძიმეს დააღწია თავი. საკუთარ თავს სიტყვა მისცა: თუ ნიკოლოზი გამოჯანმრთელდება, ახალ ცხოვრებას დავიწყებო. იქნებ ეს დღევანდელი სეირნობა ტყეში სწორედ იმ ახალი ცხოვრების დასაწყისია?

ზვორიკინი ამბობდა, რომ არ შეიძლება ცხოვრება, თუ კაცს პასუხისმგებლობის გრძნობა არა აქვს, პასუხისმგებლობისა იმაზე, რასაც აკეთებს, როგორც იცავს მანამდე გაკეთებულს, რასაც გადასცემს საკუთარ შვილებს — შთამომავლობას.

ა. გალიცკი.

---

კი ზაფხული დადგებოდა, კომკავშირი მაშინვე პიონერთა ბანაკებში გვაგზავნიდა უფროსპიონერხელმძღვანელებად.

...წლების შემდეგ, როცა ჩემი უკვე სამსახურებრივი მოვალეობა იყო პიონერული აქტივის სწავლება თუ უფროსპიონერხელმძღვანელთა მომზადება, ყოველთვის მშველოდა მშობლიური სკოლის რაზმეულში მიღებული გამოცდილება.

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის პიონერულ ორგანიზაციას მუშაობის კარგი ტრადიცია აქვს. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ აქ მუდამ უნარიან პიონერებს ირჩევენ ხოლმე. მინდა გაგაცნოთ **ვახტანგ ნაბახტეველი,** ჩვენი სკოლის რაზმეულის საბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე.

ვახტანგი მეექვსეკლასელია. მე მას ისტორიას ვასწავლი. ეს ცოცხალი, გამრჯე და მეგობრული ბიჭია, — დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, თანაკლასელებს თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენ. კომკავშირულმა ორგანიზაციამაც გვირჩია, — რევაზ მასწავლებელო, ვახტანგ ნაბახტეველი კარგი ბიჭი ჩანს, რაზმეულს კარგად გაუძღვებაო.

არც შევმცდარვართ.

ვახტანგი არა მარტო უფროსი პიონერხელმძღვანელის გულიკო მურვანიძის, არამედ ჩემი მარჯვენა ხელიც არის.

რაზმეულის საბჭო ხშირად იკრიბება ჩემს კაბინეტში; ვსხედვართ და ვსაუბრობთ; ბავშვებს ჩემი პიონერული წლების გახსენება მოსწონთ.

ვიხსენებ აქტივისტებს: ერთს — გულმოდგინესა და კეთილსინდისიერს, მეორეს — ფართი-ფურთას, მესამეს — მხოლოდ ბრძანებების მოყვარულს; არც იმას ვუმალავ ბავშვებს, ასეთ აქტივისტებს როგორი ოინებით ვუმასპინძლდებოდით.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგი არა მარტო გაკვეთილებს სწავლობს კარგად, ამხანაგების ხასიათებშიც კარგად ერკვევა. საინტერესოა მისი უბის წიგნაკი, სადაც ჩანიშნული აქვს საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონები; იქ ნათქვამია ყველაფერი, რაც პიონერს ეხება — როგორ უნდა იქცეოდეს იგი. რას მოითხოვს სამშობლო მისგან. ვახტანგმა კარგად იცის, რომ ასე თუ ისე, კოლექტივში ყველა კარგი საქმის წარმატება პიონერებს შორის გულთბილ ურთიერთობაზეც არის დამოკიდებული.

ახლა სკოლის რაზმეული დიდი მონდომებით მუშაობს ლენინური კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო მუზეუმის შექმნაზე. მას კომკავშირელები და პიონერები აწყობენ. მუზეუმში ნათლად აისახება ჩვენი სკოლის, დედაქალაქის, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის სახელოვანი ბიოგრაფია, მისი განვითარების ეტაპები, იმ სახელოვან ადამიანთა ცხოვრება, რომლებიც ყოველთვის ყურადღებითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ კომკავშირის დავალებას, პირადი ცხოვრებით, ბრძოლითა და შრომით სახელსა და დიდებას ჰმატებდნენ მშობლიურ სკოლას.

პიონერთა საკავშირო მარშის ახალი ეტაპი პიონერთა კანონების განუხრელად შესრულებას ითხოვს, ამ საქმეში პიონერული აქტივისტის მოქმედება, საქმისადმი მისი დამოკიდებულება საუკეთესო მაგალითი უნდა გახდეს დანარჩენებისათვის.

პირველ რიგში აქტივმა თავის




## ნარგიზა მგელაძე

### ათასი მოწმე

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა კარგად იცნობს ჟურნალისტ ნარგიზა მგელაძის სახელს. მისი მოთხრობები და ნარკვევები ხშირად იბეჭდება პერიოდულ პრესაში, ხოლო მისი წიგნი „ვის ვართმევთ ხელს?“ მკითხველებმა გულითა და სულით შეიყვარეს.

შარშან „ნაკადულმა“ გამოსცა მისი კიდევ ერთი ახალი წიგნი — „ათასი მოწმე“. მასში გამოყენებულია მკითხველებთან მიწერ-მოწერა, სადაც ავტორები მსჯელობენ აქტუალურ და სერიოზულ თემებზე — სიკეთესა და ბოროტებაზე, სინდისსა და მოვალეობაზე, თავმდაბლობასა და ეგოიზმზე, პატრიოტიზმსა და ვაჟკაცობაზე... ეს წიგნი ჭეშმარიტად ადამიანური, პირდაპირი და გულახდილი საუბარია მოსწავლეებთან, საუბარი, რომელშიც დასმული და გადაჭრილია უამრავი ცხოვრებისეული საკითხი.

წიგნი ფრიად ორიგინალურად არის გააზრებული და აგებული. აქ ნახავთ მშვენიერ მოთხრობასაც („უცნობი ბიჭის დღიური“), მიმოწერიდან ამოკრეფილ სტრიქონებსაც და ზოგიერთი წერილის თემაზე ოსტატურად ჩამოქნილ ნოველებსაც („უწყინარი ნაცვალსახელი „მე“, „ერთგულება“ და სხვ.).

ნ. მგელაძის წიგნი დაეხმარება ნორჩ მკითხველებს, რომლებიც ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე უჩვეულო სიტუაციაში, ხშირად დგებიან ხოლმე ახალ-ახალი პრობლემების წინაშე. რუსთაველმა თქვა: „როდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო“. აი, სწორედ ასეთი ძმის, მეგობრის, მრჩეველის მაგივრობას გაუწევს მოსწავლეებს „ათასი მოწმე“.




---

თავს უნდა დაუსვას შეკითხვა, — როგორ იქცევა? აკეთებს თუ არა ყველაფერს ისე, როგორც ამას ნორჩ პიონერთა კანონები მოითხოვს?

პიონერები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის გადაძახილში — „სწორება კომუნისტებზე!“ ამ საქმეს კარგი ორგანიზაცია გაუკეთა ვახტანგმა. ბავშვები ხვდებიან მუშებს, დედაქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, სახელოვან ადამიანთა მაგალითზე პიონერები ნათლად ხედავენ, თუ საითკენ წარმართავს მათს საქმიანობას პიონერული კანონები.

ვახტანგის თაოსნობით ფორმდება სპეციალური სტენდი — „ჩვენი სკოლის ერთი დღე“. პიონერებს ძალიან მოსწონთ იგი — სტენდთან მუდამ ბავშვების მთელი გუნდი დგას.

სტენდი ასახავს მოსწავლეთა სპორტულ წარმატებებს, საინტერესო შეხვედრების, კონკურსებისა და ოლიმპიადების მიმდინარეობას. პიონერულ აქტივისტს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს თავისი რგოლისა თუ რაზმისათვის საინტერესო საქმის მოძებნა; ბავშვობიდანვე სხვის ხელს მიჩერებულ კაცს შემდეგ უფრო გაუჭირდება.

პიონერული აქტივისტები, მხედველობაში მყავხართ რგოლის ხელმძღვანელები, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები, არასოდეს შერცხვებით თანატოლთა, მასწავლებლების, უფროსი მეგობრის — კომკავშირის წინაშე, თუ დაიმახსოვრებთ შემდეგ რჩევას:

**პირველი:** საგულდაგულოდ უნდა მოამზადოთ საანგარიშო შეკრება რგოლში, რაზმსა და რაზმეულში.

**მეორე:** უნდა შესძლოთ პიონერული შეკრების მომზადება და ჩატარება (რაზმის საბჭოს შეკრებათა ძველი კარგი ტრადიციების შემონახვა და ახლის დამკვიდრება), პიონერული ცერემონიალის, შეკრების დღის წესრიგის სწორად განსაზღვრა, მიღებული გადაწყვეტილების თითოეულ პიონერამდე დაყვანა, შემდეგ კი შესრულების შემოწმება.

**მესამე:** არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ მთავარია ინდივიდუალური მუშაობა პიონერულ აქტივთან, თითოეულ პიონერთან, განსაკუთრებით გაჭირვების ჟამს, გვერდში ამოდგომა.

**მეოთხე:** სკოლაში უსათუოდ უნდა არსებობდეს პიონერული აქტივის კუთხე — რაზმში, პიონერულ ოთახში თუ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. პიონერთა ოთახში უსათუოდ უნდა ინახებოდეს საქაღალდე წარწერით: „მეთოდური რეკომენდაციები პიონერულ აქტივს“.

**მეხუთე:** თქვენ, პიონერული აქტივის დახმარებით, უნდა იყოთ რაზმებსა თუ რაზმეულში მასობრივი ღონისძიებების მომზადების მოთავენი.

რაზმეულის პიონერული აქტივის ერთ-ერთ მეცადინეობაზე ვახტანგმა უბის წიგნაკში ჩაიწერა ზემოჩამოთვლილი ხუთივე რჩევა, დაიმახსოვრა ისინი და თანატოლთა აქტიური მონაწილეობით პრაქტიკულადაც განახორციელა. აკი ამიტომაც გვიყვარს და პატივს ვცემთ სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს.

ისევე, როგორც სწავლაში სიბეჯითეს, ვახტანგი თავის უპირველეს მოვალეობად თვლის საზოგადოებრივი დავალებისადმი ერთგულებას. და გაბედულად მიუძღვის რაზმეულს პიონერული მარშის ახალ ეტაპზე „ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“.

**ნათელა ფაილოძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს უცხოეთში თანატოლები

# ამერიკის შეერთებული შტატების პიონერები

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან სასიხარულო ამბავი მოვიდა: ამერიკაში აღორძინებულა პიონერული ორგანიზაცია!

შენ ალბათ არ იცი, რომ ამერიკაში პიონერები პირველად ოციან წლებში გამოჩნდნენ და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე აქტიურად მოქმედებდნენ.

და აი, ახლა მოვიდა ამბავი, რომ ნიუ-იორკში, ბოსტონში, ლოსანჯელესსა და ჩიკაგოში ისევ აღორძინებულა პიონერული რაზმები. ბავშვთა გაერთიანებული ორგანიზაცია — ასე უწოდებენ თავიანთ ორგანიზაციას აშშ-ს პიონერები.

ეს პროგრესული ორგანიზაცია მუშათა შვილებს აერთიანებს. იგი შედის „სიემაში" (დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციასთან არსებული, საბავშვო ორგანიზაციათა საერთაშორისო კომიტეტი. იხ. „პიონერი" № 5, 1977 წ.). ყველა რასის 7-15 წლის გოგონას თუ ბიჭს შეუძლია პიონერი გახდეს. ორგანიზაციის წევრები ორ ჯგუფად იყოფიან — ნორჩებად (7-10 წლისანი) და პიონერებად (11-15 წლისანი).

რა ამოცანებს ისახავს ბავშვთა გაერთიანებული ორგანიზაცია?

შთაუნერგოს ბავშვებს თავისი ქვეყნის სიყვარული, პატივისცემა მუშათა კლასისა, რომელიც იბრძვის ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ორგანიზაცია პიონერებს აცნობს მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელებს, მწერლებსა და მხატვრებს, რომელნიც თავიანთ წიგნებსა და ნახატებში ასახავენ მუშათა კლასის ბრძოლას.

ახლა გავეცნოთ ამერიკელ პიონერთა კანონებს.

ორგანიზაციის წევრები იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ბავშვის თანასწორობისათვის, ეროვნებისა და კანის ფერის განურჩევლად.

პატივს სცემენ თავიანთ მშობლებს, ოჯახურ საქმიანობაში ეხმარებიან მათ.

ეხმარებიან ერთმანეთს, მუდამ ცდილობენ, სარგებლობა მოუტანონ თავიანთ ორგანიზაციას და არ უღალატონ ამხანაგს.

ორგანიზაცია ეხმარება ღარიბ ბავშვებს, ღარიბ მშობელთა შვილებს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პიონერებმა იმეცადინონ სპორტში, გაიკაჟონ ჯანმრთელობა, მიიღონ განათლება.

პიონერი ვალდებულია:

1. იცოდეს თავისი ორგანიზაციის ისტორია;

2. შეისწავლოს სხვა ქვეყნის პიონერთა ცხოვრება;

3. იბრძოლოს თავისი უფლებებისათვის.

პიონერების დევიზია: „მშვიდობა, თავისუფლება, მეგობრობა!"

ჩვენი პიონერების მსგავსად, ამერიკელი პიონერებიც წითელ სამკუთხა ყელსახვევს ატარებენ.

პიონერები, ჩვეულებრივ, კვირაობით იყრიან ხოლმე თავს 2-დან 4 საათამდე. თითოეულ პიონერს შეაქვს საწევრო — 25 ცენტი. ამ თანხით ისინი შეკრებისათვის ადგილს ქირაობენ. შეკრებაზე პიონერები ჯერ იმას უპატაკებენ, ვინ რა გააკეთა, შემდეგ კი გეგმავენ, თუ რა უნდა გააკეთონ მომავალ კვირაში. ერთ-ერთი მათგანი თანატოლებს აცნობს მსოფლიოს ამბებს, საინტერესო საკითხებს. პიონერები ხშირად უყურებენ კინოფილმებს, უსმენენ მუსიკას. ხანდახან შეკრებაზე გამოდიან უფროსი სტუმრები. შემდეგ ყველანი ერთად მიირთმევენ მსუბუქ საუზმეს და ალაგებენ იქაურობას.

ნორჩები მღერიან, ცეკვავენ, იყვანენ ამოცანებს, აგროვებენ ბიბლიოთეკისათვის წიგნებს, მათვე ევალებათ სხვა ქვეყნების პიონერებთან მიწერ-მოწერა.

პიონერები ნორჩების შეფები არიან. თვითონ ადგენენ მუშაობის გეგმას, მონაწილეობენ ორგანიზაციის მართვაში. თუ ნორჩები შეკრებაზე მეტწილად მღერიან და ცეკვავენ, პიონერებს უფრო პოლიტიკური ამბები, მეცნიერება, ისტორია, სამოქალაქო სამართალი აინტერესებთ, უყვართ სპორტი და ხელოვნება.

პიონერებს შეიძლება შეხვდეთ სტადიონზე და ტურისტულ ლაშქრობებში, საბავშვო დღესასწაულებზე და დემონსტრაციებზე.

ვუსურვოთ წარმატება ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პიონერულ რაზმებს!

ე. მატვეევა,
„პიონერი", მოსკოვი.

# ნუშისებური ჯირკვლები და ჯანმრთელობა

ნუშისებური ჯირკვლები, პირის ღრუში, ყბის შიგნით, ენის ძირთან არის განლაგებული.

ნუშისებური (ნუშის ჯირკვლები) თავისი ფორმით ნუშს წააგავს, აქედან მომდინარეობს მისი სახელი.

ნუშისებურ ჯირკვალს აქვს ორგანიზმის დაცვის უნარი. პირის ღრუში მიკრობის ან შხამის მოხვედრისას მისი უჯრედები გამოიმუშავებენ სპეციალურ ნივთიერებას, რომელთა საშუალებით შხამი განეიტრალდება, ხოლო მიკრობი ვეღარ მრავლდება და ბოლოს კვდება.

ნუშურების „საქმიანობის" შესასწავლად გამოჩენილმა მეცნიერმა ჰელგანმა ჩაატარა საინტერესო ცდა: ბაჭიებს ნუშურებში შპრიცით შეუყვანა სუფთა შავი საღებავი (ტუში). ბაჭიები თავს კარგად გრძნობდნენ, მაგრამ მეცნიერს აინტერესებდა, თუ ნუშურებში შეყვანილ საღებავს რა ბედი ეწია. ამიტომ ჰელმანი იძულებული იყო ბაჭია გაეკვეთა. მეცნიერმა მუცლისა და გულმკერდის ღრუში ვერავითარი ცვლილება ვერ ნახა. შემდეგ გაკვეთა გული და ნახა საოცრება! — შავი საღებავი გულში დაგროვილიყო, სახელდობრ გულის მარცხენა ნაწილის ხვრელთან, სადაც წინაგული პარკუჭში გადადის. მეცნიერმა გამოიტანა დასკვნა, რომ ნუშურებს გულთან უშუალო კავშირი აქვთ. მიუხედავად ამისა მოსწავლეები ხშირად უჩივიან ხოლმე გულის დაავადებას. რაშია საქმე? რატომ ვერ შველიან მას ნუშურა ჯირკვლები? გამოირკვა |რომ ნუშურა ჯირკვლებსაც ადამიანის მხრიდან ხელისშეწყობის გარეშე ყოველთვის როდი ძალუძთ დაცვა მავნე მიკრობებისა და შხამებისაგან.

რა არის საჭირო, რომ ნუშისებური ჯირკვლები, როგორც „სახელმწიფოს კარიბჭე და ციხე-სიმაგრე" ყოველთვის ღირსეულად ასრულებდეს თავის მოვალეობას?

უპირველესად ამისათვის საჭიროა ნუშისებურ ჯირკვლებზე ზემოქმედება ანუ „ფრონტის წინა ხაზისა" და ამასთანავე მთელი ორგანიზმის გამაგრება.

ფრონტის წინა ხაზის გამაგრება ნუშისებური ჯირკვლების დამცველი ძალების გაძლიერებასა და დაცვას ნიშნავს — მოვერიდოთ ავადმყოფებს, ხოლო თუ ჩვენ ვართ ავად, უნდა ვეცადოთ სხვას არ გადავდოთ იგი. დადგენილია, რომ ლაპარაკის დროს მიკრობი ნახევარ მეტრზე ვრცელდება, ხოლო დახველების დროს 5 მეტრზე.

გაფრთხილება კი მდგომარეობს იმაში, რომ ჭუჭყიანი ხელით არ ვისაუზმოთ, თითებს პირში ნუ ჩავიდებთ. უკუვაგდოთ მავნე ჩვევა — ფრჩხილების კვნეტა, ფანქრის პირში ჩადება და სხვა.

თქვენ ალბათ იცით, რომ ჩვენს ჰაერში არის მრავალი მიკრობი და რაც უფრო დიდია და მჭიდროდ არის დასახლებული ქალაქი, მით უფრო მეტია მიკრობთა რაოდენობა. არ არის მიზანშეწონილი, რომ ბავშვები ყოველი შეხვედრისას ერთმანეთს კოცნიდნენ.

მაგრამ თუ მაინც მოხვდა მიკრობი პირის ღრუში მისი დროულად განეიტრალებისათვის კარგია საღამოს ძილის წინ ყელში 4-5-ჯერ წყლის გამოვლება. ამ დროს ნუშისებურ ჯირკვლის ზედაპირზე მოხვედრილი მიკრობი ჩაირეცხება კუჭის წვენში, სადაც არსებული სიმჟავე მას მოკლავს. და ამ დროს ნუშისებური ჯირკვლის ზედაპირიც ირეცხება და სუფთავდება, ჟანგბადს კარგად ითვისებს და ნორმალურად მუშაობს.

მაშ, ასე ჩემო ნორჩო მეგობრებო, შევთანხმდეთ, რომ ყელს გამოვივლებთ ყოველთვის ღამე ძილის წინ მუდმივად და სისტემატურად, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში, სასურველია, თუ ყელის გამოვლებას დავიწყებთ ჯერ თბილი წყლით, შემდეგ თანდათანობით მის ტემპერატურას შევამცირებთ. უკეთესი იქნება თუ შეიძენთ წყლის თერმომეტრს და სანამ ყელს გამოივლებდეთ, მანამ გაზომავთ წყლის ტემპერატურას. პირველ 5 დღეს გამოივლებთ 37°-იანი წყლით, შემდეგ 5 დღეს 35°-ნით და ასე შემდეგ. ყოველ 5 დღეში ერთხელ წყლის ტემპერატურას შეამცირებთ 2-2 გრადუსით. საბოლოოდ გაჩერდებით 15-20°-იან წყალზე. ამის შემდეგ მუდმივად და სისტემატურად, სეზონის მიუხედავად გამოივლებთ ყელს 15-20° წყლით. თუ თქვენ ნუშისებურ ჯირკვლებს ასე გააკაჟებთ, მაშინ, თავისუფლად შეგეძლებათ ნაყინის ჭამა, რაც ასე ძალიან გიყვართ.

ყელის გამოსავლებად შეიძლება გამოვიყენოთ ჩვეულებრივი სასმელი წყალი ონკანიდან, წყაროს, სუფთა მდინარის, ზღვისა და მინერალური წყალი.

მხოლოდ ზემოხსენებული წესის დაცვა წყლის ტემპერატურის თანდათანობით შემცირებით წყლის ყველა სახეზე ვრცელდება. შეიძლება დაიწყოთ წყლის ერთი სახით, გადახვიდეთ მეორე ან მესამე სახეზე და ისევ დაუბრუნდეთ პირვანდელ წყალს.

ნუშურების დაძაბუნებას იწვევს ყვირილი, აგრეთვე ხმამაღალი ლაპარაკი.

„ფრონტის" წინა ხაზის გამაგრების შესახებ ამით შემოვიფარგლოთ. ხოლო „ფრონტის ზურგის" გამაგრება გულისხმობს მთელი ორგანიზმის გაკაჟებას.

ნუშისებური ჯირკვლების მწვავე ანთებას ანგინა ეწოდება — ხოლო ქრონიკულს ტონზილიტი (ლათინურად) ან ამიგდალიტი (ბერძნულად).

ანგინა ნიშნავს დახრჩობას და მართლაც ანგინის დროს ნუშურები ისე ძლიერ დიდდება, რომ ჰაერის გასავალი იხშობა და ვითარდება ჰაერის უკმარისობა.

ხანდახან ხდება ისეც, რომ სათანადო პროფილაქტიკა და დროული მკურნალობა სასურველ შედეგს ვერ გვაძლევს ხოლმე. დაზიანებული ნუშურების ორგანიზმში გაჩერება კი ბავშვისთვის მავნებელია. ასეთ შემთხვევაში მივმართავთ ექიმ-სპეციალისტს და იგი ქირურგიული მეთოდით, სახელდობრ ოპერაციის საშუალებით ამოკვეთავს დაზიანებულ ნუშურებს. ოპერაცია არ არის რთული და მტკივნეული. დაავადებული ნუშურების მოცილებით კი მოისპობა ინფექციის წყარო.

ლ. ოურომიძე,
პედიატრიის სკ. ინსტიტუტის
ოტოლარინგოლოგი.

# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის (იხ. „პიონერი", № 9 1977 წ.), საქართველოს 1977 წლის ჭაბუკთა ჩემპიონატში ცხაკაიელმა მოსწავლემ (მესამე სკოლა, IX კლასი) დავით ჩაჩიბაიამ პირველი პრიზი — საუკეთესო პარტიისათვის — გაინაწილა თბილისელ ვეფხია ნადირაშვილთან (130-ე სკოლა, VIII კლასი).

აი, ეს პარტიაც:

პარტია № 1

სიცილიური დაცვა.

დ. ჩაჩიბაია
(ცხაკაია. პირველთანრიგოსანი)

ჯ. ჯანეზაშვილი
(გორი. პირველთანრიგოსანი)

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 g6 4. c3 კg7 5. 0—0 d6

როგორც შემდგომში დავინახავთ, ეს ბუნებრივი სვლა ხერიოზულ სიძნელეებს შეუქმნის შავებს. სჯობდა 5. მf6.

6. კ:c6+ bc 7. ეe1 d5

უკეთესი იქნებოდა 7. ... მh6, რაც არა მარტო ძალთა მობილიზაციის დამთავრების საშუალებას იძლეოდა, არამედ დაკავშირებული იყო ცენტრში და მეფის ფრთაზე აქტიური მოქმედების წამოწყებასთან. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთ-ერთი შესაძლებელი გაგრძელება: 7. ... მh6 8. d3 0—0 9. h3 f5 10. e5 მf7 11. e6 მe5 12. მ:e5 de! შევაფასოთ შექმნილი პოზიცია: 1. „d" ვერტიკალის გახსნამ გააშიშვლა „d3"-ის სისუსტე, 2. შავებმა მიიღეს პაიკთა ძლიერი ცენტრი; 3. დასუსტდა e6 პაიკი, რომელიც უკვე განწირულია. არადამაკმაყოფილებელია 7. ... e5 8. d4 cd 9. cd ed 10. მ:d4 მe7 11. მეა3 (ანალიზისათვის გთავაზობთ ასეთ გაგრძელებას: 11. კg5 ლb6 12. კ:e7 კ:d4 13. კ:d6 და ახლა კ:f2+, კ:b2 ან ლ:b2 რთული თამაშით) 11. ... 0—0 12. კg5 f6 13. კf4 f5 14. e5 d5 15. მb3!±. 13. ... d5 14. ეc1 ლb6 15. მb3, ლc2 და მc5 უპირატესობით.

8. e5 e6

აქაც უკეთესი იყო 8. ... მh6, მაგ. 9. d3 0—0 10. კf4 f6 11. მb—d2 g5 12. ef ef 13. კg3 g4 14. მh4 f5 15. f3 კf6 16. კf4 მf7 ჯობდა 16. ... კ:h4 და ა. შ. 9. h3 (h6 მხედრის შეზღუდვის მიზნით) 0—0 10. g4 f5 11. g5 მf7 12. d4 cd 13. cd თეთრების უპირატესობით (მb1—c3—a4). სჯობდა 10. ... f6 11. ef ef და f6-f6 (თანაბარი ან შავების უპირ ესობით).

9. d3 მe7 10. კe3 ლ. 11. მb—d2 მf5 12. მb3 მ 13. ლc1!

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სვლა ჩაჩიბაიას წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს შუალედური სვლა და საერთოდ მსგავსი სვლები მეტყველებენ მოჭადრაკის კულტურაზე, ძალაზე. საყურადღებოა 13. მ.a5 მ:d1 14. ეa:d1 კd7 15. მb3 კf8 16. d4 c4 (თუ 16. ... cd, მაშინ 17. cd და „c" ხაზის გახსნა უფრო თვალსაჩინოს ხდის c5 და c6 სისუსტეებს) 17. მc5! კ:c5 18. dc ეb8 19. მd4! ე:b2 20. ეb1 ე:b1 21. ე:b1 და ცენტრალურ d4 უჯრაზე მხედრის დომინირებული პოზიციის გამო თეთრი ეტლის მე-7 ჰორიზონტალზე შეჭრა გადამწყვეტ ძალას იძენს. შავებს აგრეთვე დარჩათ „ცუდი" კუ (იხ. პარტია გოგლიძე — ნენაროკოვი, „პიონერი" № 1, 1976 წ.). აღვნიშნავთ, რომ მხედრის პოზიციას კიდევ უფრო აძლიერებს მოწინააღმდეგის ბანაკში c6 სისუსტის არსებობა. ამრიგად, მატერიალური მსხვერპლის გაღებით თეთრები სტრატეგიულად მოსაგებ პოზიციას იღებენ.

13. ... ლb5 14. ლ:e3 c4 15. dc ლ:c4 16. მf—d4

თეთრები აძლიერებენ (აუმჯობესებენ) მხედრის პოზიციას და ამავე დროს აფერხებენ შავების როქს. თუ ახლა 16. ... c5, მაშინ 17. მc2 კf8 18. მa3 პაიკის მოგებით.

16. ... კd7 17. ლg5

ამ სვლას ჩაჩიბაია სადავო კომენტარს ურთავს: „ამ სვლის მიზანია გამოიწვიოს h6, რითაც შავების მეფის ფრთა დასუსტდება და, თუ 0—0, მაშინ ლe7"

17. ... 0—0 18. ლe7 ეf—d8 19. ეe3 კf8 20. ლg5 h6 შეიძლებოდა აგრეთვე 20. ... c5.

21. ლf4 c5!?

ძახილისა და კითხვითი ნიშანი ჩაჩიბაიას ეკუთვნის, რითაც ეჭვქვეშ აყენებს ამ სვლას და ამჯობინებს 21. ... კg7 22. ეf3 ეf8. სინამდვილეში, საეჭვო და საბედისწეროა შავების მიმდევნო სვლა.

22. მd2 ლa4?

გადამწყვეტი შეცდომაა. 22. ... ლa6! სვლის შემდეგ შავების პოზიცია ლაზიერის ფრთაზე და ცენტრში უფრო პერსპექტიულად გვესახება, ვიდრე თეთრების შესაძლებლობები მეფის ფრთაზე. მაგალითად, 22. ... ლa6! 23. ეf3 f5! და თუ ახლა 24. მc2, მაშინ 24. ... ლa4!± 24. მb3 ლb6 და a7—a5—a4 ან 24. ef cd 25. f7+ მფh7 26. ლf6 კg7 (ლd6) 27. ლe7 dc 28. ეh3 g5 (იმუქრებოდა 29. ... ე:h6+!) 29. მf3 cb 30. მ:g5+ მფg6! (30. ... მფh8?? 31. ე:h6+! კ:h6 32. f8ლ+ 33. ლh7×) ან 30. ე:h6+ მფ:h6 31. ლ:g5+ მფh7 32. ლh5+ კh6 33. ეe1 ლd8 34. მe5 ლf5 (29. bc e5!). ცუდია 23. ... კe8?, მაგალითად, 24. მc2 კg7 (24. ... d4 25. cd cd 26. მe4!) 25. მe3±.

23. ეf3!

თეთრებმა უკვე აქ განჭვრიტეს ფინალური პოზიცია.

23. ... cd

როგორც იტყვიან, აქ ძნელია კარგი რჩევის მიცემა — 23. ... კe8 24. მ:e6! ან 23. ... f5 24. მ:e6 ლ:f4 25. მ:f4 კe8 26. მb3 მფf7 27. ეd1! კc6 28. მa5!±

24. ლ:f7+ მფh8 25. ლ:g8 კg7 26. ეf7 ეg8 27. მf8!!



შავები დანებდნენ რამდენიმე სვლაში გარდაუვალი შამათის გამო.

იპოვეთ თეთრების საშამათო მუქარა.

ველით თქვენს პასუხს.

1977 წლის „პიონერის" № 3-ში გამოქვეყნებული ცხაკაიელი მოსწავლის გ. ტყებუჩავას ამოცანა იწყება 1. მფa3! სვლით (1. ... a4 2. ეg7 a5 3. g6 მფf6 4. მe4×) ხოლო № 5-ში მოცემულ დავალებაში ნ. ღვინიანიძემ 1. ... მf3!!-ით აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

სწორი პასუხები გამოგზავნეს: გ. როგავამ, ა. მამულაშვილმა, მ. და ზ. ბათიაშვილებმა, ვ. ხოშტარიამ, მ. ჰოჰუამ, ე. კალანდარიშვილმა, კ. აბდალაძემ, ქ. აბაშიძემ, ი. ცქვიტინიძემ, მ. ბერბიჭაშვილმა, ბ. მალაზონიამ, თ. ჯაიანმა, გ. პანტურიამ, დ. დოლმელაშვილმა (თბილისი), გ. ბერძენიშვილმა (გორი), ნ. და თ. სიჭინავებმა (გალი), კ. ბალანჩივაძემ, კ. მეტრეველმა (რუსთავი), ა. ნოზაძემ (საჩხერე, ჭალაურთა), ნ. ჩერქეზიშვილმა, ი. ბორძიკულმა, ქ. ქურციკიძემ, მ. ჩობანოვამ, ს. ჭიკაძემ, ზ. ოდიშვილმა (დუშეთი), პ. ივანოვმა (ჭიათურა, ახალი ითხვისი), ნ. ჰეფხოძემ (ქუთაისი), ტ. მართალიშვილმა (ქობულეთის რ. ქაქუთი), ლ. კვარაცხელიამ (წალენჯიხა, ჭგალი).

„პიონერის" № 7-ში გამოქვეყნებული გ. ტყებუჩავას 2-სვლიანი ამოცანის ავტორისეული ამოხსნაა 1. ეf5.

პირველთანრიგოსანმა მოსწავლემ გელა გიორგაძემ (გურჯაანის რ. ღრანდა) დაადგინა, რომ ამოცანა მცდარია 1. ...კ:f6 პასუხის გამო.

ამოცანა გასწორდება, თუ d4-ზე კუს ნაცვლად პაიკს დავსვამთ.

ბავშვებო, გამოგვიგზავნეთ თქვენი საუკეთესო პარტიები და კომბინაციები თქვენივე კომენტარებით.

# სიურპრიზი

გუგული ჯოგონიძე

მხატვარი გ. ფოცხიშვილი





თეონამ აწურწუტებულ არყის ხეს ხელი ჩაავლო და თვალშეუდგამი სიმაღლიდან გადაიხედა.

— უჰ! — დაიწია უკან შემკრთალმა და ხეს მთელი ტანით აეკრა. — სულიც არ ჩამყვება!

ქვას ფეხი წაჰკრა.

ქვა კისრისტეხით დაეშვა თავქვე და თეთრად გაწოლილ მდინარეში ჩავარდა. წყლის დგაფუნი შორეთში დარხეულივით მოისმა.

გოგონამ ერთხელ კიდევ გადაიხედა. ძეწნები მოსდგომოდნენ ნაპირს. მშიშარა ბალღივით ფეხი ოდნავ შეედგათ მდინარეში და ზედაპირისაკენ თავი ისე დაეხარათ, თითქოს წყალს უნდა დაეწაფონო. მოშორებით ცისფრად შეღებილი აივნიანი სახლი იდგა. აივანზე ქალი ფუსფუსებდა. ადამიანის დანახვამ თეონას გული გაუმაგრა:

— ფრთხილად გავივლი, — გაიფიქრა და მთის კალთა შეათვალიერა. ფერდობს ყვავილებით მოჩითული კაბა ჩაეცვა და თეონამ იგი კეთილ, ალერსიან ქალს მიამსგავსა.

— აქ სადმე იქნება ის „იშვიათი ყვავილი“. უსათუოდ ვიპოვი, დავკრეფ და...

ანაზდად გოგონა გაირინდა.

— რა სურნელოვანია! — ჩაესმა უცებ ხმა. — ამბობენ, ძნელი საპოვნელია, მხოლოდ ის დაინახავს, ვინც მის მშვენიერებას ირწმუნებსო... და ნუთუ შენ იპოვი? დავიჯერო?

— რატომ? — უკვირს თეონას და ისევ ესმის ის ხმა:

— არ შეგეშინდა იმ უსაშველოდ დაგრძელებულ მთის კალთაზე სიარული? ფეხი რომ დაგცურებოდა?! ამაზე არ გიფიქრია?

— არა, მხოლოდ ყვავილზე ვფიქრობდი... მინდოდა როგორმე მეპოვნა... დღეს ხომ თქვენი დაბადების დღეა...

— საიდან გაიგე, პატარავ?

— ყური მოვკარი...

— რომ იცოდე, როგორ მიყვარს ველური ყვავილები!

— ჰოო? ასეც ვფიქრობდი: თქვენ ხომ პოეტი ხართ. ხომ გჯერათ, რომ თვითონ დავკრიფე?

— რა თქმა უნდა!

გოგონას თვალებში მზე ჩაუდგა:

— იცით, ხშირად მგონია, რომ უხილავი ფრთები გაქვთ. ზოგჯერ ფერიები გესტუმრებიან ხოლმე და მათთან ერთად მიფრინავთ... მინდორში, იქ, სადაც პეპლები მიჯნურებივით თავს დასტრიალებენ ყვავილებს... მაშინ მეც თქვენთან ერთად, თქვენს გვერდით მოვფრინავ. არა გჯერათ?!

— მჯერა, პატარავ, მჯერა!

— ვიცოდი, რომ დამიჯერებდით... სხვანაირად არც შეიძლებოდა!

გოგონა რამდენიმე წამს გარინდული იდგა და ფიქრობდა. იდგა და ფიქრობდა. სხვა დროსაც უფიქრია მასზე. მისი სახე — კეთილი, ფიქრში ჩაძირული, ოდნავ ნაღვლიანი თვალებით — თან დაჰყვებოდა, ათამამებდა, ანუგეშებდა. ამიტომ იყო, გოგონას მტრედივით სიყვარული რომ შეეძლო და მზესავით გაღიმება.

ფიქრს გაყოლილ თეონას სიფრთხილე დაავიწყდა. ფეხი მოუზომლად გადადგა, მიწა მოიშალა. ჩაეშვა და გოგონაც წაიყოლა. ძეძვის ტოტები თითქოს შეშფოთებით შეაწყდნენ ერთმანეთს, კალთა შეუშვირეს და შეაჩერეს.

— უჰ! — შვებით ამოისუნთქა თეონამ. ეკლებმა წვივები დაუკაწრა, ქუსლი ჩაექუშნა. ნაკაწრები მკლავებზე წითლად დააჩნდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ ძეძვი კალთაში ჩაფრენოდა და არ უშვებდა. ხოლო იქვე გაფართხული მაყვალი შავი თვალებით შეჰყურებდა და უცინოდა. თითქოს ეალერსებოდა გოგონას, თანაც ტუქსავდა:

— ნეტა სად მიფხოკიალობდი!

თეონამ ფეხი გადადგა — ქვები ხევში ჩახრიალდნენ. „ფრთხილად ვივლი“, — გაიფიქრა და გვერდულად გავლა სცადა, ასე უფრო იოლი გამოდგა სიარული. თუმცა ზოგან მაინც ჭირდა, იქ, სადაც ცერად დაკიდებული დაღმართი მუხლს იმაგრებდა.

წოწიალა სიო ყვითელ მზეში ჩაყუჩებულ ყვავილებს გულს უგრილებდა. ხან ფიფქა მიხაკს ეწვეოდა, ხან კლდის იასამანს, ხანაც არაბულას შეულიტინებდა იღლიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადღისას მზემ ისე დააცხუნა, სიოც კი გაილურსა და ჩერო მოძებნა.

ხელისგულისოდენა ჩრდილიც კი არსაიდან დასცემია თეონას. მუხლებდაღლილი ქვის შვერილზე ჩამოჯდა, მზისკენ ზურგშექცეული. ზაფხულის სიცხე მხრებს უწვავდა.

— ნუთუ ვერ ვიპოვი? ნუთუ არ არსებობს „იშვიათი ყვავილი?“

ის იყო, იმედი გადაეწურა, რომ უცებ კეთილმა, ფიქრში ჩაძირულმა, ოდნავ ნაღვლიანმა თვალებმა შემოანათეს:

— სულ მჯეროდა, რომ იპოვიდი, პატარავ! — უთხრა და მაღლა, მაღლა წავიდა, ცისიერს შეუერთდა.

გოგონა გაოცდა. არასოდეს უფიქრია, თუ ასე ცხადად, ასე თვალნათლივ შეიძლებოდა წარმოსახვის ხილვა. ამ ხილვამ გაამხნევა.

— მე მას ყვავილებს მივუტან და...

●

მზე ჩადიოდა. გოგონამ ყვავილებით ხელში, სულმოუთქმელად აირბინა კიბე. ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი გაიღო.

— ვინ გნებავთ? — ჰკითხა ზღურბლზე შემომდგარმა.

თეონას სახეზე სიწითლე ალივით მოედო.

— მე... მე... ყვავილები მოგიტანეთ... დღეს ხომ თქვენი... დაბადების დღეა... — ლაპარაკი უჭირდა, გული ძალუმად უცემდა.

— აა, გმადლობთ, გმადლობთ. შემოდით! — გაუღიმა მასპინძელმა.

თეონამ ფეხი ვერ გადადგა.

— ა... აქ დავრჩები! — ამოილუღლუღა ძლივს. მერე სუნთქვაშეკრულმა სწრაფად ახედა: — თქვენთვის დავკრიფე... მხოლოდ თქვენთვის...

მასპინძელს ტუჩის კუთხეში ღიმილი აუთამაშდა. ამ ღიმილმა რატომღაც შეაკრთო, დააბნია გოგონა, ყვავილები ხელში შეაჩეჩა და კიბე სწრაფად ჩაიარა. მაგრამ ქუჩაში გასვლისთანავე შეჩერდა, მოტრიალდა, კიბე ისევ სულმოუთქმელად აირბინა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

კარი მაშინვე გაიღო.

— თუ ყვავილებს წყალში მცირეოდენ მარილს ჩაუყრით, დიდხანს იცოცხლებენ! — უთხრა გოგონამ და თვალები უნებლიეთ ოთახის სიღრმისკენ გაექცა. მაგიდაზე თეთრ ლარნაკში ნაკვერჩხალივით ღაღანა მიხაკები ყელყელაობდნენ... ხოლო აქვე, შესასვლელში... ერთგან მოქუჩებულ ნაგავზე დაწუნებული პატარძალივით ფერმიხდილი, აკანკალებული ველის ყვავილები ეყარა — მისი ყვავილები! თეონა გაქვავდა. წარბსა და წარბს შუა ჩრდილი ჩაუდგა: მასპინძელმა უხერხულად გაიღიმა, მაგრამ ეს არ ჰგავდა იმ ღიმილს, თეონა რომ შეაკრთო და ენა წაართვა.

— მე მეგონა... — საქციელი წაუხდა გოგონას, დაირცხვინა, დამნაშავესავით თავი ჩაღუნა. ქვედა ტუჩი აუთრთოლდა. ახლაღა იგრძნო დაკაწრული წვივებისა და გადაქუშნული ხელისგულების წვა. ახლაღა ატკინა ქუსლი ფეხსაცმელებში ჩაცვენილმა ხვინჭამ. ახლაღა დაიხედა მტვრით შელანძღულ კაბაზე და თავი რომ ასწია, მოხდა საოცრება: მასპინძელს ის ვარდისფერი ჩრდილი მოსცილდა, ლივლივით წავიდა მაღლა და მაღლა, ზევიდან დამცინავი ღიმილით ჩამოსცქეროდა დაბლა დარჩენილს და ზეცისკენ მიიწევდა, ცისიერს ერთვოდა.



გოგონამ ეს სურათი ისეთი სიცხადით დაინახა, ისე თვალნათლივ, რომ გაოგნებულმა სიტყვაც ველარ დასძრა. არც მერე მიმხვდარა, ყველაფერი ეს ზმანება იყო თუ მხოლოდ განაფიქრი.

... გოგონა ისე შესჩვეოდა პოეტზე ფიქრს, რომ უკვე აღარ შეეძლო მივიწყება, მისი სახე კვლავაც თან დაჰყვებოდა, ამხნევებდა, ათამამებდა, ანუგეშებდა... მაგრამ თეონას მისი ვარდისფერი ჩრდილი უყვარდა მხოლოდ. ვარდისფერი ჩრდილი კი მის გარეშე არ არსებობდა.

ჰოდა, უხაროდა თეონას პოეტის დანახვა. ამიტომ იყო, მტრედივით სიყვარული რომ შეეძლო და მზესავით გაღიმება.

# ვინ როგორ ზამთრობს

ცხოველთა სამყაროს ბევრ წარმომადგენელს სულაც არ აშინებს ჭირვეული ზამთრის სუსხი და ქარბუქი. მაგალითად, შემოდგომობით თბილ ქვეყნებში არ მიფრინავენ ისეთი პაწაწკინტელა ფრთოსნები, როგორებიც წიწკანები და ჭინჭრაქები არიან. გამოზამთრებისას იმ ცხოველებისათვის, რომლებიც ზამთრის ძილს არ ეძლევიან, მთავარი პრობლემა საკვების მოპოვებაა.

აი, დაიწყო ზამთარი და ცხოველებიც იძულებული არიან შეიცვალონ ცხოვრების ნირი. მოუსვენარი წიწკანები, წივწივები და ცოცხები — ეს აღიარებული მწერიჭამიები — ზამთრობით მცენარეთა თესლზეც არ ამბობენ უარს, ჩვეულებრივი წიწკანა კი, რომელიც თანამოგვარეთა შორის ყველაზე მოზრდილია, ადამიანის ახლოს ყოფნას არჩევს და მისი თანამეინახე ხდება: კენკავს პურის ნამცეცებს, კორტნის ძაღლისთვის მიგდებულ ძვალზე შერჩენილ ხორცს, ფანჯრის რაფაზე დატოვებულ კარაქს. მარტო გრძელბოლოიანი წიწკანა არ ღალატობს ჩვეულებას და დილიდან საღამომდე გაცხარებული ეძებს ხის შტამბსა და ტოტებზე ობობებს, მწერებს და მათ კვერცხებს. მისი გრძელი ბოლო ამ დროს ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია: დათოვლილი ტოტი რომ რიგიანად შეისწავლოს, ფრინველი მას სხვადასხვა მდგომარეობაში ჩამოეკიდება ხოლმე და ამ დროს მას ბოლო წონასწორობას უნარჩუნებს.

ცხოველთა უმრავლესობას ზამთარში უჭირს საკვების მოპოვება. ირმები, შვლები, კურდღლები და ზოგიერთი სხვა ცხოველი ზამთრობით მცენარეთა ქერქითა და წვრილი ტოტებით იკვებებიან. ეს საკვებიც საკმაოდ ყუათიანია: ზამთარში ხეები და ბუჩქები საკვებ ნივთიერებათა მარაგს აგროვებენ კვირტებში, ქერქსა და, ნაწილობრივ, მერქანში.

ჩვენს მაღალმთიან ტყეებში გარეული ცხოველებისათვის ნორმალურ საკ-



არჩვები თოვლში.

ვებად ითვლება წიწვოვან მცენარეთა წიწვიც. რომელიც სწორედ ზამთარშია მდიდარი სხვადასხვა სახის ვიტამინებით.

ზამთარში ბევრი ნადირ-ფრინველი იმარაგებს საკვებს. ოცდაათ კუბურ მეტრამდე ტოტებსა და ღეროებს იმარაგებენ სახელგანთქმული მეურნეები — თახვები. ზაზუნები სოროში კილოგრამობით კაკალს, თხილს, თესლს აგროვებენ. მათი მარაგი ზოგჯერ ასი-ოთხასი დღის სამყოფია, მაშასადამე, გაცილებით იმაზე მეტი, რაც ზაზუნას ზამთარში სჭირდება. მაგრამ მარაგის რეკორდი მაინც ყვითელყელა თაგვებს ეკუთვნით. ისინი ბელორუსიის ბელოვეჟის ტევრში ცხოვრობენ. ერთხელ ასეთი რამ მოხდა: ამ თაგვის მიერ დაგროვილი სურსათ-სანოვაგის სიმძიმემ გამოანგრია უზარმაზარი ფუღუროს კედელი. აღმოჩნდა, რომ თაგვს ფუღუროში ორმოცდაშვიდი კილოგრამი სხვადასხვა ნაყოფი შეენახა.

ჩვენებურ ფრთოსნებს შორის ყველაზე ყაირათიანი „მეურნეები" ჩხიკვები არიან. უხვმოსავლიან წლებში ეს ფრინველები იმდენ რკოს ან თხილს აგროვებენ ცალ-ცალკე პატარა საკუჭნაოებად, რომ მათ ხშირად სხვა ფრთოსნები და ციყვები იყენებენ სარჩოდ.

მტაცებელი ცხოველებიც არ ამბობენ უარს „შავი დღისათვის" საკვების აუცილებელი მარაგის შექმნაზე. ათობით თაგვი ცხოვრობს კვერნისა და დედოფალას სოროებში, ბუს ფუღუროში. წავი ოცამდე კილოგრამ თევზს ინახავს



ზამთარი წლის ყველაზე მკაცრი დროა ამ მოგუზული გოლოჭანჭალასათვისაც.

წყლისპირებში, მოხერხებულ ადგილას.

ზოგჯერ ერთ ცხოველს „ძარცვავს" მეორე. ასე მაგალითად, მონადირეები ყვებიან, როგორ გადაუხვიეს მგლებმა თავიანთ სანადირო ბილიკს, სულ სხვა მხარეს გაჰქუსლეს და ხარბად გადასანსლეს რაღაც საგანი: ეს „რაღაც" აღმოჩნდა ფოცხვერის ნანადირევი და თოვლში ჩამარხული კურდღელი.

დათვი, რომელსაც მთელი ზამთარი სძინავს, შემოდგომობით ზოგჯერ წინასწარ იმარაგებს საკვებს ღარიბი გაზაფხულისათვის: მოკლულ მსხვერპლს, შინაურს თუ გარეულს, ჩამარხავს მიწაში და გულმოდგინედ შენიღბავს ხმელი ტოტებით. გაიღვიძებს თუ არა გაზაფხულზე, დამშეული ნადირი პირველ რიგში თავის „საწყობს" მიაკითხავს.

ზამთრის ძილი არაერთ ცხოველს ეხმარება, უსაფრთხოდ გაატაროს წლის ყველაზე ძნელი დრო: შემოდგომიდან გაზაფხულამდე თვლემენ დათვი და მაჩვი, თვეობით სძინავს ენოტისებურ ძაღლს. თუმცა ისიც უნდა ითქვას: ამ ცხოველებს ერთობ ფრთხილად სძინავთ და საფრთხისას თვალისდახამხამებაში ფეხზე დგებიან. გაცილებით ღრმა ძილი იციან ძილგუდამ და ზაზუნამ. ძილში საგრძნობლად ეცემა მათი სხეულის ტემპერატურა, ქვეითდება ყველა სასიცოცხლო პროცესი. იგივე შეიძლება ითქვას ვირზაზუნაზე, თრიაზე, ზღარბზე, მიწის კურდღელზე... ამ ცხოველთა სხეულის ტემპერატურა ეცემა 2-4 გრადუსამდე, ღამურებისა კი — ნულ გრადუსზე ქვემოთაც კი. გარინდების ასეთი მდგომარეობა ახლოა კლინიკურ სიკვდილთან. პატარა ნადირი არამც თუ ფიზიკურ შეხებას, მტაცებლის კბილებში მოხვედრასაც ვერა გრძნობს.

საინტერესოა, რომ არსებობს არა მარტო ზამთრის ძილი. თრიები, მიწის

# მეაკვარიუმის ანი და ჰანი

ჩვენს ქვეყანაში თანდათან მატულობს მოყვარულ მეაკვარიუმეთა რიცხვი. ეს გასაგებიცაა: გარდა იმისა, რომ ლამაზად გაფორმებული აკვარიუმი ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს, ამასთანავე იგი მშვიდი და უხმაუროა და თანაც საგრძნობლად აწონასწორებს ბინის ატმოსფეროს ტემპერატურასა და ტენიანობას.

რა უნდა იცოდეს დამწყებმა მეაკვარიუმემ, თუ მან პაწია და მშვენიერი ნაირფეროვანი თევზების მოშენება გადაწყვიტა?

აი, ზოგიერთი რამ, რისი ცოდნაც აუცილებელია:

აკვარიუმი მრავალგვარია (ფორმის თუ მასალის მიხედვით). ოთახისთვის უმჯობესია ავირჩიოთ ლითონის ჩონჩხედიანი მართკუთხა მინის აკვარიუმი 20-100 ლიტრის ტევადობით. იგი ზოგჯერ ზოომაღაზიაში იყიდება. ხოლო ვისთვისაც ხელგარჯილობა უცხო ხილი არ არის და ვისაც სარჩილავის, რკინის მაკრატლისა და ჩაქუჩის ხმარება შეუძლია, იგი თვითონ მოახერხებს აკვარიუმის დამზადებას. საამისოდ უნდა გვქონდეს ფურცლოვანი თუთია ან მოთუთიებული რკინა ფსკერისათვის, მინა — კედლებისათვის, ხოლო სხვა ნაწილებისათვის — ნებისმიერი ლითონი (1 მმ-მდე სისქისა), რომელთა რჩილვაც შეიძლება.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დეტალების, განსაკუთრებით კუთხეების გულმოდგინე მონიშვნა, რადგან მცირე უზუსტობამაც კი შეიძლება ჩონჩხედის დეფორმაცია გამოიწვიოს. მონიშნული დეტალები დაიჭრება მაკრატლით, გადაიკეცება (ნახ. 1) და აიწყობა შემდეგი თანამიმდევრობით: ჯერ მივარჩილავთ ფსკერის კუთხეებს, შემდეგ გვერდით ბრჯენებს (კუთხოვანებს) და ფსკერს, ბოლოს კი — ბრჯენებსა და ზედა ირგვლივ კუთხოვანებს.

ამის შემდეგ ვიწყებთ მინის ჩასმას. 1-ელ ნახაზზე გამოსახული აკვარიუმისათვის შეიძლება ვიხმაროთ ჩვეულებრივი ფანჯრის მინები (2,5-3 მმ), რომლებიც ისე უნდა დავჭრათ, რომ მათი წიბოები ჩასმისას არ ეხებოდნენ ჩონჩხედის კუთხეებს და მინის სიბრტყეები ურთიერთაცდენილნი არ იყვნენ, თან უნდა გავითვალისწინოთ საგოზავის სისქეც (ნახ. 2).

თუ ფსკერად ჩვეულებრივი, მოუთუთიებელი რკინა გვაქვს, იგი უნდა გადავფაროთ მინით (მაშასადამე, ამ შემთხვევაში 5 მინა დაგვჭირდება).

საგოზავისათვის იხმარება მაღალხარისხოვანი წმინდად გაცრილი ცემენტი. მას დაყრიან მინის ფირფიტაზე, ცენტრში გაუკეთებენ ღრმულს, დაასხამენ სუფთა ოლიფას ან ზეთოვან ლაქს



პუმა — მთის ლომი, ფაუნის იშვიათი წარმომადგენელი.



კავკასიაში, ლენქორანის სუბტროპიკებში, კასპიის ზღვის პირას იზამთრებს მთელი რიგი მიმომფრენი ფრთოსნებისა.

კურდღლები და უდაბნოსა თუ ნახევრადუდაბნოს სხვა მცხოვრებნი ივნის-ივლისში (როცა მცენარეულობა ჭკნება და ცხოვრების პირობები აუტანელი ხდება) ზაფხულის ძილსაც ეძლევიან. ზაფხულის ეს ძილი შემდეგ გადაიზრდება ზამთრის ძილად და ცხოველები გარინდებულ მდგომარეობაში ატარებენ წლის უმეტეს ნაწილს.

გამყინავ სიცივეებს რომ გადაურჩნენ, ნადირ-ფრინველებს სხვა შესაგუებელი საშუალებანი და ხერხებიც აქვთ. ზამთარში თბილ სამოსს იცვამენ, მათი ფრთები, ბუმბული, ბეწვი უფრო გრძელი და სქელი ხდება. კურდღელს ზამთრის გრძელყელა ჩექმები არა მარტო წაყინვისაგან იცავს — ისინი ფხვიერ თოვლში „თხილამურების" როლსაც ასრულებენ.

ყინვისაგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას ბევრი ცხოველი თოვლის საფარქვეშ პოულობს. ჩვენი მაღალმთიანეთის ისეთი ძვირფასი ბინადარი, როგორიც კავკასიური როჭოა, გრძელი ზამთრის ღამეებში თოვლში ღრმად ეფლობა, ყინვიან ამინდში კი დღისითაც არ ამოდის ზედაპირზე. ზამთრის გრძელ ღამეებში მშრალ ადგილებში მცხოვრები კაკბები ერთმანეთს ეკვრიან და ასე თბებიან. ასევე იქცევა ზოგიერთი წიწკანა, წივწივა და სხვები. ისინი იპოვნიან სადმე მოხერხებულ ღამის გასათევ ადგილს და შეიკრიბებიან მჭიდრო გუნდად. გუნდის ნაპირას მყოფი ფრთოსნები გარკვეული ხნის შემდეგ გადაინაცვლებენ შუაში და პირიქით. ასე, მთელი ღამის განმავლობაში, განუწყვეტელ მოძრაობაში არიან.

ზამთარში ნადირ-ფრინველს, მიუხედავად მკაცრ ბუნებრივ პირობებთან შეგუებულობის მთელი ვირტუოზული არსენალისა, უჭირს. ეს კარგად უნდა იცოდნენ ნორჩმა ნატურალისტებმა, მონადირეებმა. გაჭირვებაში ჩავარდნილ ცხოველებზე ნადირობა დიდ დანაშაულად ითვლება და კანონით ისჯება. ბუნების ყველა მოყვარულმა, პირიქით, ინიციატივა უნდა გამოიჩინოს და საკვები შეაშველოს, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენი მთა-ბარის დამამშვენებელ ოთხფეხებსა და ფრთოსნებს, რათა მათ მიერ მონიჭებული სიხარულით კვლავაც მრავალჯერ დავტკბეთ.

არნოლდ ბეგეჯკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

---

და ჯოხით ურევენ სითხის შეწოვამდე, შემდეგ ცომივით აზელენ და თანდათანობით უმატებენ ცემენტს, ვიდრე მთელი მასა ჩვეულებრივი ფანჯრის საგოზავივით არ შესქელდება.

პირველად უნდა ჩაისვას ფსკერის მინა (თუ ფსკერად თუთია არა გვაქვს). რკინის ფურცელს ფარავენ საგოზავის თხელი თანაბარი ფენით, ზედ დაადებენ ზომაზე გამოჭრილ მინას და ორივე ხელისგულის ფრთხილი, მაგრამ ღონიერი წინაუკმო მოძრაობით მჭიდროდ დააკრავენ რკინას (ლითონსა და რკინას შორის არ უნდა დარჩეს ცარიელი სივრცე ან ჰაერის ბუშტულები).

შემდეგ დგება გასწვრივი (დიდი) მინის ჩასმის ჯერი. აქაც ისევე ვიქცევით, როგორც ფსკერის მინის ჩასმისას. მოპირდაპირე მინის ჩასმაზე კი ვინმე უნდა მოვიშველიოთ: ჩონჩხედს გადავაბრუნებთ და, ვიდრე ჩვენს დამხმარეს ახალჩასმული გასწვრივი მინა მჭიდროდ უჭირავს, ჩვენ მის მოპირდაპირე მინას ჩავსვამთ.

გასწვრივი მოპირდაპირე მინები აუცილებლად უნდა გავამაგროთ ხის დროებითი პერპენდიკულარული ბრჯენებით, ოღონდ, მინა რომ არ გასკდეს, ბრჯენის წვეროსა და მინას შორის რეზინის ან ფირფიცრის პატარა ნაჭრები უნდა დავატანოთ. ასევე ვსვამთ და ვამაგრებთ განივ (პატარა) მოპირდაპირე მინებსაც. ამის შემდეგ დანით ჩამოვჭრით ზედმეტ საგოზავს და აკვარიუმს უხიფათო ადგილას დავდგამთ გასაშრობად.

გასვრილი ხელები ჯერ ნავთით უნდა დავიბანოთ, მერე კი თბილი წყლითა და საპნით (უმჯობესია, თუ თავიდანვე ვიხმართ რეზინის ხელთათმანებს).

ოთახის ტემპერატურის პირობებში აკვარიუმი 5-6 დღეში გაშრება. ეს დრო რომ გავა, ხის ბრჯენები უნდა მოვხსნათ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავასხათ წყალი.

გარედან აკვარიუმის ჩონჩხედს ემალის ან ზეთის საღებავით ღებავენ. ფერი სადა უნდა ავირჩიოთ, უმჯობესია მწვანე — წყალმცენარეების შესაფერისი, ან ღია ცისფერი.

ახალდამზადებულ (ან მაღაზიაში შეძენილ) აკვარიუმში წყალს რომ ჩავასხამთ, ორი-სამი დღე უნდა ვაცალოთ და თვალი ვადევნოთ, საიდანმე ხომ არ მოჟონავს წყალი (ამასობაში საგოზავის ზედაფენები ხსნადი მინარევებისაგან გაიწმინდება და ლაქის სუნიც გაქრება). ერთი-ორი დღის შემდეგ წყალს გადავღვრით და უკვე შეგვიძლია შინაური წყალქვეშა სამყაროს მოწყობაზე ვიზრუნოთ. თუ აკვარიუმს მუდმივ ადგილს მივუჩენთ და წყლით სავსეს ხშირად არ გადავაადგილებთ, იგი დიდხანს (რამდენიმე წელიწადს) მოგვემსახურება.

თუ შეერთების ადგილიდან წყალი დიდი რაოდენობით მოჟონავს, აკვარიუმი უნდა გადავაკეთოთ — მინები ამო-




ნახ. 1. აკვარიუმის ჩონჩხედის დეტალები: ა, დ — ზედა ირგვლივი კუთხოვანები; ბ — გვერდითი ბრჯენები; გ — ფსკერი; ე,ვ — დეტალების გადაკეცვა; ზ — მზა ჩონჩხედი.

ვიღოთ, გავასუფთაოთ და ხელახლა ჩავსვათ, ოღონდ ახლა — უფრო მეტი მონდომებითა და ყურადღებით. თუკი ჟონვა უმნიშვნელოა, წყალს გადავღვრით და ჟონვის ადგილს ამოვავსებთ ან იმავე საგოზავით, რომელიც მინების დაკვრისას ვიხმარეთ, ან ბფ-2 წებოთი. სხვათა შორის, ამ წებოთი ფარავენ აკვარიუმის შიგნით შეერთების ადგილებსაც (იმ შემთხვევაში, როცა საგოზავიდან ზეთოვანი ნივთიერებები გამოიყოფა). შეკეთების შემდეგ აკვარიუმი უნდა გავაშროთ (სამი-ოთხი დღის განმავლობაში).

უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო პატარაა აკვარიუმი, მით უფრო მეტი მოვლა სჭირდება მას. 1-ელ ნახაზზე გამოხატული აკვარიუმი ოცლიტრიანია. თუ უფრო დიდი ტევადობის (50-60 ლიტრი) ჭურჭლის დამზადებას მოვისურვებთ, მასალა უფრო მეტი სისქისა დაგვჭირდება (1,5-2 მმ), ხოლო ჩონჩხედის სიმტკიცისათვის ლითონის




შეკეცილ ნაპირებში მავთული უნდა დავატანოთ (d=4 მმ). მინის სისქე ამ შემთხვევაში 5 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მაშ ასე, საკუთარი ხელით გაკეთებული (ან მაღაზიაში შეძენილი) აკვარიუმი უკვე გვაქვს. ახლა შეგვიძლია გრუნტისა და წყლის მომზადებაზე ვიზრუნოთ.

**იური ანდრეევი,**
მოყვარული მეაკვარიუმე.

## სარჩევი


კილასონია ნ. — გიყვარდეთ დედები (ლექსი) . გარეკ. 2. გვ.
აფხაზავა ნ. — ღიმილით განათებული ახალმოსახლობა (ნარკვევი) . . . . . . . 1
ნუცუბიძე ნ. — სტუდენტი — პიონერების მეგობარი (ნარკვევი) 4
კობერიძე კ. — ქურდი (მოთხრობა, დასასრული) . . . 6
ხერგიანი მ. — ბერმუხა. (ნ. კეცხოველის დაბადების 80 წლისთავი) . . . . . . . . 11
ჩხეტიანი მ. — ზამთარი; ბები (ლექსები) . . . . . 14
მიქაძე ქ. — მეგობრის ბარათი (ლექსი) . . . . . 14
ქოქიაშვილი დ. — რა დროს ძილია; იმედი; წისქვილი (ლექსები) . . . . . . . . 15
დარსაველიძე ნ. — მთები (ლექსი) . . . . . 15
აისი . . . . . . . . 16
ჭუმბურიძე ზ. — სიტყვის დაბადება (წერილი) . . . . . 18
ფოისტელი ი. — ლომი ტყეში (ზღაპარი, თარგმანი) . . 20
ზნეობის ანბანი — სინდისი . . . . . . 21
ფაილოძე ნ. — ვახტანგი ჩვენი მარჯვენა ხელია (ნარკვევი) 22
ახალი წიგნები . . . . . . 24
შენი უცხოელი თანატოლები . . 25
ოყროშიძე ლ. — ნუშურა ჯირკვლები და ჯანმრთელობა (წერილი) . . . . . . . . 26
მხედრიონი . . . . . . . 27
ტოგონიძე გ. — საჩუქარი (მოთხრობა) . . . . . 28
გეგეჭკორი ა. — ვინ როგორ ზამთრობს (წერილი) . . . .29
ანდრეევი ი. — მეაკვარიუმის ანი და ბანი (წერილი) .
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3 გვ.


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა აკაკი თევზაძისა.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 25/I-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III-78 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 290. ტირ. 150.660. უე 08108.

ფასი 20 კაპიკი




© „პიონერი", 1978 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კროსვორდი



თარაზულად: 3. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 5. მდინარე ევროპაში; 7. ქალაქი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; 10. სახელმწიფო აზიაში; 11. ძველი თბილისის უბანი; 12. ქალაქი ჩილეში; 13. ვიეტნამის დედაქალაქი; 15. მთები ჩეხოსლოვაკიაში; 17. მდინარე ბალტიისპირეთში; 19. ქალაქი ჩინეთში; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. თურქეთის დედაქალაქი.

შვეულად:

1. ქალაქი საფრანგეთში; 2. მდინარე საქართველოში; 4. ქალაქი საბერძნეთში; 5. მდინარე ევროპაში; 6. მთები აზიაში; 8. ქალაქი ინდოეთში; 9. სახელმწიფო აზიაში; 14. ქალაქი ჩილეში; 15. ესტონეთის დედაქალაქი; 16. კურორტი შავ ზღვაზე; 17. სახელმწიფო ევროპაში; 18. სახელმწიფო აფრიკაში.

ცისკარა ყვარელაშვილი,
თეთრი წყარო, სოფ. კოდის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## მოძებნე განსხვავება

შეამოწმე შენი დაკვირვების უნარი: მარცხენა სურათი მარჯვენისაგან ათი დეტალით განსხვავდება. აბა რა დეტალებით?





ჩილელი ბავშვების თამაში

### ხილიანი კალათა

ბავშვები ჩაცუცქდებიან, წრეს შეკრავენ, თითოეული მათგანი რომელიმე ხილის სახელს დაირქმევს, ვთქვათ: ერთი ფორთოხალი იქნება, მეორე—ვაშლი, მესამე—ყურძენი და ასე შემდეგ. ერთ-ერთი მოთამაშე „მყიდველი“ — შუა წრეში დგას. ბავშვები ეკითხებიან, რისი ყიდვა გსურსო, მას შეუძლია უპასუხოს, მაგალითად: „მინდა ვიყიდო ვაშლი და მსხალი“. მაშინ „ვაშლი“ და „მსხალი“ სწრაფად იცვლიან ადგილებს, ამასობაში „მყიდველიც“ ცდილობს დაიკავოს რომელიმე განთავისუფლებული ადგილი. თუ ეს მოახერხა, ახლა უადგილოდ დარჩენილი ისჯება — დგება შუა წრეში და ის ხდება „მყიდველი“.



გამოცანები:

ერთ გამოცანას გეტყვი და
პასუხი მითხარ სწორი:
ვერცხლის სიმებად იბმება
ცასა და მიწას შორის.

შ. ამირანაშვილი.

ღამე ანათებს,
ელვა არ არის,
ტყეში ანთია
ცეცხლის მაგვარი;
ხელს თუ დაადებ,
იგი არ დაგწვავს,
არა აქვს კვამლი,
არცა ლადარი.

ალექსი ნამორაძე.

პასუხი № 2-ში
მოთავსებულ
„ცხრაკლიტულზე“

კროსვორდი

თარაზულად: 1. სამხრეთი; 4. სოგდიანა; 7. ოუენი; 8. ნეონი; 10. მოსკოვი; 12. სიცილია; 15. კორეა; 16. ვერდი; 21. ერესუნი; 23. ალოე; 24. პიკი; 25 ალიზი; 26. უბე; 27. ქნარი; 28. ურვა; 30. პერუ; 33. თეკერეი; 38. ატომი; 39. ზევსი; 40. რილეევი; 41. ანაკლია; 44. ფინია; 45. ადაჯო; 46. აისბერგი; 47. ინდუქცია.

შვეულად: 2. ატმოსფერო; 3. ილია; 4. სენა; 5. ნიკოლაევი; 6. კომბოსტო; 9. ლიაოდუნი; 11. ირინე; 12. სეიფი; 13. ბრკე; 14. მუმუ; 17. ორაგული; 18. დარიალი; 19. რაფაელი; 20. თაიგული; 22. საბუე; 29. ვიქტორია; 31. ერისთავი; 32. ქამელეონი; 33. თოხლი; 34. კიმი; 35. რაჭა; 36. იუნგა; 37. იდეალიზმი; 42. ლალი; 43. რალი.

გამოცანები

ბურთი, სირაქლემა, ლამე, გედი, კვამლი, ჩანგალი, ქარბუქი, კუნელი.

ამოცანა 28.

## მოსწავლეთა შემოქმედება



ნატურმორტი



განაკში

ფიგურული სრიალი






ბაზარში

გასულ წელს, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში მოეწყო VI კლასის მოსწავლის ლელა ხუნდაძის სურათების გამოფენა. ლელა კარგა ხანია გატაცებით ხატავს. სურათებიდან აშკარად ჩანს, თუ რაოდენ ფართოა ლელას ხედვის სფერო, მაგრამ დანახულ საგნებს, მოვლენებს, სამყაროს, გოგონა თავისი გავშვური ფანტაზიით ამდიდრებს. წინ შრომისა და სწავლის გრძელი გზაა. ვუსურვოთ ლელას არ განელებოდეს ეს პირველქმნილი სიყვარული ფერებისადმი და მაშინ, ალბათ, ჭეშმარიტი გამარჯვებაც არ დაყოვნდება.



დეკორატიული მოტივი



უცხო პლანეტაზე

ИНДЕКС 76157

ელექტრონული ბიბლიოთეკა